

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური ძიებანი

XVI

ექვემოთ მოცემულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოქტორის დ. ჯაფარიძის
თანამშრომლის თამარ ბეროზაშვილის

ხსოვნას

თბილისი

2019

UDC (uak)81373.6(0512)

ე-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდააგად. ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედეა ღლონტი (რედაქტორი)

ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა (მთავარი რედაქტორი)

ზურაბ ჭუმბურიძე

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

**ზოგი დიდოური ოიკონიის
წარმოგავლობისათვის¹**

დიდოური ენის გავრცელების არეალში მოქცეულ გეოგრაფიულ ადგილთა (სოფლების და მათი უბნების) ძირითადი ნაწილი საკუთრივ დიდოური წარმომავლობისაა, თუმცა ნაკლებად დასტურდება ხუნძური და უფრო ნაკლებად ქართული სახელწოდებანიც. დიდოელებით დასახლებულ მიწა-წყალზე, წუნტისა და წუმადის რაიონებში, განთავსებულია 48-მდე აული, რომელთა სახელწოდებებიდან მეტი წილი დიდოურისავე საფუძველზე აიხსნება. დადესტნურ ტოპონიმიკაში დიდოურ ოიკონიმებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, რითაც არის გამოწვეული ზოგი მათგანის ეტიმოლოგიური ანალიზის ჩატარება. მართალია, ცალკეულ ნაშრომებში ხდებოდა დიდოურ ოიკონიმებზე მითითება, თუმცა მათი ენათმეცნიერული დამუშავება არ განხორციელებულა [იხ. ბოკარევი 1949: 31; მეგრელიძე 1955: 241-242; იმნაიშვილი 1963: 7-8; ლუგუევი, მაჰომედოვი 2000: 7-50...].

სტრუქტურული თვალსაზრისით, ოიკონიმები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) **მარტივი** და 2) **რთული**. 1) მარტივი (ერთფუძიანი) ოიკონიმებია: **ცეტო**, **ასაჯ**, **ოსხო**, **ბერიჯ**, **იჰჰ...**; 2) რთული (ორ- და მეტფუძიანი) ოიკონიმები კომპოზიტური აგებულებისაა: **ნაჰურ-ალ**, **გუტ-ალ**, **ვიწი-ალ** და მისთ.

1) **მარტივი ოიკონიმები**, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, მეტწილად ლოკატიური ბრუნვის (სუპერესივის) ფორმით არის წარმოდგენილი: ა) **-ტო/-ტ** (I სერია) „-ზე“ ნიშნით გაფორმებული ოიკონიმების საილუსტრაციო მაგალითის ნიმუშია დიდოელთა ისტორიული საცხოვრისის გამომხატველი სახელი **ცეტო**,

¹კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

რომელიც იმავდროულად **საჰადის** (დიდოური აული უკიდურეს ჩრდილოეთში) აღსანიშნავ კომონიზმადაც (**ცეტო** – **საჰადა**, **ცეტოსი** – **საჰადელი**) გამოიყენება. სავარაუდოა, რომ დიდ. **ცეტო** სტრუქტურულ-სემანტიკურად ხუნძ. **წუნტა** ტოპონიმის ანალოგიურია, რადგანაც ორივეს ეტიმოლოგია ერთნაირი მოტივაციისაა და წარმოდგენილია I სერიის ადგილობითი ბრუნვით: **წუნ-ტა** (<**წუნ**/**წუნ** „არწივი“, -**ტა** „-ზე“) „არწივზე“ [მეგრელიძე 1942: 183], შდრ. დიდ. **ცე-ტო** (<**ცე**/**ცე** „არწივი“, -**ტო** „-ზე“) „არწივზე“. როგორც ჩანს, სახელდებისას ყურადღება გამახვილდა დიდოურ აულთა ადგილმდებარეობისა და მის არწივებთან სიახლოვის გარდა, ამ ფრინველთან, როგორც სიძლიერის სიმბოლოსთან, ასოცირებაზეც. ამავე რიგისაა **აზ-ტო** (შდრ. **აზ-** „თრთვილი, ჭირხლი“, -**ტო** „-ზე“), რომელიც გეოგრაფიულად მაღალ ქედზე მდებარეობს და ზამთრობით მუდამ თრთვილიან-თოვლიანია. სწორედ ამ გარემოებით ჩანს შეპირობებული მისი სახელდება.

ბ) -**ჯო**/ -**ჯ** (II სერია) „-ზე, -კენ, -თან“: **ასა-ჯო** (< ***ას-ა-ჯო**, შდრ. **ას** „ცა“) „ცაზე, ცასთან“. საგულისხმოა, რომ **ას**, აგრეთვე, გამოხატავს „ნისლს, ღრუბელს“, რაც ნიშანდობლივი უნდა იყოს ამ აულის სახელწოდების მოტივირებისას. გარდა ამისა, დასტურდება სხვა ანალოგიური ოიკონიმებიც: **ჰინო-ჯ** (<**ჰინო-ჯო**, შდრ. **ჰინი** „ხორბალი“) „ხორბალზე“. თუ ეს დაკავშირება სწორია, შესაძლოა, სახელმძღვანელი აქ უხვმოსავლიან ადგილს გულისხმობდეს. მაღალ მდებარეობასა და ყინულებთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს აული **ბერი-ჯ** (<**ბერი-ჯო**, შდრ. **ბერო** „ყინული“) „ყინულზე“...

გ) ინესივიზი -**ჰ** (V სერია) „-ში (სიცალიერეში)“ ნიშნით: **იჰ-ჰ** (შდრ. **იჰ-უ** „მდინარე, ხევი“), **ემ-ჰ** (შდრ. **ემ-უ** „ფაფარი, სავარცხელი“)...; ე) -**ლ'** (VI სერია) „-ში“ (სავსეში) ნიშნით: **ქიმე-ლ'** (შდრ. **ქიმუ** „ღივი, მორჩი“) „მორჩში“ და ა. შ.

ზემოგანხილული ოიკონიმების გარდა, ზოგი აულის სახელწოდება შეიძლება ასე აიხსნას: **ყულ'ულა**¹ („ორი მდინარის შესართავთან განთავსებული აული ყადორის უღელტეხილის მიმართუ-

¹ ი. მეგრელიძე **ყულ'ულა** ოიკონიმს „ჯორის“ მნიშვნელობით იმოწმებს [მეგრელიძე 1955: 231], თუმცა ჩვენ ეს სახელი აღნიშნული სემანტიკით ვერ დავადასტურეთ, იხ. ყვერეწი „ჯორი“ [ხალილოვი 1999: 275].

ლებით“), რომელიც ხერთვისთან მდებარეობს და რუსულად **Междуречье** (წყალშუა) ფორმით არის წარმოდგენილი, ნაწარმოები ჩანს -**ლა** სუფიქსით. ჩვენი მოსაზრებით, ეს სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს **ყულალა** > **ყულალა** („განტოტებული, განშტოებული“) სახელთან (შდრ. **ყულა** „ორტოტა ფიწალი“), რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება „ორს, წყვილს“ (**ყა-ნო**) ეთანადებოდეს. ამგვარ ინტერპრეტაციას განამტკიცებს შესაბამისი ხუნძური ვარიანტიც, რომელთან პარალელიზმიც თვალშისაცემია: ხუნძ. **კილარ-ტა** (<**კი**- „ორი“, შდრ. **კი-გო** „id.“, **კილ’ი** „გაორება“, -**ტა** „ზე“) „ორტოტაზე, გაორებაზე“.

2) **რთული ოიკონიმები** ატრიბუტულ კომპოზიტებს წარმოადგენენ, რომელთა მსაზღვრელი კომპონენტი შეიძლება იდგეს აბსოლუტივში, მიცემითსა და ნათესაობითში, ხოლო საზღვრულად ჩვეულებისამებრ **ალ’**(<**ყალ’** „სოფელი“) იყოს გამოყენებული. კერძოდ, ოიკონიმი **ნაჰურალ’** („ბოჩოხის უღელტეხილთან მდებარე აული“) აგებულივით კომპოზიტს წარმოადგენს: **ნაჰურ-ალ’** (**ნაჰურ** მიც. „მუხას“, **ალ’ყალ’** „აული“) „მუხათაული“ (ზედმიწ. „მუხასაული“). ამ სახელში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კომპოზიტის პირველი კომპონენტი **ნაჰურ** („მუხას“), ნათესაობითის ნაცვლად, მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, იგი სავსებით კანონზომიერ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და **რ-ს** მეზობლად **ყ** იკარგვის. ამგვარივე სტრუქტურისა ჩანს **გუტალ’გუტ-ყალ’** (შდრ. დიდ. **გუტ** „ბოლი, მტვერი“ – **ყალ’** „აული“) „ბოლიანი (იავარქმნილი?)¹ აული“, **მაჯალალ’** < ***მაჯარალ’** < ***მაჯარ-ალ’** < ***მაჯარ-ყალ’** (შდრ. დიდ. **მაჯა** „ქერი“ – **ყალ’** „აული“) „ქერთააული“, ზედმიწ. „ქერსაული“ (შდრ. **ნაჰურ-ალ’** „მუხასაული“) და ა. შ.

ამრიგად, დიდოური ოიკონიმები წარმოქმნილია სხვადასხვაგვარ სუბსტანტივთა (ცხოველ-ფრინველთა, მცენარეთა, ასტრონომიულ სახელთა...) მარტივი ფუძეებისაგან უპირატესად ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნების დართვით. გარდა ამისა, დასტურდება ისეთი დიდოური ოიკონიმები, რომლებიც კომპოზიტური აგებულები-

¹ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ოიკონიმიაში არაიშვიათად დასტურდება ანალოგიური მნიშვნელობის აულთა სახელწოდებანი.

სანი ჩანან. კომპოზიტური აგებულების ოიკონიმები პირველ კომპონენტად რომელიმე სახელს გვიჩვენებენ, ხოლო მეორე კომპონენტად კი **ცალ** („აული“) სახელს დაირთავენ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბოკარევი 1959 – Бокарев Е. А., Краткие сведения о языках Дагестана. Махачкала.

იმნაიშვილი 1963 – Имнайшвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

ლუგუევი, მაჰომედოვი 2000 – Лугуев С.А., Магомедов Д.М., Дидойцы (цезы) (Историко-этнографическое исследование. XIX начало XX века). Махачкала.

მეგრელიძე 1942 – Мегрелидзе И. В., Дидойцы и название Дидо. – Труды пед. инст. им. Пушкина, т. II. Тбилиси, с. 175-188.

მეგრელიძე 1955 – Мегрелидзе И. В., Из дидойской диалектологии. – სტალინირის სახელმწ. პედ. ინსტ. შრომები, II. ცხინვალი, გვ. 223-242.

ხალილოვი 1999 – Халилов М. Ш., Цезско-русский словарь. Москва.

N O D A R A R D O T E L I

On the Origin of Some Dido Oyconyms

Summary

In terms of the structure, Dido oyconyms are divided into two main groups: 1) simple, e.g. **ceṙo**, **asaq**, **osxo**, **beriq ih,ā**, etc. and 2) complex (containing two or more bases), e.g. **nah,ur-al**, **guṭ-al**, **vicij-al** etc.

1. Simple oyconyms, like in other related languages, are mainly presented in the locative case:

a) **-ṭi/-ṭ** (Series I) – the oyconym **ceṭo** “on the eagle” with the marker **-ze** “on”, that is also used as a commonym to denote **Sahadi** (a Dido village in the extreme north). It is in the supersive case. As it seems the attention was paid not only to closeness to the eagles but also to the eagle as a symbol of power when denominating the place; b) the possessive **-qo/-q** (Series II) with the markers **-ze**, **-ḵen**, **-tan** “on, to, by”, e.g. **asa-qo** (< ***as-a-qo**, cf. **as** “sky”), **beri-q** (<**beri-qo**, cf. **bero** “ice”); c) the innesive **-ā** (Series V) with the marker **-ši** “in” (in the cavity), e.g. **ih-ā** (cf. **ih,u** “river, gill”), **eš-ā** (cf. **ešu** “mane, brush”); d) **-ə̀** (Series VI) – **-ši** “in” (in the full): **kime-ə̀** (cf. **kimu** “sprout”), etc.

2) Complex oyconyms are attributive compounds the modifying components of which may be presented in the absolute, dative and genitive cases while the head word may be **alᵛ** (<’**alᵛ** “village”) as usual, e.g. **nah,uralᵛ** (“a village near the Bochok Gorge”) < **nah,ur-alᵛ** (**nah·u-r** i.e. “oak” in the dative case, **alᵛ** < ’**alᵛ** “village”). As it seems the word **guṭalᵛ** < **guṭ-’alᵛ** (cf. dido **guṭ** “smoke, dust” – ’**alᵛ** “village”) has the same structure.

**ტოპონიმ „კარდენახის“ ეტიმოლოგიის
შესახებ**

სოფელი კარდენახი მდებარეობს შუაგულ კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე.

სოფლის სახელწოდება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ეკონომიკურ საბუთებში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: კარდენახი, კარდანახი, კარდანეხი. ამათგან უძველესად გურამ ბედოშვილს *კარდენახი* მიაჩნია, რომლისგანაც დანარჩენი ორი ფორმა წამომდგარა (ბედოშვილი 2002). მეცნიერის თქმით, *კარდანახ* ფორმა *კარდენახ*-ისგან უნდა იყოს მიღებული ე ხმოვნის ბოლოვიდურ ა-სთან ასიმილაციით, ხოლო კარდენახ/კარდანეხ სახელწოდებათა აღრევა სემანტიკურ ბუნდოვანებას (სახელწოდების გაურკვეველ შინაარსს) უნდა გამოეწვია. მეცნიერს დამატებით არგუმენტად მოჰყავს შემდეგი: ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიურ სოფელს კარდენახს უწოდებს; კარდენახი დასტურდება კარდენახელი პოეტის, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში; XVIII საუკუნის I ნახევრის დოკუმენტში (კახეთის ხალხთა აღწერის დავთრები) დასტურდება გვარი – კარდენული.

სოფლის სახელწოდების წარმოქმნის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი ვერსიის მიხედვით, *კარდენახი* თურმე კითხვითი შინაარსის შესიტყვებისაგან („კარგა ნახე?“) წარმომდგარა: „მანდ არი დიდი ხევი. ერთხელაც ბიჭები ჩაგვიცვივდა იმ ხევში და ხალხი წასულა საძებნელათ. ჩასულან, ჩასულან და თურმე, ვინც ზემოთ დარჩა, ემახიან, – არ არიანო? – არაო, არ არიანო. კიდევ დაუმახეს ამ ზემოურებმა, რო: *კარგა ნახეო? – კარგა ვნახეთო* და არ არიანო. დაურქმევიათ ამაზე *კარგა ნახე*, იგივე *კარდანახი*“. მეორე ვერსიით, სოფელს კარდენახი იმიტომ დარქმევია, რომ აქ მუდამ *კარგი ვენახი* იცოდა. ესორივე ცნობა გ. ბედოშვილს ჩაუწერია.

სოფელში შეიძლება მოვისმინოთ მეორე ვერსიის განსხვავებული ვარიანტი. გადმოცემის მიხედვით, ერთხელ თამარ მეფეს ამ სოფელზე გაუვლია. გზად კარგი ვენახები უნახავს და ძალიან მოსწონებია. სწორედ „კარგი ვენახებიდან“ გამომდინარე სოფელს *კარგვენახი* დარქმევია, რომელიც მოგვიანებით *კარდენახად* შეცვლილა. ეს ვერსიები ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშებია და სოფლის სახელწოდების რეალურ მოტივაციასთან საერთო არაფერი აქვს.

გ. ბედომვილის ვარაუდით, სოფლის სახელში „ვენახის“ ამოცნობას რეალური საფუძველი გააჩნია, რადგან კარდენახი ორი სიტყვისგან შედგენილი სახელია. პირველია **კარი**, დასმული თან-იან მრავლობითში (კართ), მეორე – **ვენახი**. თავდაპირველად უნდა გვექონოდა **კართ-ვენაჯი**, საიდანაც თ-სგან გამჟღერების ფონეტიკური პროცესის შედეგად დ მივიღეთ. **კართ ვენახი** ანუ **კარის ვენახი** საცხოვრებელი სახლის (სოფლის) წინ მდებარე ვენახს ეწოდებოდა.

ის ფაქტი, რომ სოფლის სახელწოდება კარის ვენახს უნდა უკავშირდებოდეს, უფრო ადრეც აღნიშნა ადგილობრივმა ს. მათიაშვილმა, რომელსაც მამამისისგან ასეთი გადმოცემა მოუსმენია: „მამაჩემი სოლომონ (ჩემი პაპა – ს. მ.) იყო ყმა სოფელ კარდენახში ქართველი თავადების – აფხაზების. ეს აფხაზები ცხოვრობდნენ ამჟამად რომ საბჭოთა მეურნეობაა მის მახლობლად. აქვე ახლოს ჰქონდათ ზვარი – ვენახი. რადგან ეს ვენახი მათ კარმიდამოსთან ახლოს იყო, ემახდნენ შემოკლებით კარვენახს. დროის მსვლელობის შემდგომ სიტყვა კარვენახი გადაიქცა კარდენახად“ (მათიაშვილი 1970).

სოფლის სახელი აფხაზთა საგვარეულოს ვერ დაუკავშირდება ერთი მარტივი მიზეზის გამო – სოფლის სახელწოდება დოკუმენტურად დადასტურებულია აფხაზების კარდენახში დამკვიდრებამდე.

ახლა განვიხილოთ გ. ბედომვილის მოსაზრება. პატივცემული მეცნიერი მართალია, ადგილობრივთა მეტყველებაში *კარდენახ*-ფორმა უალტერნატივოა. ი. ნონეშვილის ლექსებში ძირითადად *კარდენახი* გვხვდება და ერთგან *კარდანახიც*: „სახლი სიხარულით აივსება და **კარდენახულით** თასი“, „ჩემი სოფელი **კარდენახი**... აქ გული სხვაგვარად ღელავს...“ („ჩემი სოფელი კარდენახი“); „**კარდენახულ** ღვინოს აქებს ბიჭი **კარდენახელი**“ („შემოდგომა თბილისში“);

„ზეიმი აქვს კარდანახელს, შემოქმედელს... ქედელს...“ („დაილო-კოს“) (ნონემვილი 2007; ნონემვილი 2010).

ჩვენი აზრით, სოფლის უძველესი სახელი უნდა იყოს *კარდანეხი*. *კარდანეხი* უფრო ძველ დოკუმენტებში გვხვდება. ვფიქრობთ, პატივცემული მეცნიერის მსჯელობაში მხედველობაში არ არის მიღებული ერთი მნიშვნელოვანი წყარო, სადაც *კარდანეხ* ფორმა დასტურდება სხვა, მსგავსი ბგერითი შედგენილობის ტოპონიმთან ერთად. ეს არის XV საუკუნის, კერძოდ 1455 წლის 8 ოქტომბერს გაცემული საბუთი, რომელიც ამავდროულად ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან პირველი წყაროა, სადაც სოფლის სახელწოდება დასტურდება. ამ საბუთის მიხედვით, გიორგი მეფეს (გიორგი VIII) მეღვინეთუხუცესს ასათ ვაჩნაძისთვის განუახლებია წყალობის წიგნი ვეჯინისა და ვეჯინის პირის სოფლებისა: კარდანეხის, კარდანუცის, ბაკურციხის, ჩალამოტის, კოლაგის, კეჭასი და კალაურნისა“ (ქისკ 2014 : 86-87).¹ როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, კარდანეხის გარდა დასტურდება კიდევ ერთი ტოპონიმი – კარდანუცი. კარდანუცი დღეს ცოცხალი ტოპონიმი აღარ არის.² უნდა ვივარაუდოთ, რომ მოგვიანებით კარდანუცი კარდენახის ნაწილად იქცა.³ კარდანეხ და კარდანუც ფორმათა შეპირსპირება *კარდან-* ძირს გამოგვავოფინებს. -ეხ და -უც, შესაბამისად, აფიქსები უნდა იყოს. -ეხ (//-ახ) სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში ხშირად გვხვდება: კატ-ეხ-ი (ქართული სოფ. თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ საქართველოში), წინარ-ეხ-ი (სოფ. კასპის მუნიცი.), გუდარ-ეხ-ი (სოფ. თეთრიწყაროს მუნიცი.) ლაგოდ-ეხ-ი და სხვ⁴. -ეხ და -უც რომ სუფიქსებია, კარგად ჩანს გვარადქცეულ წარმომავლობის სახელში –კარდენული (შდრ. თბილ-ის-ი/თბილ-

¹ ამ დოკუმენტს გ. ბედოშვილიც იმოწმებს.

² დოკუმენტში მოხსენიებული ყველა ტოპონიმი ცოცხალია. კითხვას ბადებს მხოლოდ „ჩალამოტი“. ალბათ, ამ სახელში თანამედროვე ჩალაუბანი უნდა ვიგულისხმოთ, ბაკურციხე-კარდენახის მომიჯნავე სოფელი.

³ ისევე როგორც დღეს კეჭა წარმოადგენს სოფ. ვეჯინის ერთ-ერთ უბანს.

⁴ -ეხ/-ახ სუფიქსებს ტოპონიმთა და წარმომავლობის მაწარმოებელ ფორმანტებად ვარაუდობენ (მ. ივანიშვილი, ეტიმოლოგიური მიებანი : ლავადები, მაჭი, ენათმეცნიერების საკითხები, 2016, თბ.)

ელ-ი, თუხარ-ის-ი/თუხარ-ელ-ი, ოძ-ის-ი/ოძ-ელ-ა-შვილი, ამაშუკ-ეთ-ი/ამაშუკ-ელ-ი, გუჯარ-ეთ-ი/გუჯარ-ელ-ი-ძე და ა.შ.).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საძიებელია კარდან-ის სემანტიკა (ხომ არ არის ეს ძირ-ფუძეც რთული შედგენილობის?). დღეისათვის კი სოფ. კარდენახის ეტიმოლოგია დაუდგენლად უნდა ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბედოშვილი 2002 – გ. ბედოშვილი ქართულ-ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ.

ივანიშვილი 2016 – მ. ივანიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებანი: ლაგოდები, მაჭი, ენათმეცნიერების საკითხები.

მათიაშვილი 1970 – ს. მათიაშვილი, კარდანახი თუ კარდენახი?, გაზ. „ლენინის გზით“, გურჯაანი, 18 ივლისი.

ნონეშვილი 2007 – ი. ნონეშვილი, ასი ლექსი, შემდგენელი ა. ნონეშვილი, „ინტელექტი“.

ნონეშვილი 2010 – ი. ნონეშვილი, ლექსები, „საოჯახო ბიბლიოთეკა“.

ქისკ 2014 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, თბ.,

On the Etymology of the Toponym “Kardenakhi”

Summary

The village of Kardendakhi is located in the middle of Kakheti, in Gurjaani municipality, on the northeastern slope of the Gombori Range.

The name of the village is presented in various forms in ancient Georgian historical sources and economic documents: Kardenakhi, Kardanakhi, Kardanekhi. Of these, Guram Bedoshvili considers the oldest *Kardenakhi*, of which two other forms were formed. According to the scientist, *Kardanakh* form should be received from *Kardenakh* by assimilation of the vowel E with the end A, and the mixing of the names Kardenakh/Kardanekh should have been caused by semantic ambiguity (unclear content of the name).

G. Bedoshvili suggested that Kardenakhi is a name derived from two words. The first is **Kari** (*in Georgian - door*) in the plural with the suffix “tan” (Kart), and the second is **Venakhi** (*in Georgian - vineyard*). Initially, we should have had **Kart-venakh-i**, from which, as a result of the phonetic process of pronouncing T, we received D. **Kart Venakhi** or **Venakhi of Kari** was called the vineyard located in front of the farmhouse (village).

In our opinion, the ancient name of the village should be *Kardanekhi*. *Kardanekhi* is found in older documents. We think that in the discussion of the respected scientist one important source was not taken into account, where *Kardanekh* form is confirmed along with another toponym that is similar in sound composition. This is a document issued in the 15th century, in particular, on October 8, 1455, which is also the first material available to us that confirms the name of the village. According to this document, the king Giorgi’s chief royal cup-bearer updated the book of mercy of Vedjini and the villages of Vedjini for Asat Vachnadze: Kardanekhi, Kardanutsi, Bakurtsikhe, Chalamoti, Kolagi,

Kecha and Kalaurni. As can be seen from this document, another toponym is confirmed in addition to Kardanekhi - Kardanutsi.

At present Kardanutsi is no longer a living toponym. We must assume that later Kardanutsi became part of Kardenakhi. A comparison of the forms of Kardanekh and Kardanuts makes us to separate out the base *Kardan*. -ekh and -uts, respectively, should be affixes. The suffix -ekh (//-akh) is often met in Georgian toponyms: Kat-ekh-i (Georgian village in the Belakani municipality of the modern Republic of Azerbaijan, in historical Georgia), Tsinar-ekh-i (village in Kaspi municipality), Gudar-ekh-i (village in Tetrtskaro municipality), Lagod-ekh-i and others. The fact that -ekh and -uts are suffixes is clearly visible in the name of origin converted to the surname - Kardenuli (fc., Tbil-is-i/Tbil-el-i, Tukhar-is-i/Tukhar-el-i, Odz-is-i/Odz-el-a-shvili, Amashuk-et-i/Amashuk-el-i, Gudjar-et-i/Gudjar-el-i-dze, etc.).

Based on the above, it is necessary to search for the semantics of *Kardan* (is this base of a complex composition as well?). At present the etymology of the village of Kardanekhi should be considered undetermined.

**წელიწადის დროებისა და თვეების აღმნიშვნელი
ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

წელიწადის დროებისა და თვეების აღმნიშვნელი სახელები ოდინდელი ქართველური ლექსიკის კუთვნილებაა. მიუხედავად ამისა, მეგრულ-ლაზურში გვხვდება ერთი მხრივ, გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად სახელდებული ფორმები, მეორე მხრივ, ნასესხები ლექსიკა. საყოველთაოდ ცნობილია უცხო ენათა (ძირითადად ბერძნულისა და თურქულის) გავლენა ლაზურზე, რაც ისტორიული გარემოებებითაა გაპირობებული. ცოცხალ მეტყველებასა და დოკუმენტირებულ ტექსტებში ხშირად გვხვდება ორენოვანი სინონიმები, ასევე ჰიბრიდული კომპოზიციები. გამოყენების სინშირულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თურქული ლექსიკა სჭარბობს ლაზურს. მეორე მხრივ, თვეების აღმნიშვნელ ლაზურ ლექსიკაში გვხვდება ქართველური (resp. ზანური) ფორმები, რომლებიც მეგრულმა უკვე დაკარგა. მეგრულში უხვად არის წარმოდგენილი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და ქართული სალიტერატურო ენის გავლენა იგრძნობა.

გასაკვირია, მაგრამ წელიწადის ყველაზე ლამაზი დრო და მასში შემავალი თვეების სახელები ლაზურში მჭირადაა წარმოდგენილი:

გაზაფხულის აღსანიშნავად ლაზურში გამოყენებულია თურქული **ილქბეჰარი** (თურქ. ilkbahar) გაზაფხული: **ილქბეჰარიმენ** მუთუ ბზოპონ-ი? „გაზაფხულისათვის რამეს ვამბობ?“ (ჩიქოპავა 1929: 19), თუმცა მის გამოყენებას შეზღუდული ხასიათი აქვს. ძირითადად გვხვდება ორენოვანი კომპოზიტი: **ფუქრინაორა / ფუქრიონა: ფუქრინაორა** გინთანუ „გაზაფხული გაითენა“ (ფოიერშტაინი 2000: 120), არ ფუქურიქ **ფუქრინორა** ვა იქომს „ერთი ყვავილი გაზაფხულს არ იზამს“ (კარტოზია 1972: 228). **ფუქრი / ფუქური** ლაზურად „ყვა-

ვილია“, **ორა** (ბერძ. ὄρα) კი „დროის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა.

მეგრულში გაზაფხულის აღსანიშნავად გამოიყენება ქართულ-ზანური **გაზაფხული** / **გაზარხული** / **გაზარხული** (ყიფშიძე 1914: 228). აგრეთვე საკუთრივ მეგრული **გიშულირი** / **გუშულირი**, მიმღეობური ფორმა ზედმიწევნით „გამოსულს“ ნიშნავს. მათ პარალელურად მთიან სამეგრელოში გვხვდება აფხაზურიდან შეთვისებული **აფუნი** (ყიფშიძე 1914: 197), რომელსაც გამსესხებელ ენაში **ააფუნ** ფორმა აქვს და „გაზაფხულს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 6). არძოშ უსქვამაში **აფუნი** ენიე, – უწია (ხუბუა 1937: 221) „ყველაზე ლამაზი („ულამაზესი“) გაზაფხულიაო, – უთხარიო“. აფუნი აქტიური ფორმაა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში და ნიშნავს საქონლის გარეკვის დროს საზაფხულო სამოვრებზე: **აფუნქ** ქიდიჭყუ „საქონლის გარეკვის დრო დადგა“ (წალენჯ.), „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკვის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყელი გამოჰქონდა“ (სახოკია 1985: 376). ეთნოგრაფი იქვე განმარტავს: **აფუნი** „ცხვრის მთაზე გარეკვის დრო“ (იქვე, 363), ამ ლექსემიდან ნაწარმოები **აფუნობა** ნიშნავს „საგაზაფხულო საქონლის გარეკვას სამოვარზე“ (ელიავა 1997: 21) – მოღულუნებს **აფუნობა**, რინა წიმი მინჭუაფუ „მოღულუნებს გაზაფხული, ცხოვრება წინ მირბის“ (ქხს 2016: 418) **საფუნო** „საზაფხულო სამოვარი მთაში, ე. ი. აფუნობის დროის სამოვარი მთის ზონაში“ (სახოკია 1985: 285).

ადრეული გაზაფხულის აღსანიშნავად გამოიყენება **მარტი**-ი ძირის შემცველი **გამარტება** (ქობალია 2010: 75) – **გამარტებას** პურასკია ძვირფასი ეიოჟოთამალიე „მარტის დასაწყისში („გამარტებას“) პრასი კარგი („ძვირფასი“) ამოსაღებია“ (ლოლა ნანა 2007: 309).

გაზაფხულის თვეები ლაზურში ნასესხები ლექსიკითაა წარმოდგენილი:

მარტი მარტი: **მარტიში** აღანი დღას ოცხონის ეფულურან „მარტის ახალ დღეს სხვენზე (ჭერზე) ავლენ“ (ყიფშიძე 1939: 88).

აპილი / **არპილი** / **აპრილი** აპრილი: **აპრილიში** ხუთის ქოგ-დოჭკამან ოხაჩქუს ბერგითე „აპრილის ხუთში დაიწყებენ თესვას თოხით“ (ჩიქობავა 1936: 60).

მაესი / მაისი / მაგესი მაისი: ენა დებეტატუ-ჭკულები იკინასინტუ (ბრინჯიმ ოკინუ) არკათი **მაესიში** ეჩიშკულე „რომ ამოვიდოდა ამის შემდეგ გამარგლავდენ (ბრინჯის გამარგლა) მაისის ოცამდე“ (სარფი 2015: 701); **მაისიშ** ნდღას მამული ყონა გომალუშა იგზალუ „მაისის დღეს მამული ყანის გასამარგვლად წავიდა“ (ჩიქობავა 1929: 44).

მხოლოდ მაისის აღსანიშნავად გვხვდება ლაზური ფორმა **ფურქა** მაისი, „ყვავილობა“ (კარტოზია 2008: 80) და ზედმიწევნით „ყვავილობას“ ნიშნავს. საინტერესოა, რომ მეგრულშიც მაისის აღსანიშნავად მესი / მეესის გვერდით გვხვდება **გოპირუა** აყვავება, გაფურჩქნა; მაისი (იხ. ქვემოთ).

მეგრულში გაზაფხულის თვეების აღმნიშვნელი ფორმები ასეა წარმოდგენილი:

ლაზურის მსგავსად, მეგრულში მარტი ქართულიდან შეთვისებული **მარტი** ფორმით გადმოიცემა – **მარტიშ** კალამიაცალო გოხუ-მაფილი „მარტის ღერივით (ჩალისა) გამხმარი“ (ქაჯაია 2002: 221). იმავე მნიშვნელობით გვაქვს კომპოზიტური წარმოების **მარტიშთუ-თა** მარტისთვე (ქობალია 2010: 391).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია მარტის აღმნიშვნელი მეტაფორული შესიტყვება **საბერტემ მაჭვალი** ზედმ. „თავხის დამწველი“ – მოულოდნელი სიცივე რომ თავხეს დააწვევინებს შემცივულ კაცს (ქობალია 2010: 577).

აპრილის აღსანიშნავად, ლაზურის მსგავსად, მეგრულშიც ქართულიდან შეთვისებული **აპრილი / არპილი / აპრი** გვხვდება (ყიფშიძე 1914: 196) – თენა უკვე მაისიში ოჭკომაიე ჭყვერტო, **აპრილს**, მაისის ოჭკომაიე „ეს უკვე მაისში საჭმელია ჭყინტად, აპრილში, მაისში საჭმელია“ (ლოლა ნანა 2007: 309); თხა **არპილიშ** თუთაშე იყყანს ჭვალუას გერგებათუთაშახ „თხა აპრილის თვიდან იწყებს წველას გიორგობისთვემდე (ნოემბრამდე)“ (ქაჯაია 2001: 194); ვითოხუთის დაბადებული ვორექ დო ეჩდოვითაართი'დ თენა, **აპრიიშ** თუთა „თხუთმეტის დაბადებული ვარ და ოცდათერთმეტი იყო ეს, აპრილის თვე“ (ლოლა ნანა 2007: 23)

აპრილს აღნიშნავს აყვავებულის მნიშვნელობის **პირელი** „აყვავებული; ყვავილობისთვე, აპრილი“ (ქობალია 2010: 563), აგრეთვე **გოფალუა** (იქვე, 201), რაც „გაფურჩქნას, გაფოთვლას“ ნიშნავს.

მაისი ლაზურის მსგავსად მეგრულში გადმოცემულია **მესი** / **მეესი** ფორმით (ყიფშიძე 1914: 244) – თიმწკვმა **მესიში** ვარდიცალო ჩქიმი გური გოპირანს (ქხს 2016: 372) „მაშინ მაისის ვარდით ჩემი გული გაიფურჩქნება“; **მეესიში** ჭვიმა ორქო რე (ყიფშიძე 1914: 181) „მაისის წვიმა ოქროა“. მის პარალელურად გვაქვს **გოპირუა** აყვავება, გაფურჩქნა; მაისი (ქობალია 2010: 194). შდრ. ლაზური **ფურქა** მაისი, „ყვავილობა“ (კარტოზია 2008: 80).

ზაფხული ლაზურში გადმოცემულია თურქული **აზი** (თურქ. yaz) ფორმით: არ **აზი** ტუ ცონასი-ნა ბოგნი ამო „ერთი ზაფხული იყო ყანაში, რომ გავიგონე სიმღერა ამო“ (ჟღენტი 1938: 154), პარალელურად გვხვდება ლაზური **მაფხა** „სიცხის“ შემცველი ორენოვანი კომპოზიტი **მაფხაორა** ზაფხული (ლაზეთი 2015: 404), რომელიც ზედმიწევნით „სიცხის დროს“ ნიშნავს.

მეგრულში ზაფხულის აღსანიშნავად გამოყენებულია **ზაფხული** / **ზარხული** / **ზარხულა** / **ბზარხული**: ენა მუჰო წილუნქენი, ევალუნს დო ირიათო რე თენა: ზოთონს დო **ზაფხულს** „ამას როგორც მოკრეფ, ამოდის და ყოველთვის არის, ზამთარში და ზაფხულში“ (ლოლა ნანა 2007: 309) თიმ დღას ეთხიებუ ზოთონჯი **ზარხულს** „იმ დღეს ეთხოვება ზამთარი ზაფხულს“ (ქხს 2016: 146); **ზარხულას** გვალაშა მემირაყუნა ორინჯი „ზაფხულში მთაში მივერეკებით საქონელს“ (ქაჯაია 2002: 12); **ბზარხულს** მოჩხუპენა გოლოფა (ყიფშიძე 1914: 162) „ზაფხულში გვეჩხუბება გვალვა“.

პ. ჭარაია ერთმანეთს უკავშირებს ქართულ **ზაფხულ-ი**, მეგრ. **ზარხულ-ი**, **ბზარხულ-ი**, სვან. **ლუფხჷ**, აფხაზ. **აფხენ** ფორმებს (ჭარაია 1912: 35-37). არნ. ჩიქობავას ამ რიგში შემოჰყავს ლაზური **მაფხა** „დარი, სიცხე“ (ჩიქობავა 2008: 195).

ივნისის ლაზური სახელია **ბულიშთუთა** ივნისი, ზედმ. „ბლის თვე“ – ჩქი ბზოპონთ ლაზუი **ბულიშთუთა** „ჩვენ ვამბობთ ლაზურად ბლის თვე“ (ასათიანი 1974: 164), **ბულობა** ბლობა; ივნისი.

ლაზურში ხშირად გვხვდება იმავე მნიშვნელობის თურქული **ქეეზაი** / **ქერეზაი** / **ქერეზარი** / **ქაერეზაი** / **ჩირეზაი** (თურქ. kirezay) ივნისი: „ენა ეხეტატუ-ჭკულე იკინასინტუ (ბრინჯიმ ოკინუ) არკათი

მაესიში ეჩიშკულე, მაჟვავა – კათი **ქეეზაიში** ჩოდინაფაშა „რომ ამოვი-
დოდა ამის შემდეგ გამარგლავდნენ (ბრინჯის გამარგვლა) მაისის
ოცამდე, მეორედ – ივნისის დამთავრებამდე“ (სარფი 2015: 701); დეს-
თანო ბჰარი **ქერეზარი** ტუ „ლექსად დავეწრე, მაშინ ივნისი იყო“ (ჩი-
ქობავა 1936: 85). თურქულად kiraz „ალუბალია“, ay კი თვე.

სხვა სიტყვებით, ლაზური **ბულიშთუთა** და თურქული **kirezay** ეტიმოლოგიურად და სტრუქტურულად ერთმანეთს ემთხვე-
ვა. ივნისის ერთ-ერთი სახელი მეგრულშიც ბალს უკავშირდება: **ბუ-
ლოზა** ბლოზა, ბლის მწიფობის ჟამი; ივნისი (ქობალია 2010: 68).

ივლისის აღსანიშნავად სარფულში იყენებენ ქართულიდან
ნასესხებ **ივლის-ს: ივლისიში** მწკოს დაღური მწკო ვუწუმეთ „ივლი-
სის წყავს ტყის წყავს ვეძახით“ (სარფი 2015: 712).

გვხვდება თურქული **ჩურუდაი / ჩურუქ / ჩულაი**: მჩხუი მაი-
სის ღვანჭუფან დო **ჩულაისთი** ღვანჭუფ „ცხვარს მაისში კრეჭენ და
ივლისშიც კრეჭენ“ (სარფი 2015: 739). თურქული **çürükay** კომპოზი-
ტია და ზედმიწევნით „დამპალ თვეს“ ნიშნავს: **çürük** „დამპალი“, ay
„თვე“.

თურქული კომპოზიტის პარალელურად გვხვდება ზუსტად
იმავე სემანტიკის ლაზური სინტაგმა **ქცაფერი თუთა** „დამპალი თვე“
(ქუთელია 2005: 297), **ხცალა თუთა** „ლობზა თვე“ (თანდილავა 2013:
891).

შეიძლება ლაზური ფორმა თურქულის კალკად ჩაგვეთვალა,
რომ არა ივლისის აღმნიშვნელი მეგრული **ცორადილი თუთა** „და-
მპალი თვე“, რომელიც ტრადიციული **კვირკვე**-ს პარალელურად
გვხვდება. ივლისი აღმნიშვნელ ტერმინში ლობზის აღსანიშნავი სი-
ტყვის გამოყენების ქართულ წარმოშობას მხარს უჭერს ქართული
დიალექტური მასალაც (**ჩოხადამპალა** „ივლისი“ – კახურ დიალექტ-
ში).

ავგისტოს მნიშვნელობა ლაზურში გადმოცემულია ბერძნუ-
ლი წარმოშობის **Αύγουστος** („ავგისტო“) სიტყვით, რომელიც ფონე-
ტიკური ვარიანტების სახით გვხვდება: **აგუსტე / აღუსთოზი / აღუს-
ტე** ავგისტო: „წანადანი, კუჭულაჲ, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაჲ,
ჩურულაჲ, **აგუსტე (აღუსტოზი)** – იანვარი, თებერვალი, მარტი, აპ-
რილი, მაისი, ივნისი, ივლისი, ავგისტო (ჩიქობავა 1936: 70); **აღუს-**

ტოზი ქომოხთუ „ავვისტო მოვიდა“ (ჩიქობავა 1936: 54); **აღუსტოზი**-ში შქითის ათმაჯას გელუხედუნ „ავვისტოს შვიდში მიმინოს ჩაუჯდებიან“ (ყდენტი 1938: 153); „თუთაფე: წანა-აღანი, კუჭულად (ჭუტათუთა), მარტი, აპრილი, მაისი, ბულობა (ქირეზაი), ტურკეში, **აღუსტე**, სტაროშინა, გუმათუთა, სთველი, ხისტანა“ (ჩიქობავა 1936: 77). ბერძნული ფორმა, რომელიც ასევეა შენარჩუნებული თურქულში (Ağustos) კონკურენციას უწევს საკუთრივ ლაზურ (resp. ზანურ) სიტყვას **მააშინა / მაააშინა / მარაშინა / მარიაშინა / მარიოშინა** – ადა აშო დიყუ აღუსტოში, **მააშინაში**, ლაზუი აშო ზოპონან, მააშინაში ახის „ეს ასე მოხდა („იქნა“) ავვისტოში, მააშინაში, ლაზურად ასე ამბობენ, მარიაშინის თვის ბოლოს“ (კალანდია 2008: 23); რაკანის ქეხთუდორენ თუთა **მარაშინაში** „ფერდობზე ამოსულა მთვარე ავვისტოსი“ (ყდენტი 1938: 172); რაკანის ქეშუხტიმუნ თუთა **მარიაშინაში** „ფერდობზე ამოსულა მთვარე მარიოშინისა“ (ყიფშიძე 1939: 23) სიტყვას, რომელიც გამჭვირვალე სემანტიკის მატარებელია და **მარიაში შინა**-ს „მარიაშინის ხსენებას“ ნიშნავს. უკავშირდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს (შდრ. მეგრული **მარაშინა (თუთა)** მარიაშინის თვე, ავვისტო (ქაჯაია 2002: 216). ხსენების / გახსენების აღმნიშვნელი **შინა** ლაზურში თვეების აღმნიშვნელ სხვა კომპოზიტებშიც გვხვდება.

ზაფხულის თვეები მეგრულში ასეა წარმოდგენილი:

ივანობა / ივანობათუთა „ივნისი“ (ყიფშიძე 1914: 244) – თიმ წანაშ **ივანობას**გ მოლაბრთი მუხურიშა დო გეკუაყუნი ოცინდალეში ოხვამეშა (ქხს 2016: 74) „იმ წლის ივნისში წამოვედი მუხურში და ავეყვი ოცინდალეს სალოცავში“.

თვეს სახელი ჰქვია წმ. იოანე წინასწარმეტყველის საპატივცემლოდ (ხსენება 25 ივნისის). ივნისის აღსანიშნავად **ივანობა / ივანობითვე / ივანობისთვე / ივანობითუე** გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც (www.corpora.co).

ივნისის პირველ დეკადას მეგრულში **კუნტა მესი** ჰქვია (ქობა-ლია 2010: 375) ზედმიწევნით ნიშნავს „მოკლე მაისს“. გადმოცემით, ამ დროს თესავენ საგვიანო სიმინდს.

ივლისი ივნისის მსგავსად ქრისტიანული წმინდანის სახელით აღინიშნება: **კვირკვე / კვირკვი / კვირკვეშთუთა** წმიდა დიდმო-

წამე კვირიკეს სახელს უკავშირდება (ხსენება 15 / 28 ივლისს) – დობარგნდენი უკული, ივანობაში დალიას, **კვირკვეში** მიწულამაზ „გათოხნიდა მერე, ივნისის დასასწულს, ივლისის შემოსვლამდე“ (ლოლა ნანა 2007: 295). ასევე ეწოდება ამ თვეს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: **კვირკობა / კვირკობისთვე / კვირკვობისთვე** (www.corpora.co).

ივლისს **მენძორე თუთასაც** ეძახიან (ქობალია 2010: 407), **მენძორე** „ლეშიჭამიაა“ მეგრულად. ამ თვეს დიდი სიცხეები იცის და ლეში სწრაფად ყროლდება.

გარდა ამ სიტყვებისა, მეგრულში ივლისის აღსანიშნავად გამოიყენება სინტაგმა **ქორადილი თუთა** „დამპალი თვე“ (იხ. ზემოთ).

ავგისტო მეგრულში ლაზურის მსგავსად ბერძნული წარმოშობის **არგუსო** სიტყვით გადმოიცემა – არგუსოს ხოდო ითასუე, მუჭო **არგუსოს** იყონუე ოყონალინი, თეში „ავგისტომიც ითესება, როგორც ავგისტოში იმეწობა დასამეწობი, ისე“ (ლოლა ნანა 2007: 311).

პარალელურად გვხვდება მარიამობისთვის მეგრული შესატყვისი **მარაშინა თუთა / მარაშონა** (ყიფშიძე 1914: 244), ზედმ. „მარიამის ხსენების თვე“ (შდრ. ლაზ. **მააშინა / მაააშინა / მარაშინა**) – თიქ დღას ვამაჭოფუ დო, უმაჭოფუ არგუსოში უკული, **მარაშონაში** უკული-და, თის ოკო უხვამენი ხოლო „თუ დავიჭირე ავგისტოს შემდეგ, მარიამობის შემდეგ, იმასაც უნდა გამოვულოცო“ (ლოლა ნანა 2007: 330).

შემოდგომის აღსანიშნავად ლაზური იყენებს ძველ ქართულში კარგად ცნობილი **სთველ-** ფუძის ფონეტიკურ ვარიანტებს: **სთველი / სთჷელი / სტველი** და მისგან ნაწარმოებ **სტველობა / მსთველობა** ფორმებს – **სთველის** ხარმანი პტახუფთ „შემოდგომაზე კალოს (სიმიდს) ვტებთ“ (ჩიქობავა 1936: 135); გეთასულებში ძერი **მსთველობას** დულაფე ნა-იჩოდას, დულაფე ნა-მუისვარან ემახთის ხაზირუფან „სანერგე (სათესლე) ადგილს შემოდგომაზე, საქმეები რომ გათავდება, საქმეებს რომ მოითავებენ, იმ დროს ამზადებენ (სარფი 2015: 690). მას ლაზურში პირველადი, ამოსავალი სემანტიკაც შენარჩუნებული აქვს: **სთველიშა** ბიჩალიში „რთველამდე ვიმუშავე“ (ჩი-

ქობავა 1936: 81). **სთველი** სიტყვა გვხვდება ლაზურ-ბერძნული კომპოზიტის ნაწილადაც: **სთველორა** (ლაზეთი 2015: 404), რომელიც ზედმიწევნით „შემოდგომის დროს“ ნიშნავს. არნ. ჩიქობავა **სთველს** უკავშირებს „გაწყდომის, გასხლტომის“ აღმნიშვნელ **სთვ-** ძირს და მიიჩნევს, რომ ეტიმოლოგიურად „მოწყდომას“ და „მოწყვეტას“ გულისხმობს (ჩიქობავა 2008: 307).

ამ ფორმების პარალელურად აქტიურად გვხვდება თურქული **გაუზი** (güz): უკულე მუინჭასენ **გაუზის** „მერე უნდა დამწიფდეს შემოდგომაზე“ (ჩიქობავა 1936: 3). თურქული სიტყვა, გარდა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სიტყვისა, გამოყენებულია შემოდგომის თვეების სახელწოდებებში (იხ. ქვემოთ).

შემოდგომის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **დამორჩილი** – თენა რე **დამორჩილი**, ჩხურუ ვარე, პატრიჟანი შემოლეული რენ, ფერ დროს „ეს არის შემოდგომა, სიცივე არ არის, ბადრიჯანი მოლეული რომ არის, ისეთ დროს“ (ლოლა ნანა 2007: 225). ი. ყიფშიძე **დამორჩილ-**ს უკავშირებს ქართულ დამორჩვას, რომელიც გულისხმობს მორჩის, ტოტის დაცლას ფოთლებისაგან (ყიფშიძე 1914: 228). გ. როგავას ვარაუდით **დამორჩილი** არის **დღა-მორჩილი** დღე-მოკლე (როგავა 1965: 189).

ო. ქაჯაიას ლექსიკონში შემოდგომის მნიშვნელობით წარმოდგენილია **მუჟღირი** – **მუჟღირქ** ქიდიჭყუა „შემოდგომა დაიწყოს“ (ქაჯაია 2002: 338). ლექსიკოგრაფი თვლის, რომ სიტყვა უკავშირდება ჭკნობის მნიშვნელობის მეგრულ **ჟღირუა-**ს. ვთვლით, რომ **მუჟღირი** არის სვანურიდან ნასესხები ფორმა. შდრ. სვანური **მუჟღურ** „შემოდგომა“ (თოფურია 2000: 577).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულში შემოდგომის აღსანიშნავად გვაქვს ლაზური **ტახვა-**ს შესატყვისი მეგრული **ტახუა / გიმატახუა** შემოდგომა, სიმინდის ტეხვის დრო – ასე **გიმატახუა** რე(ნ) „ახლა შემოდგომაა (ტეხვის დრო)“ (ქაჯაია 2001: 341).

შემოდგომის მნიშვნელობით გამოყენებულია **ეჭოფუა** (ქაჯაია 2001: 575), რომელიც „ადებას“ ნიშნავს. გულისხმობს მოსავლის აღებას, ასევე **გორინა / გორინი**, ზედმ. „დგომა“.

გვიანი შემოდგომის აღსანიშნავად მეგრული იყენებს სინტაგმებს **დამორჩილიშ გინულა** (ქობალია 2010: 234), ზედმ. „შემოდგო-

მის გადასვლა“, **ღერიმ კორობუა** ზედმ. „[სიმინდის] ღეროების აკრეფა“ (ქობალია 2010: 642), **ცვანაშე გიშულა ბორჯი** ზედმ. „ყანიდან გასვლის დრო“ (ქობალია 2010: 654).

სექტემბერი ლაზურში გადმოიცემა **ჩხალვა** სიტყვით (თანდილავა 2013: 842). **ონჩხალუ** „რეკვას, ბერტყვას“ ნიშნავს: ჟინ კაკალი **ნჩხალუფან** „ზევით ნიგოზს რეკენ (რეკავენ), ბერტყავენ“ ამ სიტყვასთან ახლოს დგას **ონჩხვარე** (ვანილიში 1964: 80) / **ონჩხვარუ** ლეწვა, ცეხვა – კალათითე ქოგილამან დო **დონჩხვარუმან** „გოდრით ჩამოიტანებენ და დაფშვნიან“ (ყოფშიძე 1939: 75), პალოფეთენ **დომჩხვარუმთ** „დიდი ჯოხებით დაფშვნიით (დავტეხავთ)“ (ჩიქობავა 1929: 136). აზრობრივად ორივე მნიშვნელობა შეიძლება დაუკავშირდეს სექტემბერს. ზოგადად, შემოდგომის თვეების აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური სიტყვები სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს უკავშირდება.

საკუთრივ ლაზური ფორმის გვერდით გვხვდება თურქული კომპოზიტები **ეველგაუზ** (არაბ.-თურქ. evelgüz) სექტემბერი, ზედმ. „პირველი შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და **იჭთიგაუზი** სექტემბერი (ასათიანი 1974: 137), რომლებიც ზედმიწევნით „პირველ შემოდგომას“ ნიშნავს. შემოდგომის სემანტიკის **გაუზი** გვხვდება სექტემბრის აღმნიშვნელ ორენოვან კომპოზიტში **იჭთისთველი** „პირველი შემოდგომა“ (ჩიქობავა 1929: 160).

ლაზური და თურქული ფორმების გვერდით გვხვდება ბერძნული წარმოშობის **ეკენია** (ჩიქობავა 1939: 70). შდრ. მეგრული **ეკენია** ენკენისთვე, სექტემბერი (ქობალია 2010: 270).

სექტემბრის აღმნიშვნელი ერთი სიტყვა: **სტაროშინა / სტოროშინა** სექტემბერი (ჩიქობავა 1936: 70, 75). სიტყვის მეორე ნაწილი ზანურ **შინა**-ს უკავშირდება, რაც „ხსენებას, ხსოვნას“ ნიშნავს. პირველი ნაწილი, ბერძნულია, **Σταυρός** „ჯვარს“ ნიშნავს. 14 (27) სექტემბერს აღნიშნება ჯვართამაღლების დღესასწაული. სექტემბრის აღმნიშვნელმა ლაზურმა **სტაროშინა / სტოროშინა**-მ შემოინახა ლაზთა ქრისტიანული წარსულის კვალი.

ოქტომბრის აღმნიშვნელია ლაზური (resp. ზანური) **გიმუ / გიმუა / გუმა / გუმათუთა** „მკათათვე“. იგივე სიტყვა გვაქვს მეგრულში: **გიმათუთა / გუმათუთა / გვმათუთა / გიმუა თუთა / გიმუაში თუთა**.

ამ თვეში ტეხდნენ, მკიდნენ ღომს – სადარაჯოს გეურეთ **გიმათუთაში** ნაშიბუს: „დარაჯად უდგახართ ოქტომბრის მონაპოვარს. იხ. გიმუა“ (ქაჯაია 2001: 340).

სინონიმად გვაქვს ზანურივე **ტახვა / ტახვათუთა**, რომელიც „ტეხვას, ტეხვის თვეს“ ნიშნავს – **ტახვა თუთას** დოტახუმან „ტეხვის თვეში (ოქტომბერში) მოტეხავენ“ (ყიფშიძე 1939: 75). ეს ფორმა მეგრულსაც აქვს გამოყენებული, ოღონდ შემოდგომის მნიშვნელობით: **გიმატახუა** შემოდგომა, სიმინდის ტეხვის დრო (ქაჯაია 2001: 341), **ტახუა ბორჯი** სიმინდის ტეხის დრო, გვიანი შემოდგომა (ქობალია 2010: 601).

ლაზურში ოქტომბრის აღმნიშვნელი ზანური სიტყვების პარალელურად წარმოდგენილია თურქული კომპოზიტი **ორთაგაუზი** ოქტომბერი, ზედმ. „შუა შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და ჰიბრიდული **ორთასთველი** ოქტომბერი (ჯიქია 1975: 64), სადაც პირველი ნაწილი თურქული **orta** „შუა“, მეორე კი ქართველური **სთველი** = რთველი.

ნოემბრის თვე ლაზურში აღინიშნება ქართულიდან შეთვისებული **ნოემბერ**-ით, ასევე ზანური **წილვა** ფორმით, რაც „კრეფას“ ნიშნავს – **ოწილუ** მოწყვეტა ხილის, დაკრეფა – კატა-წანას უშქურ დივიქ მიფხორნან, არ წანას ვარ **მაწილეს**, მუფერ უშქურ იჩანენ ჰე-თ ვარ მიჩქინან „ყოველ წელს ვაშლს დევი გვიჭამს, ერთ წელსაც ვერ დავეკრევთ, როგორი ვაშლი გვიდგას, ეგეც არ ვიცით“ (დიუმეზილი 2009: 62).

გარდა ამ ფორმებისა, ლაზურში ხშირად გამოიყენება თურქული **ახირგაუზი** ნოემბერი, ზედმ. „ბოლო შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და ორენოვანი კომპოზიტები **ახირსთველი / სოლუნსთველი**, ზედმ. „ბოლო შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64).

მეგრულში სექტემბრის აღმნიშვნელი ეკენია-ს გვერდით გვხვდება **ღვარალა თუთა**. ი. ყიფშიძის განმარტებით, **ღვარალა თუთა**-ს ეძახიან მწყემსები სექტემბერს, რადგან ამ თვეში იცის ხშირი წვიმები (**ღვარი**) და ისინი იძულებული არიან, დატოვონ საზაფხულო სამოვრები (ყიფშიძე 1914: 244). თ. სახოკიას მოჰყავს სექტემბრის აღმნიშვნელი სინტაგმის ქართული შესატყვისი: **ღვარობისთვე** –

[ბოშიმ] **ღვარობისთვის** ცხვარი ბარად ჩამორეკა, გაკრიჭა (სახოკია 1985: 375).

ოქტომბრის აღსანიშნავად გამოიყენება მარტივი **გიმუა / გემუა** და კომპოზიტი **გიმათუთა / გუმათუთა / გგმათუთა** „ღომის თავთავის მოტეხა, მოწყვეტა (მოჭრა), [მო]მკა“, ოქტომბრის აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური სიტყვა ზედმიწევნით „მკათათვეს“, უფრო ზუსტად, „ცეხვის თვეს“ ნიშნავს.

ნოემბერი მეგრულად არის **გერგებათუთა / გერგობათუთა** (ყიფშიძე 1914: 244), ზედმიწევნით „გიორგობისთვე“ – წმინდა გიორგიმ ხატი აშო გეგმასვანჯეს დო ხატიში გიმასვანჯავაში დღასგ, ჯვეშით ვით **გერგებათუთასგ**, აღნიშნენა გიორგობას (ქხს 2016: 318) „წმინდა გიორგის ხატი აქეთ გამოასვენეს და ხატის გამოსვენების დღეს, ძველი სტილით („ძველით“) ათ გიორგობათვეს აღნიშნავენ გიორგობას“.

ზამთარი ლაზურში სიცივის, ყინვის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური **ყინვა / ყინობა / ცინი / ინვა** ფორმებით – **ინვაში** თუთაფე რენან: ხრისტანა, წანადანი დო კუნდურა „ზამთრის თვეებია: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი“ (ფოიერშტაინი 2000: 59); **ყინობა** მოხთუში დიდო დიდი მთვირი დომთუ „ზამთარი რომ მოვიდა ძალიან, ძალიან გათოვდა“ (სარფი 2015: 604).

საინტერესოა, რომ 2018 წელს გამოცემულ ნ. კაკაბაძის ლაზურ ტექსტებში პირველად გვხვდება ქართული **ზამთარ-ი** : მეგრული **ზოთონჯ-ი** : სვან **ზაჲ-ს** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 206) შესატყვისი ლაზური **ზონთო**: ჩქინ მიღუნან ყოროფა ნოღაშენ ოფუტეშა, აწი თი გევეჩანათ **ზონთო** მოხთიმაფაშა „ჩვენ გვაქვს სიყვარული ქალაქიდან სოფლამდე, ახლა თავი მოვაბათ ზამთრის მოსვლამდე“ (კაკაბაძე 2018: 191).

გარდა ქართველური ფორმებისა, ლაზურში აქტიურად გვხვდება თურქული **კიში** (kiş): **კიში** მოხთაის, ცინი **გა/ჯოლას-სის...** ოკაჩხე ვაგონი დოხომუ „ზამთარი რომ მოვა, სიცივე რომ ჩამოვარდება, მერე ვაგონი გაშრება“ (ჩიქობავა 1936: 105); **კიში** დოდგითუ „ზამთარი დადგა“ (ჩიქობავა 1929: 43).

ზამთარი მეგრულში გადმოცემულია საერთოქართველური **ზოთონჯი / ბზოთონჯი / ზოთონი** ფორმით. **ბზოთონჯ**-ში **ბ**- განვითარებულია – **ბზოთონჯ** თერი მოჩხუპუნა, ბზარხულს მოჩხუპუნა გოლოფა (ყიფშიძე 1914: 162) „ზამთარში თოვლი გვებრძვის (გვეჩხუბება), ზაფხულში გვებრძვის გვალვა“; **ზოთონჯი** მირტებუ, დუს იტყობინუნს (ქხს 2016: 418) „ზამთარი მირბის, თავს იმალავს“; მანგარ **ზოთონჯ** ჯგირი ზარხული მოყუნცია „მაგარ ზამთარს კარგი ზაფხული მოჰყვებაო“ (სიბრძნე 1994: 82).

ზამთრის დადგომას გამოხატავს მასდარი **დაზოთება**, ზედმ. „დაზამთრება“ და კომპოზიტი **ზოთონპიჯი**, ზედმ. „ზამთრისპირი“ (ქობალია 2010: 233, 310).

მძიმე ზამთრის, დიდთოვლობის აღსანიშნავად ზემოთ მითითებული შესიტყვებების გარდა (**უჩა ზოთონჯი** „შავი ზამთარი“; **უბადო ზოთონჯი** „მძიმე ზამთარი, დიდთოვლობა“) გვხვდება **გერანი / გერანუა** – სორე ჩხურუ **გერანიში** „სადაა ცივი ზამთრის სიცივე“ (ფიფია 2014: 37). ეს სიტყვა ზედმიწევნით მძლავრს, გადამეტებულს, ჭარბს ნიშნავს (ქობალია 2010: 94), თუმცა მეგრულ მეტყველებაში ძირითადად ცივ ზამთართან ასოცირდება.

დეკემბრის თვის აღსანიშნავად ლაზურში ძირითადად გამოყენებულია ბერძნულიდან შეთვისებული **ხისანა / ხისთანა / ხისტანა / ხისტონა / ხისტრონა / ხრისტა / ხრისტანა** (ბერძ. χριστιανία) დეკემბერი (მარი 1910: 234). იშვიათად გვხვდება ლაზური **ქრისტომინა** დეკემბერი (არონია 2010: 139), რომლის შემადგენელი ნაწილია ზანური **შინა** „ხსენება, ხსოვნა, გახსენება“. ეს უკანასკნელი ლაზური თვის აღმნიშვნელი რამდენიმე სახელის ნაწილია (**მარიაშინა, სტაროშინა... იხ. ზემოთ**).

დეკემბრის აღსანიშნავად ერთგან გვხვდება თურქული **კარაკიში** (karakiş) – **კარაკიშიში** ეჩდონჩხოვროს სარფის პატი კალაში ბარუ „დეკემბრის ოცდაცხრაში სარფში ძლიერმა ქარმა იქროლა“ (ჩიქობავა 1929: 96). **კაკიში / კარაკიში** კომპოზიტია, ზედმიწევნით „შავ ზამთარს“ ნიშნავს და ზამთრის სუსხიანი დროის აღსანიშნავად გამოიყენება (ჯიქია 1975: 64), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ის ნამდვილად დეკემბერს აღნიშნავს. საინტერესოა, რომ **ყარაყიში** ჩვენებურების ქართულშიც დეკემბრის მნიშვნელობით გამოიყენება (ფუტკარა-

ბე 1993: 468). შდრ. მეგრ. **უჩა ზოთონჯი** „შავი ზამთარი“ (ყიფშიბე 1914: 161); **უბადო ზოთონჯი** მძიმე ზამთარი, დიდთოვლობა (ქობა-ლია 2010: 607)

იანვრის თვე ლაზურში გადმოიცემა ზანური შესიტყვებით **თუთა მორდერი** (მარი 1910: 148), **თუთა დიდი** იანვარი (კარტოზია 2008: 80) და ზედმიწევნით ნიშნავს „გაზრდილ თვეს“, „დიდ თვეს“. მათ გვერდით გვხვდება თურქული **ზემერი / ზემფერი** (თურქ. zemher) იანვარი და **ენიილი – ენიილი**, გოუჯული, მარტი, აპრილი, ქერეზაი, ჩურღაი, აღუსთოზი, ეველგაფუზი, ორთაგაფუზი, კარაკიში... კაკიში „იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, დეკემბერი“ (ასათიანი 1974: 132).

თებერვლის აღმნიშვნელია ლაზური კომპოზიტი **ჭუტათუთა** (ჩიქობავა 1936: 77), ზედმ. „პატარა თვე“.

ხშირად გვხვდება, სავარაუდოდ, ქართულიდან შეთვისებული ბერძნული წარმოშობის **თებერზალა**, **თეფერვალი**: **თეფერვალიმ** თუთა-ნა გოჭკათ, მისი, ქერეზაიშა მთელი შეი ირგენ „თებერვლის თვეში რომ დავიწყებთ, მისი, ივნისი, ყველაფერი დაირგება“ (ასათიანი 1974: 132).

სიხშირულად თებერვლის აღსანიშნავად ლაზურში ყველაზე ხშირად გამოიყენება თურქული **გოუჯული** (თურქ. gücük) თებერვალი და მისი ფონეტიკური ვარიანტები **კუჭული / კუჭულა / კუჭული / ჯუჯული – კუჭულა** ქომოხთუ „თებერვალი მოვიდა“ (ჩიქობავა 1936: 80); **კუჭულაის** გებოჭკე „თებერვალში დავიწყე“ (იქვე, 81).

სავარაუდოდ, ბერძნულიდანაა შეთვისებული თებერვლის აღმნიშვნელი **კონდურა / კუნდურა / კუნტურა** – ჩქუნი კულგინი გოინწკუ 1930 წ. 17 **კუნდურას** „ჩვენი კოლმეურნეობა გაიხსნა (დაარსდა) 1930 წ. 17 თებერვალს“ (ჟღენტი 1938: 102), **კუნდურაში** დღას აიშე ქოჭოფუ მჩხური „თებერვლის დღეს აიშემ იყიდა ცხვარი“ (ჩიქობავა 1929: 104).

დეკემბრის აღსანიშნავად მეგრული ქართულის მსგავსად იყენებს კომპოზიტს **ქირსეთუთა / ქისეთუთა** (ყიფშიბე 1914: 244), ზედმ. „ქრისტეს თვე“ – ხაჯი ითასუუ **ქირსეთუთას** „ცერცვი ითესება

ქრისტეშობისთვის“ (ლოლა ნანა 2007: 309). გვაქვს ქართულიდან შეთვისებული **დეკემბერიც**.

იანვრის აღმნიშვნელი სიტყვა მეგრულს ქართულიდან აქვს შეთვისებული მცირედი ფონეტიკური ცვლილებით: **იანარი – იანარქე** მინი დო ჟირ საჯენი დოთუ „იანვარი შემოვიდა და ორი საჟენი მოთოვა“ (ლოლა ნანა 2007: 191).

თებერვალი მეგრულად **ფრევალი / ფრევაი** ფორმებით გადმოიცემა. იმავე მნიშვნელობისაა კომპოზიტი **ფურთუთა** (ქობალია 2010: 629), ზედმიწ. „ცუდი თვე“.

გამოყენებული ლიტერატურა

არონია 2010 – ი. არონია, კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში, თბილისი

ასათიანი 1974 – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი

დიუმეზილი 2009 – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი

ვანილიში 1964 – მ. ვანილიში, ა. თანდილავა – ლაზეთი, თბილისი

თანდილავა 2013 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

კაკაბაძე 2018 – ნ. კაკაბაძე, ლაზური ტექსტები, თბილისი

კალანდია 2008 – თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბილისი

კარტოზია 1972 – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი

კარტოზია 2008 – გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი

ლაზეთი 2015 – ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი

ლოლა ნანა 2007 – ლოლა ნანა, სერია „ქალთა მეხსიერება“, თბილისი

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.

ჟღენტი 1938 – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი

როგავა 1965 – გ. როგავა, დეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2

სარფი 2015 – სარფი, ბათუმი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი

სიბრძნე 1994 – ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ან-დაზები, შემდგენლები რ. შეროზია და ო. მემიშიში, თბილისი

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

ფიფია 2014 – დ. ფიფია, ბორჯი, თბილისი

ფოიერშტაინი 2000 – Wolfgang Feurstein, ლაზური-გერმანული-თურქული დიდი ნენა-ფონა, Handwörterbuch der Lasischen Sprache, Lasisch-Deutsch-Türkisch-Georgisch, Kaukasus-Verlag

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი

ქს 2016 – ქართველური ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), წიგნი გამოსაცემად მოამზადა ა. ლომთაძემ, თბილისი

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб

ყიფშიძე 1939 – ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფილისი

ჩიქობავა 1929 – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები (ხოფური კილოკავი), ტფილისი

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

ხუბუა 1937 – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯიქია 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი

MANANA BUKIA

Seasons and Months in Megrelian-Laz Vocabulary (Structural-Semantic Analysis)

Summary

In Megrelian-Laz the group of the vocabulary that include the names of seasons and months is quite diverse.

The paper discusses more than 170 word-forms, compounds and syntagms. A large part is common for Megrelian and Laz and another part of forms is restored on the level of the Common Kartvelian linguistic unity. In Laz the abundance of Turkish borrowings is apparent. The word-forms in a figurative sense are found very often.

**სამართო იზმარიულ-კავკასიური ლექსიკიდან:
ქართ. „ნახმვარი“, „ყმვარი“, „ნაწილი“ და მათ
შმსატყვისობათა მთის კავკასიურ ენებში
აგაბულაგისა და წარმოგავლობისათვის**

[ნაშრომი შესრულდა ფინანსური მხარდაჭრით:
Foundation for Polish Science - START 2018]

- ქართ. ნახევარი = ნა-ხევ-არ-ი, ძირია: -ხევ- < *-ხეჴ- < *-ყეჴ- < *-ყტენ-
- სვან. ხენსგა = ხენ-სგა, ძირია: ხენ- < *ხენ- < *ხევ- < *ხეჴ- < *ყეჴ- < *-ყტენ-
- ჩერქ. ნეყჴჳ < *ნაყჴა < *ყჴანა < *ყტენა
ჩეჩ./ინგ./ზაცხ. ახ < *ხან¹
- კარ. (1) რეყემა = რე-ყემ-ა, ძირია: -ყემ- < *-ყტემ- < *-ყტენ-
- (2) რეყელს = რე-ყელ-ს < *რე-ყენ-სი, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- აზგ. (1) მეჴედა < *მეყედა < *მეყენა = მე-ყენ-ა, ძირია: *-ყენ- < *-ყტენ-
- (2) მიყესი < *მეყესი = *მე-ყეს-ი, ძირია: -ყეს- < *-ყენ- < *-ყტენ-
- ზაგვ. რეყენს < *რეყენსი = *რე-ყენ-სი, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- ტინდ./ჭამ. (1) ზაყინ < *ზაყინ < *ზაყენა < *ზეყენა = ზე-ყენ-ა, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- (2) ზეყანა < *ზეყენა = ზე-ყენ-ა, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- ბოტლ. ზეყენ < *ზეყენა = ზე-ყენ-ა, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- ლოდ. (1) ზეყინ < *ზეყინ < *ზეყენა = ზე-ყენ-ა, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-
- (2) ზეყანა < *ზეყენა = *ზე-ყენ-ა, ძირია: -ყენ- < *-ყტენ-²

¹ [ასე ჩუხუა 2007 : 113; სხვანაირად კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 365. ამ ავტორების მიხედვით ძირი: *ახ აღდგება საერთო ნახურ ფუძე-ენაშიც.]

² [ენობრივი მასალა მოყვანილია კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 365 მიხედვით].

როგორც ვხედავთ ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე, დაღესტნურ ენათა უმეტესობაში (ლეზგიურ ქვეჯგუფს გარდა) დამოწმებულია ძირი: **-ყენ-** < ***ყუნ-**¹.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელური ფუძის გამოყოფა და ძირეული ნაწილის აღმოჩენა. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მიიღება, რომ აქ განხილულ სიტყვებში თავკიდური თანხმოვანი უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც გაქვავებული ამოსავალი კლას-ნიშანი: **ბ-, მ-, რ-,** რომელსაც მოსდევს დამაკავშირებელი ხმოვანი: **-ა-, -ე-, -ო-**. ამის გათვალისწინებით, რომ **-ე-** ხმოვანი ენათა უმეტესობაში დადასტურებულია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის არის ამოსავალი და აღდგება საერთო დაღესტნურ ფუძე-ენაში.

ცვლილებები: ***-ე- < -ა-** ან ***-ე- > -ო-**, რომლებიც გვხვდება ზოგ ენაში, ბგერითი გარემოცვის ზეგავლენით შეპირობებულია:

ახვ. მიყესი = მი-ყეს-ი < ***მი-ყეს-ი**, სადაც გვაქვს დისტანციური რეგრესული ასიმილაცია:

***ე-ი > ი-ი.**

ასეთივე მოვლენას ადგილი აქვს დარგ. **ბაღალა** -ში < ***ბეღალა**⁴, სადაც:

***ე-ა-ა > ა-ა-ა** და ტინდ./ჭამ. **ბაყინ** <...< ***ბეყენა**, სადაც აგრეთვე: ***ე-ა > ა-ა².**

¹ [ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია პოსტულირებულია ჩერქეზულ და ქართველურ ენათა შედარებით მონაცემთა საფუძველზე. ამის შესაბამისად შეიძლება მივიღოთ, რომ ძირეული თანხმოვანი ***ყ** აღსადგენია საერთო დაღესტნურში და წარმოიშვა ადრინდელი საერთო იბერიულ-კავკასიური ლაბიალიზებული ***ყტ** -ისგან: ***ყ- < *ყტ-**.

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა სტატუსი და მათ წარმომავლობა საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას. ჩემი მოსაზრებით რამდენიმე არგუმენტი მხარს უჭერს ჰიპოტეზს, რომ ასეთი თანხმოვნები სინამდვილეში არსებობდნენ უკვე ფუძე-ენაში (იხ. ქვემოთ). ტოპოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება დავამატოთ კიდევ, რომ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რიგი რეკონსტრუირებულია საერთო ინდო-ევროპულ ფუძე-ენაშიც.

ხოლო კავკასიოლოგთა შორის სხვა ავტორები დარწმუნებული არიან მათ მერეულბაზე, შდრ. არდოტელი : 2009; გიგინეიშვილი : 1977].

² [დარგ. **ბაღალა** იყოფა: **ბა-აჯ-ალა**, სადაც ძირი: **-იჯ-** < ***-ჯი-** < ***-ჯტი-** < ***-ყტი-**. მსგავსი ბგერითი ვითარება დამოუკიდებლად დასტურდება უდიურში (იხ. ქვემოთ). სლვიქსი: **-ალა-** დამოწმებულია დარგულ რაოდენობით რიცხვით სახელებში.

ძირი აქ რეკონსტრუირებულია: ***-ყტენ-** და ამ ნაშრომში ივარაუდება ლაბიალიზებული აფრიკატის ***ყტ-** არსებობა იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში.

მაშინ საკმაოდ ადვილად იხსნება ძირეული თანხმოვნის გემინაცია ხვარშულ ფორმაში:

ბეყანა = ბე-ყან-ა < *ბე-ყენ-ა. სავარაუდოდ ლაბიალიზაციის მომენტის დაკარგვა იყო კომპენსირებული თანხმოვნის გემინაციით: ***-ყტე- > -ყე-**.

პარალელური პროცესი გვევლინება ლაკ. **ჭათა = ჭა-თა** , სადაც ძირია: **ჭა- < *ჭტა-** „სახლი“.

გარდა ამისა ლაბიალიზებული თანხმოვანი მოვლენილია ჩერქეზულშიც: **ნგყტჷ**.

შიეძლება კიდევ დავამატოთ, რომ ლაბიალიზებული თანხმოვნის აღდგენა ხშირად ცხადყოფს აგრეთვე ზოგ სხვა კონსონანტურ ან ვოკალურ ცვლილებას, მაგ.:

უდ. **პა < *პტა < *ყტა** „ორი“, შდრ.:

თაბ. **ყუბ = ყუ-ბ**, სადაც: **ყუ- < *ყუ- < *ყტუ- < *ყტა-** „ორი“

ჰინ. **ყონო = ყო-ნო**, სადაც: **ყო- < *ყტო- < *ყტა-** „ორი“

ამ პრობლემის დეტალური მსჯელობა აღემტება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს.

კარ. **რეყემა = რე-ყემ-ა**, სადაც: **-ყემ- < *ყტემ- < *-ყტენ-** ბოლოკიდური ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია სავარაუდოდ წინანდელი ლაბიალიზებული აფრიკატის დისტანციური ზეგავლენით გამოწვეულია: ***ყტ-ნ > ყტ-მ**.

ძირეული ხმოვნის ცვლილება: ***-ყენ- > -ყინ-**, რომელიც დასტურდება ტინდ./ჰამ., ლოდ. და უდიურში მდგომარეობს არტიკულაციის დავიწროებაში ადგილმდებარეობაში აუსლაუტიანი ცხვირისმიერი სონორანტის წინ: ***-ენ-# > -ინ-#**.

პარალელურ ფონეტიკურ პროცესს გვიჩვენებს მაგ.:

ლოდ. **ინხი < *ენხი**, შდრ. ბეჟ. **ეზუ < *ენზუ** „მდინარე“ [არდოტელი 2009 : 56].

ჩემი შეხედულებით სწორედ ამ სიტყვაში შემონახულია ამ სუფიქსის ამოსავალი სახე. რიცხვით სახელებში სუფიქსის უკანასკნელი ხმოვანი დაქვემდებარა აპოკოპას: ***-ალა- > -ალ-**, მაგ.: **აჭალ = აჭ-ალ < *აჭ-ალა** „ოთხი“ **გეჭალ = გეჭ-ალ < *გეჭ-ალა** „რვა“].

კარ. რეყეს = რე-ყენ-ს < *რე-ყენ-სი გვხვდება პოზიციურად შეპირობებული ძირეული ხმოვნის ნაზალიზაცია. ასეთი პროცესი დამოწმებულია სხვა ენებშიც, მაგ.:

კამ. ლ'ენ < *ლ'ენ < *ლ'ენი, შდრ. ლოდ. ლ'ენი „წყალი“

ინჰ. ცენ < *ცენ < *ცენი, შდრ. ხუნძ. წუნ „არწივი“ [არდოტელი 2009 : 63].

ზოგ ენაში ძირეულმა თანხმოვანმა განიცადა ბგერითი ცვლილება, მაგ.:

კარ. რეყემა = რე-ყემ-ა, სადაც: -ყემ- < *-ყუმ- < *-ყუმენ- (ასიმილაციური ლაზიალიზაცია)

ახვ. მიყესი = მი-ყეს-ი < *მე-ყეს-ი, სადაც: *-ყეს- < *-ყენ-, რაც შეიძლება იყოს განმარტებული როგორც ნაწილობრივი დისტანციური პროგრესული ასიმილაცია: ყ-ნ > ყ-ს.

მსგავს პროცესს ვხედავთ ახვ. მექედა = მე-ქედ-ა < *მე-ყედ-ა < *მე-ყენ-ა -ში, სადაც სავარაუდოდ ჯერ: *-ყენ- > *-ყედ-, მერე: *-ყედ- > -ქედ-.

განსაკუთრებით საინტერესო ჩანს კარატაული ფორმა: რეყეს = რე-ყენ-ს < *რე-ყენ-სი.

ჩემი შეხედულებით ეს სიტყვა წარმოიქმნა კონტამინაციის შედეგად:

*რე-ყენ-ი ↔ *რე-ყე-სი > რე-ყენ-სი.

ეს შეეხება აგრეთვე ბაგვ. ფორმას რეყენს = რე-ყენ-ს < *რე-ყენ-სი, რომელშიც ბოლოვლური ხმოვანი გაუჩინარდა და წინანდელი თანხმოვანი დაექვემდებარა საკომპენსაციო გამაგრებას.

მ. ჩუხუა მიიღებს, რომ ზემოთ შესწავლილი ძირი ნაზმნარია და უკავშირდება მაგ.

კარ. რეყ = რ-ეყ „გაყოფა“ [ჩუხუა 2017 : 428], რასაც ვეთანხმები. სემანტიკური ვითარება:

გაყოფა → გაყოფილი ნაწილი → ნახევარი გასაგები ჩანს.

უნდა გავამხვილოთ, რომ ზემოთ აღდგენილი ძირი -ყენ- < *-ყუმენ- დასტურდება არა მხოლოდ დალესტურ ენებში, არამედ სავარაუდოდ აგრეთვე ჩერქეზულში:

ჩერქ. ნეყუზ < *ნაყუა.

თუ მიიღება, რომ ეს ძირი ე.წ. შებრუნებული წყობის ძირ-ფუძეთა ჯგუფს განეკუთვნის, მაშინ შესაძლებელი ხდება რეკონსტრუქცია:

***ნაყტა < *ყტანა < *ყტენა**, რაც სრულიად ეთანხმება დადესტნურ მასალას.

ჩერქ. **ნეყტა** ძირეულია და არ ექვემდებარება შემდგომ განაწილებას (კვახაძე 2014 : 227).

შესატყვისი ძირი იძებნება ქართველურ მასალაშიც, სადაც გამოვლენილია სიტყვა: **ყუნცული** - „სამ-ურმეული ძნა“ (საბა) [ჯავახიშვილი 1937 : 388].

თუ მიიღება, რომ: **ყუნცული < *ყუნცალი** ხმოვანთა დისტანციური ასიმილაციის შედეგად:

***უ-ა > უ-უ**, მაშინ ეს სიტყვა შეიძლება იყოს მიჩნეული ლექსიკალიზებულ კომპოზიტად: **ყუნ-ცულ-ი < *ყუნ-ცალ-ი**.

კომპოზიტის მეორე წევრი შემონახულია თანამედროვე ქართულშიც მისი ადრინდელი ფონეტიკური სახით: **ცალი**¹.

პირველი წევრი სავარაუდოდ ეყრდნობა ***ყტენ-** ძირს, რომლიც საც ფონეტიკური

განვითარება წარმოსადგენია: ***ყტენ- > *ყტუნ- > ყუნ-**. ხმოვნის ლაბიალიზაცია: **ე > უ** ამ

ბგერით გარემოცვაში ბუნებრივი მოვლენაა.

პარალელური აგებულების მქონე მაგალითია:

ქართ. **საყუდარი = სა-ყუ-დ-არ-ი** „თავშესაფარი“², სადაც ძირეული ელემენტია:

-ყუ- < *-ყტუ- < *-ყტა-.

მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ დადესტნურ ენათა შედარებითი მონაცემების გათვალისწინებით, მაგ.:

ხუნძ. **რუყ = რუ-ყ**, სადაც: **-ყ < *ყუ < *ყტუ < *ყტა**

ანდ. **ჰაყუ = ჰა-ყუ**, სადაც: **-ყუ < *ყტუ < *ყტა**

ხვარშ. **ჰაყტა = ჰა-ყტა** „სახლი“

¹ [„ყუნცული“ და „ცალი“ სიტყვების აგებულებისა და წარმომავლობისათვის შდრ. კანარკოვსკი : 2015ა. ამ ნაშრომში -ც- ითვლება განვითარებულ სეგმენტად].

² [ამ სიტყვის აგებულებისა და წარმომავლობისათვის შდრ. კანარკოვსკი : 2015ბ. მეორე ვარიანტი: **საყდარი < საყუდარი**].

თუმცა ამ შემთხვევაში სემანტიკური განვითარება ცოტა გართულებულია, არ წარმოადგენს გადაულახავ სიმძნელს. უპირველეს ყოვლისა უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ არსებობს ბუნებრივი კავშირი „ნახევარი“ და „ორი“ სიტყვებს შორის, რადგან გაგაყოფა ნახევრად ნიშნავს გაყოფას ორ ნაწილად. ამის საფუძველზე კომპოზიტის პირველი წევრის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აღსადგენი იქნებოდა: „ორი (ნაწილი)“.

მეორე სეგმენტს რაც შეეხება, ის შესადარებელია „ერთის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელთა ძირთან მთის კავკასიურ ენებში, მაგ.:

ლაკ. ცა < *ცუა¹

აფხ. ა-ძუგ, სადაც: -ძუგ < *-ძუა < *-ცუა „ერთი“²

ამის შესაბამისად მეორე წევრის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აღდგება: „ერთი“.

ზემოხსენებულის თანახმად მთელი კომპოზიტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს გაგებული:

ორი + ერთი → სამი. ასეთი ჰიპოთეზის სისწორე ამტკიცებს სულხან საბას ლექსიკონში მოცემული დეფინიცია: ყუნცუი = „სამურმეული ძნა“.

გვიანდელი ვითარება: სამი → სამ-ურმეული ძნა სემანტიკური კონკრეტიზაციის მაგალითია. ანალოგიური გვევლინება სიტყვა „ყევარ“ -ში [ჯავახიშვილი 1937 : 403].

ჩემი მოსაზრებით ასეთი ინტერპრეტაცია უფრო დამაჯერებელია ვინემ მორფემული სეგმენტაცია: ყუნც-ულ-ი (ჩუხუა 2017 : 445), რომელიც ფორმალურად სრულიად დასაფუძვლებული ჩანს, მაგრამ ვერ ცხადყოფს სემანტიკურ დეტალებს.

თუ ივარაუდებთ, რომ ძირი: ყუნც- უკავშირდება აფხ. ა-ყუარჩ“ „კოშკი“ (ჩუხუა 2017 : იქვე), სემანტიკური ურთიერთმიმართება გა-

¹ [ლაზილიზაცია პოსტულირებულია მხოლოდ შესატყვისი აფხაზური ფორმის საფუძველზე. დამატებითი საბუთი შეიძლება იყოს ხმოვნის ლაზილიზაცია, რომელიც გამოვლენილია ზოგ დადესტურ ენაში, მაგ.:

ხუნძ. ცო-გო, სადაც ძირი: ცო- < *ცუო- < *ცუა-

არჩ. ოს < *სო < *ცო < *ცუო < *ცუა „ერთი“].

² [ეს ძალიან იშვიათი სიტყვაა. მოცემულია მხოლოდ ჯავახიშვილის 1937: 137 მიერ მნიშვნელობით „ერთი ადამიანი“].

უგებარი ხდება, მით უმეტეს არ მიუთითებს არანაირ რიცხვით მნიშვნელობაზე.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ქართ. სიტყვა: **ყვეარი** = „**ორ უღელა ხარი**“. ეს არსებითი სახელი იყოფა: **ყვე-არ-ი**, სადაც **-არ-** სუფიქსი - დეტერმინანტია.

ასეთ შეხედულებას იზიარებს მ. ჩუხუა, რომელიც ამტკიცებს, რომ **ყვე-არ-ი** ნაზმნარი დერივატია, რომლისაც ამოსავალი მნიშვნელობა აღსადგენი იქნებოდა:

„**რაც გაყოფილია**“, „**რაც დანაწილებულია**“ [ჩუხუა 2000-2003 : 285].

ასეთ შემთხვევაში სემანტიკური კავშირი რიცხვს „ორთან“ გასაგები ჩანს, თუ მიიღება, რომ განხილული სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა იყო:

ორ ნაწილად გაყოფილი → **გაყოფილი (საერთოდ)**.

ეს უფრო ცხადი ხდება, როცა ივარაუდება, რომ ძირი **ყვე-** უკავშირდება ***ყენ-**ს, რაც შესაძლებელი არის, თუ მიიღება ფონეტიკური განვითარება:

ყვე- < ***ყუვე-** < ***ყუნ-** (გადასვლა: ***-ნ** > **-ვ** ასიმილაციური ლაბიალიზაციის შედეგად).

ვიზიარებ ი. ჯავახიშვილის შეხედულებას, რომ ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე ძირი **-ხევ-** [ჯავახიშვილი 1937 : 403], რომელიც გამოვლენილია სიტყვა „**ნახევარ**“-ში = **ნა-ხევ-არ-ი**¹ და წარმოიშვება ადრინდელი: ***ნა-ყვე-არ-ი** -ისგან, სადაც ძირია: **-ხევ-** < ***-ყვე-**.

თანხმოვნის გადასვლას: **-ყ-** > **-ხ-** რაც შეეხება, ის გვევლინება სხვა სიტყვებშიც როგორც ქართულსა ისევე მეგრულში, მაგ.:

(საბა) **ყლაპი** || **ხლაპი**

ქართ. **საყდარი** || **სახტარი**

მეგრ. **ყვიჩილა** || **ხვიჩილა** [ჯავახიშვილი 1937 : 403]

აქ პოსტულირებული ძირი **-ყვე-** რეალურად დასტურდება დიალექტურ მასალაში, სადაც იძებნება ფორმები: **ყვე-არ-ი** და მისი დერივატი **საყვეარი** = **სა-ყვე-არ-ი** [ზედგინიძე : 2014]. დამოწმებულია აგრეთვე ტოპონიმი: **ნაყვეარი** (სოფელი).

¹ [ასეთივე სემანტიკისა და ფონეტიკის გვამლევს ჩიქობავა 1942 : 182. ამ სიტყვის სხვა ეტიმოლოგიისათვის შდრ. ჩუხუა 2017 : 543].

მ. ჩუხუამ ერთმანეთთან დაუკავშირა „ნახევრის“ აღმნიშვნელი ძირები ქართველურსა და ნახურ ენებში [ჩუხუა 2007 : 435]. ავტორმა აგრეთვე მიიღო, რომ ქართ. ნა-ხევ-არ- ში ძირია: -ხევ- < *-ხეჴ- და მიუთითა ბგერათშესატყვისობაზე უ : ნ ქართველურ და ნახურ ენებს შორის [ჩუხუა 2007 : 113].

ამის შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ ბგერითი განვითარება:

*ხან- < (*ხამ- ?) < *ხავ- < *ჯავ < *ჯევ- < *ყევ-

სპირანტიზაციის: ჯ > ხ შემთხვევები გვხვდება იბერიულ-იჩქერიულ მასალაში [ჩუხუა იქვე : 207 და 2017 : 543].

ამ ძირის ვოკალიზმს რაც შეეხება, ავტორმაც დაადგინა ბგერათშესატყვისობა ს. ქართვ. ე : ს.ნახ. ა [ჩუხუა 2007 : 46].

იქნებ, არსებობს კიდევ ერთი „ნახევრის“ ეტიმოლოგიზაციის შესაძლებლობა.

ეს სიტყვა შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული როგორც სახელური დერივატი ნა-...-არ-ი ტიპისა, როგორც მაგ.:

ბალახი → ნაბალახარი = ნა-ბალახ-არ-ი

სახლი → ნასახლარი = ნა-სახლ-არ-ი

მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ნომინალიზაცია მეორეულია და ამოსავალი ზმნური ძირი ვლინდება: ხევა = ხევ-ა, გახევა = გა-ხევ-ა-ში, რაც სემანტიკურად მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ მოტანილ მნიშვნელობას: დაჭრა, გაყოფა.

აქვე მინდა დავამატო, რომ ვერ ვიზიარებ ა. ჩიქობავას მოსაზრებას, რომ ნა-ხევ-არ-ი ამოსავლად იხმარებოდა მოსალოდნელი ფორმის: *ნა-ორ-ალ-ი ნაცვლად და განეკუთვნის ამავე სადერივაციო ტიპს როგორც მაგ.:

ძვ. ქართ. ნასამალი = ნა-სამ-ალ-ი „მესამე“

ძვ. ქართ. ნახუთალი = ნა-ხუთ-ალ-ი „მეხუთე“ [ჩიქობავა 1942 : 182]

ჩემი აზრით ასეთი ინტერპრეტაცია დაუშვებელია, იმიტომ რომ -არ- და -ალ- ორი განსხვავებული სუფიქსია.

ამ შემთხვევაში სემანტიკური განვითარება წარმოსადგენი იქნებოდა:

ხევა (ზმნა) → ხევა (სახელი- მოქმედების სახელწოდება) → ნა-
ხეგ-არ-ი (მოქმედების ადგილი). ამის შესაბამისად სიტყვის ეტიმო-
ლოგიური მნიშვნელობა მაშინ აღდგებოდა:

„ადგილი, რომელიც იყო გახეული, გაყოფილი“.

დავამატოთ, რომ ზმნური ძირი -ხეგ- < *ხეჲ- დამოწმებულია
არა მხოლოდ ქართულში არამედ სხვა ქართველურსა და აფხაზურ-
ადიღურ ენებშიც [ჩუხუა 2017 : 543].

ლაკ. დაჭი = და-ჭი, სადაც ძირია: -ჭი < *-კი

ჩემი აზრით გამორიცხული არ არის, რომ ლაკ. და-ჭი < *და-კი
სხვა ძირზე დამყარებულია და უკავშირდება „ორის“ აღმნიშვნელ
ძირს: კი-, შდრ.:

ხუნძ. კიგო = კი-გო

ახვ. კიდა = კი-და

ჭამ. ეჭიდა = ე-ჭი-და „ორი“

ერთ ზემოხსენებულ მაგალითში ვხედავთ პარალელურ პალა-
ტალიზაციას:

ჭამ. ე-ჭი-და, სადაც ძირი: -ჭი- < *-კი-.

სემანტიკური კავშირი „ორი“ და „ნახევრის“ აღმნიშვნელ სი-
ტყვეს შორის გასაგებია.

ამ სიტყვის აგებულების ახსნის მეორე შესაძლებლობას გვამ-
ლევს, იქნებ, ნ. არდოტელის მიერ წარმოდგენილი ანომალური რეფ-
ლექსების კონცეპცია, რომლის შუქზე დაშვებულია არარეგულარუ-
ლი ბგერათშესატყვისობანი კ : ყ. ამ შემთხვევაში:

-ჭი- < *-კი-, რომელიც დგას მოსალოდნელი *-ყი- ის ადგილზე
[არდოტელი 2001 : 592-593].

ლეზგ. ზურ < *სურ = სურ-რ, ძირია: *სურ- [< *ცურ-] < *წურ- < *წურ-
< *წუბი-

თაბ. ჰაწ = ჰა-წ, ძირია: -წ < *წურ < *წურ- < *წუბი

ად. სურ = სურ-რ, ძირია: სურ- < *წურ- < *წურ- < *წუბი-

წახ. სურა = სურ-რა, ძირია: სურ- < *წურ- < *წურ- < *წუბი-

რუტ. სურ < *სურა = სურ-რა, ძირია: სურ- < *წურ- < *წურ- < *წუბი-

უდ. ჳდ < *ჯი < *ჯუბი- < *ყუბი- < *ყუბინ < *ყუბენ

უდიურში შემონახულია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯ-გუფში მოვლენილი ძირი, რომელმაც განიცადა ბგერითი ცვლილება. თანხმონის დეზაბრუპტივიზაცია: *ყ > ჯ უდიურში გვხვდება [ტალიბოვი 1980 : 338].

ყურადღებას იქცევენ ლეზგიურ ენათა „ნახევრის“ აღმნიშვნელი სიტყვები. თუ ივარაუდება, რომ ბოლოკიდური სეგმენტი -რ, -რა გაქვევებულ კლას-ნიშანს წარმოადგენს, მაშინ წინანდელი სუ-/ზუ- უნდა იყოს მიჩნეული ძირად. ფონეტიკურად დაშვებული ჩანს ამ მორფემის დაკავშირება თაბასარანულ წ-სთან, თუ მიიღება ზემოთ აღწერილი ბგერითი ცვლილებები.

ბ. ტალიბოვის მიხედვით აბრუპტივი აფრიკატა აღსადგენია ლეზგიურ ფუძე-ენაში და შემონახულია თაბასარანულში, მაგრამ გვიანდელ განვითარებაში ზოგ შემთხვევაში გადავიდა სპირანტში: *წ > ს წახურულსა და რუტულურში, რასაც ზემოთ მოყვანილი მონაცემები ამტკიცებენ [ტალიბოვი 1980 : 337].

ლეზგიურში აგრეთვე შესაძლებელია გადასვლა: *წ > ც [ტალიბოვი 1980 : 295] და გვიანდელი ვითარება წარმოსადგენია: *ცუ-რ > *სუ-რ > *ზუ-რ.

როგორც აფრიკატის გამარტივება: ც- > ს- ისევე სპირანტის გამჟღერება: ს- > ზ- აიხსნებოდა დისტანციური ასიმილაციით: ც-რ > ს-რ > ზ-რ.

რაც განსაკუთრებით თვალსაყრდენია, აქ განხილული ძირი შეიძლება იყოს დამოწმებული ქართველურ მასალაშიც, შდრ.:

ქართ. ნაწილი = ნა-წ-ილ-ი¹ < *ნა-წი-ილ-ი, სადაც ძირია: -წი- < *-წტი-².

გამორიცხული არ არის, რომ აქაც განეკუთვნინს ზმნური ძირი -ჭ- „დაჭრა“ [ხაიდაკოვი 1973 : 139], რომელიც გვევლინება ზოგ დალესტურ ენაში. რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, თუ მიიღება, რომ: -ჭ- < *-წ- არტიკულაციის უკან გადაწევის შედეგად [შდრ. აბაშია: 2008], მაგ.:

¹ [მსგავსი სეგმენტაცია: წილი = წილ-ი გვამღვეს ჩიქობავა 1942 : 57-58; სხვანაირად ჩუხუა 2017 : 521, რომელიც თვლის -წილ- მორფემას გაუნაწილებლად].

² [სწორედ დალესტურ ენათა შედარებით მონაცემებზე დაყრდნობით პოსტულირებულია ძირეული თანხმონის ლაბიალიზაცია ს. იბერ.-კავკ. ფუძე-ენაში].

ხუნძ. ბუჭიზე = ბუ-ჭი-ზე

დიდ. უჭუა = უ-ჭუ-ა

ჰუნზ. უჭა = უ-ჭ-ა [ხაიდაკოვი 1973 : 139]

სემანტიკური განვითარება შეგვიძლია ადვილად წარმოგვიდგინოთ:

დაჭრა → **დაჭრა** = **გაყოფა ნაწილად** → **რაც დაჭრილია, გაყოფილია ნაწილად** → **ნაწილი**

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშია, 2008 – რ. აბაშია, სიბილიანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დაღესტნურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი 2008

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა, თბილისი 2009

გიგინეიშვილი 1977 – **Б. Гигинеишвили**, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси 1977

ზედგინიძე 2014 – გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი 2014

კანარკოვსკი 2015 (ა) – რ. კანარკოვსკი, საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკიდან: ქართ. „ტყუბი“ / „წყვილი“, „ყუნცული“ და „ორტყუ“ / „ორთხუ“ / „ბორტყუა“ ფუძეთა აგებულებისა და წარმომავლობისათვის [:] ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. XII - 2015

კანარკოვსკი 2015 (ბ) – რ. კანარკოვსკი, შებრუნებული წყობის ძირთა ტეორია და მისი მნიშვნელობა აფხაზურ-ჩერქეზულ და დაღესტნურ ენათა ეტიმოლოგიური შესწავლისათვის [:] კავკასიოლოგიური ძიებანი [იბეჭდება]

[თეზისი დაბეჭდილია: არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი 2015, გვ. 12-14]

კვახაძე 2014 – ა. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 2014

კლიმოვი, ხალილოვი 2003 – Г. Климов, М. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва 2003

ტალიბოვი 1980 – Б.Б. Талибови, Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва 1980

ჩიქობავა 1942 – ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენათა შეარებითი ლექსიკონი, თბილისი 2000-2003

ჩუხუა 2007 – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი 2007

ჩუხუა 2017 – მ.ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი 2017

ხაიდაკოვი 1973 – С. М. Хаидаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва 1973

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი 1937

R A D O S L A W K A N A R K O W S K I

**From Common Ibero-Caucasian Lexicon:
Structure and Origin of the Georgian Words: *naxevari* / *qevari* / *naçili*
and Their Counterparts in Mountain Caucasian Languages**

Summary

In the paper structure and etymology of the Georgian words: **na-xev-ar-i** „half“, **qev-ar-i** „bull with two yokes“ and **na-ç-il-i** „part“ are discussed. Rich comparative material from various Mountain Caucasian languages was adduced in order to prove that these words belong to common Ibero-Caucasian linguistic heritage.

**ღამატბანნი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური
ლექსიკონისათვის - VI¹**

წინამდებარე სტატიით განვაგრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

***ბაყ-ბაყ-**

ქართ. **ბაყ-ბაყ**-ი (ქეგლ) “ბოხი, უშნო ხმა || ასეთი ხმით ლაპარაკი”, (ქხპ) “ყიყინი”

სვან. (ჩლრ.) **ბაყ-ბაყ**-ი “დიდი ყბედი კაცი ხმამალა ბევრს ლაპარაკობს”, (ლნტ. - ტექსტები, 77, 28) ბაყაყი ლი-**ბაყ-ბაყ**-ი “ბაყაყის ყიყინი”

ქართ. **ბაყ-ბაყ**- “ყიყინის” მნიშვნელობით დასტურდება ხალხურ ენის გასატეხში: “ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყებს ბაყბაყ მდევით” (ქხპ, VIII, № 829, გვ. 169, 475). ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ეს ფუძე არც ამ და არც ქეგლ-ში მოცემული მნიშვნელობით არ ჩანს და, ამდენად, თითქოს არც სვანური ენის ჩოლურულ და ლენტეხურ დიალექტებში გამოვლენილი **ბაყ-ბაყ**- ფუძე უნდა იყოს ნასესხობა.

***ბიო-**

***ბიო-ბიო-**

¹ დასაწყისი იხ.: “ეტიმოლოგიური ძიებანი – X”, თბილისი, 2013, გვ. 3-26, “ეტიმოლოგიური ძიებანი – XI”, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39, “ეტიმოლოგიური ძიებანი – XIV”, თბილისი, გვ. 18-32, “ეტიმოლოგიური ძიებანი – XV”, თბილისი, გვ. 30-41.

ქართ. (ქართლ.) **ბიო-ბიო!** “ინდაურების დამახეზა”, (ინგილ.) **ბიი-ბიი** “ჭუკი; ინდაურების მოსახმობი ხმა” ზან. (მეგრ.) **ბიო** “იხვის ნაშიერი”, **ბიობია, ბიობია!** “იხვისა და მისი ნაშიერის მოხმობა”

არქეტიპი, სავარაუდოდ, შინაურ ფრინველს (იხვს?) და იმავდროულად მის მოსახმობ ხმასაც აღნიშნავდა. ხომ არ შეიძლებოდა ქართულ-ზანური მასალისათვის დაგვეკავშირებინა სვან. (ზზ.) **ბიტ-ბჭჭ**, (ბქ.) **ბიტ-ბაჭ** “ალიაქოთი, ხმაური”?

***ზოყ-ინ-**

ქართ. **ზოყ-ინ-ი**

ზან. (ლაზ.) **ო-ზოღ-ინ-უ, ზოყ-ინ-უ-ა** “ზოყინი”

***ზოხ-**

ქართ. **ზოხ-ი** (ქეგლ) “დაბალი მსხვილი ხმა (მამაკაცისა)”

ზან. (მეგრ.) **ზოხ-ო** “დიდი, მსხვილი”

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის – თავად ზედსართავ “მსხვილის” გარდა, რომელიც ორივე შეპირისპირებული ლექსიკური ერთეულის განსამარტებლად არის გამოყენებული – შდრ., ასევე, მაგ., ფერეიდნული **ბულურ-ი** “ხე რო სქელია იტყიან: ბულურ ხე. ადამიანის ხმასაც ეტყიან ბულურ ხმა აქ” (<http://corpora.co/#/dictionaries>; ფერეიდნული სალექსიკონო მასალა - მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე; 23.10.2019) და ინგლ. **thick** “სქელი, ხშირი.... ბოხი”.

***გირგილ-**

ქართ. (შ. ფუტკარაძე – ჩვენებურების ქართული) **გირგილ-ობ-ენ** “მხიარულობენ, ტკბილად საუბრობენ”

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ლი-გირგილ-ალ** “შორიდან მოსიყვარულება”.

ხომ არ უკავშირდება შეპირისპირებულ მასალას ქართული ენის გურულ დიალექტში პოვნიერი **გირგილ-ი** “ქარის ქროლა” (კიწ-მარიშვილი, კალანდაძე 2016, 98)? მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ., მაგ.: (ქეგლ. – იმერ., გურ.) **უ-ქირქირ-ებ-ს, უ-ქირქილ-ებ-ს** “უბერავს, უქრის, უსისინებს”, **ქირქილ-ი** “1. ნელი ქროლა ნიავისა, სიოსი; გადატ. ჩუმი, ნელი სიცილი, ხითხითი”, **ქირქირ-ი** (იმერ.) “ჩახითხითება, უხმოდ ჩაცინება” [(თუშ. – გ. ცოცანიძე) **ქირქირ-ი** (**ქირქირ-ებ-ს**) “ემმაკური სიცილი, ხითხითი”, (ხევს.) **ქირქი-ალ-ებ-ს** “უშნოდ, უგვანოდ იცინის”...]; შდრ., ასევე, ერთი მხრივ, ქართ. **ქი-**

ქინ-ი “ქარის ქროლა, ზუზუნი” და, მეორე მხრივ, ზან. (მეგრ.) ქირ-ქინ-ი “ქირქილი”, (ლაზ.) ო-ქირქინ-უ “კისკისი; სუნის გავრცელება”. როგორც ჩანს, ყველა ეს ფორმა საერთო *ქირქირ- ძირიდანაა წყარო და ამ ძირის მჟღერ განაყარ *გირგილ- არქექტივისთვისაც ამოსავალი სწორედ “სიოს, ნიავის ქროლის” სემანტიკა უნდა იყოს.

*გომ-

ქართ. გომ-ია “პატარა ძაღლი, ფინია”

სვან. (ზზ. - გაზდელიანი 2014) გამუ “ხვადი კატა”

სვან. გამუ < *გამტ-ღ < *გტემ-ი < *გრმ-ი < *გომ-ი; ანალოგიური განვითარებისათვის შდრ. მ. ქალდანის მიერ ნავარაუდები პროცესი: ლშზ., ზზ. ეერუ < ზზ. ეერტ-ღ, ლნტ. ეერზ-ი < *ეტერ-ი < *ორ-ი (ქალ-დანი 1969: 144).

მნიშვნელობათა “პატარა ძაღლი” და “კატა” დაკავშირებისათვის შდრ.: სქ. *ციბ-ა- > ქართ. ციბ-ა “ტანმორჩილი ძაღლი, ფინია, გომია” – ზან. (მეგრ.) ციბ-ა “კატა” (ჩვენი “დამატებანი – V”; იხ., ასევე, ლომთათიძე 1984, 25). ქ. ლომთათიძის მართებული მოსაზრებით, “კატის ამ მოხმობის სახელის ძაღლის, კერძოდ, ფინია ძაღლის მიმართ გამოყენება თვით ამ ფუძის საალერსო შინაარსით (პატარის მოსაფრებელი შინაარსით) უნდა განისაზღვრებოდეს”.

*დოლ-

ქართ. (ქართლ.) შე-დოლ-ავ-ს “შეაბოტებს, შეალაჯებს” სვან. (ჩლრ.) ლი-დრლ-ალ “დაუპატიჟებლად, გაუფრთხილებლად სტუმრობა”

ამოსავალ ძირს “(სადმე, ვისთანმე) მოურიდებლად, გაუფრთხილებლად შესვლის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა?

*დორდოლ-

ქართ. დორდოლ-ი (მოხ., ხევს., თუშ., ქიზიყ., ვერეიდნ.) “დორბლი”

სვან. (ჩლრ.) დორდოლ “სითხეზე ზევიდან მიყენებული სქელი ქაფი, შედედებული რძე, სისხლი”

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ. სვან. პნრ, პერ “ქაფი; დუჟი, დორბლი”. ქართ. დორდოლ- < *დორდოლ-; დორდოლ-ი > დორბლ-ი (ერთელიშვილი 1980, 169).

*ერუ-

+ ზან. (ლაზ.) **ანცქო, ანცქვი** “ხელსაწყო კოვზისებური”, **ანწკო, ამცქვა, ამსქვა** “კოვზის ფორმის მჭრელი იარაღი”

3. ფენრიხმა ერთმანეთს შეუპირისპირა ქართ. **ერუა, ერო** და სვან. **აცქჷ** (სარჯველაძე, ფენრიხი 2000, 192; ფენრიხი 2007, 153). გ. კლიმოვის აზრით, “სვანური **აცქჷ**-ის ფონეტიკური ფორმა საშუალებას იძლევა ის ძველ ზანურ [მეგრულ] ნასესხობად იქნას მიჩნეული” (კლიმოვი 1998, 48). ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი ლაზური ფორმები ადასტურებენ რუსი მკვლევრის ვარაუდს.

*კანჭ-

ქართ. **კანჭი**-ი (საბა) “წვივი”, (ხევს.) “ჭანგი, ბრჭყალი”, ნა-**კანჭ**-არ-ი “გადატ. ჭრილობა”..., (იმერ.) “ფეხი”, (რაჭ., ლეჩხ.) “ფრჩხილი” სვან. **კანჭ(ჷ), კანჭჷ, კანჭ** “ფრჩხილი; ბრჭყალი, კლანჭი”, ი-**კანჭ**-ურ-წლ, ი-**კანჭ**-ურ-წლ, ი-**კანჭ**-ურ-ალ “იკაწრება, იხოკება”

ქართ. **კანჭ**-ს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **კანჭ**-. ამოსავალ ძირს “კანჭის (= ცხოველის, ფრინველის ფეხის ნაწილი მუხლს ქვემოთ კოჭამდე), მეტონიმით – ბრჭყალის, კლანჭის” მნიშვნელობები უნდა ჰქონოდა. მნიშვნელობათა – “წვივი” და “ბრჭყალი” – დაკავშირებისათვის შდრ.: ქართ. **გაზ**-ა “წვივის ძვალი; წვივი”, **გაზ**-ი “ბრჭყალი (ცხოველისა, ფრინველისა)”: სვან. (ზს.) **განზ** “მარღვი (წვივის)” (ჩუხუა 2000-2003, 76), ქართ. (ფშ., ხევს.) **კაწარ**-ი “ფრჩხილი, წვივი”: სვან. (ჩლრ.) **კაწარ**, (ბქ.) **გაწრ** “წვივი” (ibid., 78). ქართული ენის რაჭულ და ლეჩხუმურ დიალექტებში “ფრჩხილის” სემანტიკა სვანურიდან უნდა მომდინარეობდეს.

*კიფ-

ქართ. **კიფ**-ი “ციმციმი”

ზან. (მეგრ.) **კიფ**-ი “პატარა, წრისებური თეთრი ადგილი საქონლის (ძროხა, ხარი...) შუბლზე”

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ. მეგრ. **ნოთ**-ა, **ნოთ**-ია “შუბლთეთრი საქონელი” (> ქართ (იმერ.) **ნოთ**-ა “id.”) – მეგრ. **ნოთ**-ე “ნათურა; სხივი” (< სქ. ***ნათ**-; შდრ. ქართ. **ნათ**-ებ-ა, **ნათ**-ელი). ქართ. (იმერ.) **კიფ**-ი (“პატარა თეთრი ნიშანი ცხენის შუბლზე”) მეგრულიდან არის ნასესხები.

***ლოდრ-**

ქართ. (ხევს.) **ლოდრ**-ი “მძიმე, უძრავი, ზარმაცი”, (ჯავახ.) **ლოდრ**-ე “გაუთლელი, მოუხეშავი ადამიანი”, (ჩვენებურების ქართული – შ. ფუტკარაძე) **ლონდრ**-ო “ფომფლე, მოშვებული, დონდლო”

ზან. (მეგრ.) **ლოდორ**-ი “ზარმაცი, უსაქმური”, (ლაზ.) **ლოდორ**-ი “უსაქმური, დაუდევარი; ჩანჩურა”

ზან. **ლოდორ**- < ***ლოდგრ**- < ***ლოდრ**-.

***ლუმბ-**

ქართ. (ინგილ.) **ლუმბ** “ძალიან სველი ტანსაცმელი, წყალი რომ გასდის”, ჩა-**ლუმბ**-ევ-ა-ე “ძალიან დასველება”, (გურ.) გა-**ლუმბ**-ვ-ა “დასველება, თავიდან ფეხებამდის გაწუწვა”, (ხევს.) **ლუმბ**-ი “ლუგუმი” (გულს მა-უ-**ლუმბ**-ავ-ს “უგემური საჭმელი ჭამის სურვილს დაუკარგავს”)

ზან. (მეგრ.) (ქობალია) **ლუმბ**-უ-ა “დიდი ყლუპებით სმა, წყლით გაბერვა”, **ლუმბ**-ა “ლუგუმი, სიდამპლის, წვიმის წყლის გემო რომ დაჰკრავს”

3. ფენრიხმა ქართული ენის გურულ დიალექტში დადასტურებული **ლუმბ**- ძირი სვანურ **ლგმბ**-ს (მგ-**ლგმბ** “სველი, ნესტიანი”) დაუკავშირა და სქ ენობრივი დონისათვის ***ლუმბ**- არქექტივი ალადგინა (სარჯველაძე, ფენრიხი 2000, 309; ფენრიხი 2007, 272). გ. კლიმოვა ეს დაკავშირება გაიზიარა, თუმცა არქექტიპს წინ კითხვის ნიშანი დაუსვა, ვინაიდან, მისი აზრით, “შეუძლებელია [ბოლომდე] დარწმუნებული იყო შეპირისპირებული მასალის საერთო წარმომავლობაში” (1998, 111). ეს მასალა არც არის საერთო წარმომავლობისა, რასაც სვანური **ლჳმბ**, **ლამბ** “ნესტი, ნესტიანი” ფორმათა ჩვენება ცხადყოფს: მგ-**ლგმბ** < *მგ-**ლამბ**, ქართ. **ლუმბ**- და სვან. **ლამბ**- კი საერთო ძირამდე ვერ დაიყვანება.

ქართ. **ლუმბ**- ძირს, რომელიც ქართული ენის ინგილოურსა და ხევსურულ დიალექტებშიც დასტურდება, ზუსტად შეესატყვივება მეგრული **ლუმბ**-. მნიშვნელობათა სხვაობა ადვილი ასახსნელია (“დასველება” – “ბევრი წყლის დალევა” > “წყალ-წყალა; უგემური”?).

***მარტ-**

ქართ. **მარტ**-ო “ცალკე მყოფი, ცალკე”, **მარტ**-ულელ-ი (ხევს., მთიულ-გუდამაყრ.) “უღელი, რომელშიაც ერთი ხარი შეიბმის” სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი; ლშხ. – დონდუა) **მარტ**-უხ-ა-ი “ცალი ხარისათვის განკუთვნილი უღელი; ცალუღელი”, (ჩლრ.) ა-**მარტ**-უხ-ა-ი “ცალი ხარისათვის გაკეთებული უღლით მუშაობს”, ა-**მარტ**-ულ-ე “ცალკე ხარს იყოლიებს უღლის გარეშე”

ქართ. **მარტ**- და სვან. **მარტ**- ძირები, რომლებიც წარმოდგენილი მასალის შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა, ერთმანეთის ზუსტი შესატყვისებია. ყურადღებას იქცევს სვანურ ფორმებში გამო-ნაწევრებული რთული (კნინობითობის მაწარმოებელი?) სუფიქსი -**უხ-ა-**, რომელსაც არ ეძებნება განაყარი სხვა სვანურ კილოებში (შდრ. ქართული: ბებრ-**უხ-ა** – ბებერ-ი – ქემმლ, 405). შეიძლება გვეფიქრა, რომ აღნიშნული ფორმები სვანურში ქართულიდან არის შესული, მაგრამ “ცალუღელი” **მარტ**- ძირის შემცველი სიტყვით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აღინიშნება და ამდენად ქართულიდან სესხების დაშვება აქ თითქოს არ უნდა იყოს მართებული.

***ნარ-**

ქართ. **ნარ**-ი “ეკლებიანი ბალახი გავრცელებულია მინდვრებში, მდელოებზე, ნათესებში და სხვ”

ზან. (მეგრ.) **ნორ**-ი “ნარი”

ზან. (მეგრ.) **ნორ**- ქართ. **ნარ**-ის ზუსტი შესატყვისია.

***ნოტო-**

***ნოტო-ნოტო-**

ქართ. (ხევს., ფშ., თუშ., მთიულ., ქიზიყ.) **ნოტო** “ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი”, **ნოტო-ნოტო** “ნაწილ-ნაწილ, ჯგუფ-ჯგუფად, გუნდ-გუნდად”

ზან. (მეგრ. – ქობალია) **ნოტო** “ნაწილი ნახირისა, ფარისა”, **ნოტო-ნოტო**-თ “ჯგუფ-ჯგუფად, წყება-წყებად”

ქართული ენის კილოებიდან სიტყვები **ნოტო** და **ნოტო-ნოტო** მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და ქიზიყურში გვხვდება, ამდენად ალიო ქობალიას ლექსიკონში დადასტუ-

რებულ ნოტო-სა და ნოტო-ნოტო-ს მაინცდამაინც ქართულიდან ნა-სესხებად ალბათ ვერ მივიჩნევთ.

***ოჯარ-**

ქართ. ოჯერ-ი “მოოხრებული”, (საბა) ნა-ოჯარ-ი “ოხრად და-რჩომილი”

სვან. ჭოჯჳრ, ჭოჯჳარ “ობოლი”

ქართ. ოჯარ-, ოჯერ- (< *ოჯარ-ი უმლაუტით) კანონზომიერად შეესატყვისება სვან. ჭოჯჳარ -ს (სვანურ ფორმაში თავკიდური ჭ განვითარებულია). არქეტიპს “უპატრონოს, მიტოვებულის” სემანტიკა უნდა ჰქონოდა, რამაც ქართულში “აოხრებულის, მოოხრებულის” მნიშვნელობა მოგვცა (რაც მიტოვებული და უპატრონოა, ოხრდება!), ხოლო სვანურში – “ობლისა”. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცხადია, ვერ გავიზიარებთ მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებას დამოწმებული ქართული სიტყვის არაბ.-სპარს. أُجِير (ახერ “უკანასკნელი, საბოლოო”)-დან მომდინარეობის შესახებ (ანდრონიკაშვილი 1996, 210).

***ჟღმუ-**

***ჟღმუ-ილ-**

ქართ. (ხევს.) ჟღმუ-ი-ს, ჟღმუ-ილ-ი “ჭყვიტინი”

ზან. (მეგრ.) ჟღუმ-ინ-ი “ჟივილი, ჟღივილი”

ზან. (მეგრ.) ჟღუმ-ინ- < *ჟღუმ-ილ- < *ჟღმუ-ილ- მ-სა და უ-ს საურთიერთო მეტათეზისითა და მ-ს გავლენით ლ-ს ნ-ში გადასვლით.

***რიტ-რიტ-**

ქართ. (ხევს.) რიტრიტ-ი “ზარზაცი”

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) რიტრიტ-ა-დ “ბრიყვული სიარული”, რითრით-ა-დ “სულელი ქალი, უზრდელად მოხეტიალე”

***სკებ-/სკიბ-**

ქართ. (თუშ. – ხუბუა) მი-სკიბ-ებ-ა-დ “კარის, ფანჯრის და მსგავსთა მჭიდროდ დახურვა; ადამიანების ერთმანეთისადმი მიკვრა შიშისა თუ სიცივის გამო”, (თუშ. – ცოცანიძე) მი-სკეპ-ა-დ (კარებ მი-სკიბ-იდ-ი) “მჭიდროდ მიკეტვა კარის ან ფანჯრისა”, მო-

სკეპ-ა-ღ (პირ მო-სკიპ) “მაგრად მოკუმვა პირისა”, პირ-მო-სკეპ-ილ-ი “პირმოკუმული”

სვან. (ლშხ.) ა-სკიბ-ნ-აჟ-ი “ტკეპნის, ტენის”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-სკბ-გნ-ე “ტკეპნის; ტუჩებს კუმავს”, ა-სკბ-ე “ამჭიდროებს, ადედებს”, სკეპ-ნ-ი “დედდება”, ლგ-სკბ-გნ-ე “ტუჩებდამუწული; დატკეპნილი მიწა”, (ბზ., ლნტ., ლშხ., ჩლრ.) სკიბ, (ბქ.) სკჟიბ “მჭიდრო”...

ქართ. **სკეპ-სკიპ-** ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **სკეპ-სკიბ-**. ქართ. **სკეპ-სკიპ-** < ***სკეპ-სკიბ-** ასიმილაციის შედეგად. ამოსავალ ფუძედრეკად ზმნას “დატკეპნის, რისამე შემჭიდროების” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მნიშვნელობათა – “ტკეპნა” – “მჭიდროდ დახურვა” – “პირის მოკუმვა” – დაკავშირებისათვის, შდრ., ასევე: სვან. (ბზ. – გუჯეჯიანი, პალმაიტისი) ა-სკრიბ-ი, (ბზ. – ტექსტები, 17, 22) ლგ-სკრიბ-ა “დატკეპნილი”, (ბქ.) ა-სკრიბ-ი “ტკეპნის, ტენის” – (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-სკგრბ-ე “ნელა, ბეჯითად გამოთქვამს თითოეულ სიტყვას” [შდრ. ქართ. ტკეპნა (ქიზიყ.) “ტკეპნით, მძიმედ ლაპარაკი”, (ჯავახ.) “საუბრის დროს ვინც ერთ აზრს იმეორებს სხვ. სიტყვებით”, (ხევს.) ტკეპნით საუბარი “დინჯად, გარკვევით საუბარი”], ა-სკგრბ-ეთ-ე “მუწავს ტუჩებს, მჭიდროდ ხურავს”. დაისმის საკითხი სვანურში ზმნურ ფორმათა ამ ორი წყების მიმართების შესახებ.

*სლანგ-

ქართ. **სლანგ-ავ-ს** (ხევს.) “ხარბად ჭამს, თქვლეფს”, (ქართლ.) “სვლეფს”, ა-მო-სლანგ-ავ-ს “ამოსვლეფს”

ზან. (მეგრ.) (ქაჯაია) ლეტაშ-გო-სილონგ-ირ-ი “ტალახში ამოთხვრილი”, (ქობალია) გო-სილონგ-ირ-ი//გო-სილოგ-ირ-ი “ასლექილი, გალოკილი, გასუფთავებული”

ზან. (მეგრ.) **სილონგ-** ძირი ქართ. **სლანგ-**ის ზუსტი ეკვივალენტი. მნიშვნელობათა სხვაობა არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი: “ხარბად ჭამა, თქვლეფა, სვლეფა” ხომ ერთდროულად მჭამელის “ამოთხვრასაც” გულისხმობს და ჭურჭლის “ამოსუფთავებას, ამოსვლეფასაც”.

*ტოგუნ-

ქართ. **ტოგუნ**-ი (საბა) “მაღალი საჯდომი მოვლებული”, (ნ. ჩუბინაშვილი) “მრავალთ სასხდომელებსა ბაქან-ბაქნად [ეწოდება] ტუქი (=მაღალი სასხდომელი მრავალთა, ბემი, ბემონი, ტოგუნი, амфитеатръ), ანუ ტოგუნი (=ტუქი, მაღალი საჯდომელი გარემოვლებით)”, (დ. ჩუბინაშვილი) “მაღალი საჯდომი გარე მოვლებით, ტვიქი, амфитеатръ”, **ტოგუმ**-ი (ჯავახ. – ბერიძე) “ხის ტახტი, საწოლი”, (ჯავახ. – ქუეჩიშვილი 2007) “ბუხრის გვერდზე ორივე კედელზე მიდგმული ტახტები”, **ტოგონ**-ი (გურ.) “ოთხკუთხად გათლილი დიდი მორი”, (აჭარ. – ნოღაიდელი) “საფიცრედ დამზადებული, ოთხმხრივ გათლილი მორი”

სვან. (გზ. – ჩართოლანი 2003, 82) **ტუგუნ** “მოედანი სათოფურებს შიგნით დასადგომად ან დასაჯდომად” (სგანმენჩუ **ტუგუნ** ხარ მარემი ლგანად, მრდეჲ ლსგტრად “სათოფურებს შიგნით მოედანი აქეს კაცის დასადგომად, ანდა დასაჯდომად”), (ლშხ. – ტექსტები, 32)

კოჯა **ტოგონ** “კლდის შვერილი, ბაქანი” (ჩოხსკინა კოჯა **ტოგონ**-ხენ-ჩუ “ჩამხტარა კლდის შვერილიდან, ბაქნიდან”); ლაშხურში სიტყვა **ტოგონ**-ს თაროს მნიშვნელობაც აქვს და ასევე გვხვდება რისამე გამოშვერილი ნაწილის მნიშვნელობითაც (ინფორმაცია მოგვაწოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნატო შავრემშიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ).

სიტყვა **ტოგუნ**-ი ძველ ქართულში გამოვლენილი არ არის. პირველად გვხვდება XVIII საუკუნის დასაწყისიდან – “დასტურლამალსა” (უმიკაშვილი 1886, 81) და სულხან-საბას ლექსიკონში. ამ სიტყვასთან ჯავახური **ტოგუმ**-ისა (<***ტოგუნ**-; მ < ნ უ ხმოვნის გავლენით) და აჭარულ-გურული **ტოგონ**-ის (<***ტოგუნ**-; ო - ო < ო - უ ასიმილაციით) შეპირისპირება გვაგარაუდებინებს, რომ ამოსავალი მნიშვნელობა აჭარულ-გურულ ფორმას უნდა ჰქონდეს დაცული; სემანტიკური განვითარება ასე გვესახება: “საფიცრედ დამზადებული, ოთხკუთხად გათლილი დიდი მორი” > “დიდი გრძელი ფიცარი” > “ტახტი კედლის გაყოლებაზე” > “მრავალი ტახტი//დასაჯდომი შეკიბულად”. მნიშვნელობათა – “ფიცარი” > “ტახტი” – დაკავშირებისათვის, შდრ., მაგ. ინგლ. **board** “ფიცარი”, **bed of boards** “ტახტი (სიტყვა-სიტყვით: ფიცრული საწოლი)”.

შენიშვნა. არ არის გამორიცხული, ასევე “ფიცარი” იყოს ქართული **მცხედარ-ი/ცხედარ-ი** “საწოლი, ტახტი” სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობაც, რაზეც ეგებ მისი ლაზური შესატყვისები (?) – ერთი მხრივ, **ცხადორ-ი** “სახლის ირგვლივ მუხლის ზომაზე გაკეთებული სკამი”, **მცხოდარ-ი** (<***მცხადორ-ი** მეტათეზისით), **ცხადარ-ი**, **ცხანდარ-ი**, **ნცხანდარ-ი** (<***მცხადორ-ი** ასიმილაციით) “ტახტი, საწოლი”, ხოლო, მეორე მხრივ, **ო-ნცხოდურ-ე** “ჭერი”, (დიდი ლაზური ნენაფუნა) **ჯე-ნცხოდურ-ე** “იატაკის მოფიცვრა” (< ***ო-მცხადორ-ე** ასიმილაციით) - მიუთითებდნენ.

ახლა რაც შეეხება დამოწმებულ სვანურ ლექსიკურ ერთეულებს. ვინაიდან შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ ფორმებს შორის მნიშვნელობათა სხვაობა აშკარაა, ამ უკანასკნელთ ქართულიდან შეთვისებულად ვერ მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, ისინი საერთო ძირის ნაყარს უნდა წარმოადგენდნენ. სვანურ ფორმათათვის ამოსავალი “თაროს, რისამე გამოშვერილი ნაწილის, ბაქნის” მნიშვნელობა ჩანს, რაც ხელუხლებლად დაუცავს ლაზურს და საიდანაც უნდა განვითარებულიყო ბზ. **ტუგტენ** სიტყვის სემანტიკაც: “მცირე მოედანი სათოფურის შიგნით”. “თაროს” მნიშვნელობა კი წარმომავლობით უპრობლემოდ შეიძლება დაუკავშირდეს იმავე “ფიცრის” სემანტიკას; ამგვარი გადასვლისათვის, შდრ., მაგ., ეგვე ინგლ. **board** “ფიცარი; თარო”.

სვან. (ბზ.) **ტუგტენ** < ***ტუგტან**- < ***ტოგუნ**- ო და უ ხმოვანთა მეტათეზისითა და ო-ს უმლაუტის გზით; (ლშხ.) **ტოგონ** < ***ტოგუნ**- ასიმილაციით.

***ღუ**-

***ღუ-ილ**-

ქართ. (ქიზ.) **ღუ-ი-ს** “ტირის”, **ღუ-ილ-ი** “ტირილი” სვან. (ბზ., ლშხ.) **ღჟლ**, **ღგლ**, (ბქ.) **ღულ**, (ლნტ.) **ღგლ** “გაბმული ხმაური, ღმუილი, ღრენა”, (ჩლრ.) **ღგლ-ი** “ავადმყოფობის გამო სუსტად კვნესის”, **ღჟლ-ი** “ღორი ღრუტუნობს”

სვან. (ბზ., ლშხ., ჩლრ.) **ღჟლ**- < ***ღუ-ილ**- ძირისეული უ და სუფიქსისეული ი ხმოვნების შერწყმისა და გრძელი უ ხმოვნის წარმოქმნის შედეგად. სვანურის გრძელხმოვიან კილოებში ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ასევე უ ბოლოხმოვიან სახელებზე კნინობი-

თობის -ილდ სუფიქსის დართვისას, მაგ., ბზ. **ჯურულდ**, ლშხ. **ჯურულ** < **ჯურუ** + **ილდ** “ზვრელი” (გაზდელიანი 2014, 83; გაზდელიანი 1992, 150); **ღღლ-** < ***ღღლ-**; ბქ. **ღულ-** < ***ღუ-ილ-** ძირისეული უ და სუფიქსისეული ი ხმოვნების შერწყმის შედეგად (შდრ., მაგ., ბქ. **ფაულდ** < **ფაუ+ილდ** “ჯოხი” - ბზ. **ფაულდ**, ლშხ. **ფაულ**) ; ლნტ. **ღღლ-** < ***ღულ-**.

***ყმუ-**

***ყმუ-ილ-**

ქართ. **ყმუ-ი-ს**, **ყმუ-ილ-ი**

ზან. (მეგრ. – ქობალია) **ყუმ-ინ-ი**

ზან. (მეგრ.) **ყუმ-ინ-** < ***ყუმ-ილ-** < ***ყმუ-ილ-** მ-სა და უ-ს საურთიერთო მეტათეზისითა და მ-ს გავლენით ლ-ს ნ-ში გადასვლით.

***ჩხიტ-**

***ჩხიტ-ილ-**

ქართ. **ჩხივ-ი-ს**, **ჩხივ-ილ-ი** “იგივეა, რაც ჩხავილი (= ზოგი ცხოველის (ტურის, კატის...) და ფრინველის (ყვავის, კაჭკაჭის...) უსიამოვნო, ყურთასმენის წამლები ხმიანობა); ამგვარი ხმით ტირილი”

ზან. (ლაზ.) ო-**ჩხირ-უ** “მთელი ხმით ყვირილი”, **ჩხირ-ამ-ს** “ჩხივის”, ი-**ჩხირ-ს** “ყვირის”

ზან. (ლაზ.) **ჩხირ-** < ***ჩხივ-რ-** < ***ჩხივ-ირ-** < ***ჩხივ-ილ-** სქ მასდარისეული *-ილ სუფიქსისაგან მომდინარე -ირ (> -რ) სუფიქსის ძირთან შეხორცებით. ამ პროცესის შესახებ ზანურში იხ.: ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, 656.

***ჩხრ-იალ-**

ქართ. **ჩხრიალ-ი**

ზან. (მეგრ.) **ჩხიორ-ი**

ზან. (მეგრ.) **ჩხიორ-** < ***რჩხიოლ-** < ***ჩხრიოლ-** < ***ჩხრიალ-**; ამ ტიპის, -იალ სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ.: აბაშია 1999, ცალკეულ შეპირისპირებათათვის, ასევე: კლიმოვი 1964, 165, კლიმოვი 1998, 65, 168, ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 224, 407, აბაშია 2004, 6, ფენრიხი 2007, 184, 370.

***ცუ-**

***ცუ-ილ-**

ქართ. ა-ცუ-ებ-ს, ცუ-ილ-ი

ზან. (ლაზ.) ო-ცუ-რ-უ “კუილი”

ზან. (ლაზ.) ცურ- <*ცუ-ირ- <*ცუ-ილ-; ამგვარი განვითარები-
სათვის ზანურში, შდრ., აქვე: ***ჩხიტ-**, ***ჩხიტ-ილ-**.

***წკრ-იალ-**

ქართ. **წკრიალ-ი** (ქეგლ) “მინაზე (ან ლითონზე) ცემის ხმა, – წკარუ-
ნი”

ზან. (მეგრ. – ქაჯაია) **წკიორ-ი**, **წკიორ-ილ-ი** “გაბზარული”

მნიშვნელობათა – “წკარუნი” და “გაბზარვა” – დაკავშირებისა-
თვის, შდრ., იმავე ძირიდან ნაყარი შემდეგი ქართული და სვანური
ფორმები: ქართ. (თუშ.) **წკერ-ა-ფ** “უცხად გასკდომის მკვეთრი ხმა”,
წკერ-ნ-ებ-ა-ფ “უეცარი გასკდომა, გატეხა რაიმესი”, (ხევს.) **წკერ-ან-ი**
“წკარუნი” – სვან. **წკვრ-ა**, **წკერ-ა** “ზზარვა, სკდომა”. როგორც ჩანს,
ამოსავალი ძირი ერთდროულად “გასკდომას, გაბზარვას” და ამის
თანმხლებ სპეციფიკურ ხმასაც აღნიშნავდა. ზან. (მეგრ.) **წკიორ-** <
***რწკიოლ-** < ***წკრიოლ-** < ***წკრიალ-**; მეგრულში გადასვლათა ამგვარი
თანმიმდევრობისათვის, შდრ., აქვე: ***ჩხრ-იალ-**, ***წრ-იალ-**.

***წრ-იალ-**

ქართ. **წრიალ-ი**

ზან. (მეგრ. – ქაჯაია) **წიორ-ი** “წრიალი”

მეგრ. **წიორ-** < ***რწიოლ-** < ***წრიოლ-** < ***წრიალ-**; მეგრულში გადა-
სვლათა ამგვარი თანმიმდევრობისათვის, შდრ., აქვე: ***ჩხრ-იალ-**,
***წკრ-იალ-**.

***ჭტილ-**

ზან. (მეგრ.) **ხვილ-უ-ა** “დამწყვედევა, დაპატიმრება; წყლის
გადაკეტვა, დაგუბება”

სვან. **ჭტილ-ა** “ყორე”

არქეტიპის მნიშვნელობა “ყორე” უნდა ყოფილიყო. ზან. (მეგრ.)
ხვილ- < ***ჭტილ-**; **ხვილ-უ-ა** ფორმის ამოსავალ მნიშვნელობად სავა-
რაუდებელია “შემოყორვა, ქვებით ამოშენება”.

***ჯღავ-ილ-**

ქართ. (ქეგლ) **ჯღავ-ილ-ი** “ ხმამაღლა, უგვანი ტირილი, – ღწავილი, ჩხავილი”

ზან. [მეგრ.] (გურ., იმერ.) **ჯლო-რ-ინ-ი** “ღრიალი, ხმამაღლა ტირილი, უმნოდ ხმაური”, (ლაზ.) **ნჯლო-რ-ელ-ი** ხუმა “გარდატეხის ასაკში შესული ბავშვის დაბოხებული ხმა”

ქართ. **ჯღავ-ილ-** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ლა-ზური **ნჯლორ-** და (ქართული ენის გურულ და იმერულ დიალექტებში შემონახული) მეგრული **ჯლორ-**. საერთოზანური ***ჯლორ-** < ***ჯლოვ-რ-** < ***ჯღავ-ლ-** < ***ჯღავ-ილ-**; ამგვარი განვითარებისათვის ზანურში, შდრ. ზევით: ***ცუ-**, ***ცუ-ილ** და ***ჩხიტ-**, ***ჩხიტ-ილ-**.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშია 1999 – რ. აბაშია, სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში. II. ქართ. -იალ : ზან. -იორ// ენათმეცნიერების ინსტიტუტის LVIII სამეცნიერო სესია.

აბაშია 2004 – რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში. II//ქართველოლოგიური კრებული III.

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, “ირმისა”, თბილისი.

გაზდელიანი 1992 – ე. გაზდელიანი, კნინობითის ხმოვნის სიგრძისა და შედგენილობისათვის სვანურში//იკე XXXI.

გაზდელიანი 2014 – ე. გაზდელიანი, ხმოვანთკომპლექსების ურთიერთმიმართებისათვის ქართულ კილოებსა და სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში//იკე, XLII.

გუდავა 1974 – ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები ქართულში//მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4.

ერთელიშვილი 1980 – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კიწმარიშვილი, კალანდაძე 2016 – ნ. კიწმარიშვილი, გ. კალანდაძე, დაუცხრომელთა სამყოფელი - გურია, თბილისი.

ლომთათიძე 1984 – ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, “მეცნიერება”, თბილისი.

უმიკაშვილი 1886 – პ. უმიკაშვილი (რედ.), დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, ტფილისი.

ქალდანი 1969 – სვანური ენის ფონეტიკა, I. უმლაუტის სისტემა სვანურში, “მეცნიერება”, თბილისი.

ქუქჩიშვილი 2007 – ზ. ქუქჩიშვილი, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი სოფელ ხიზაბავრაში//ამირანი, XVII-XVIII.

ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა. ბალსზემოური კილო, თბილისი.

LEVAN KELAURADZE

Addenda to the Etymological Dictionary of the Kartvelian Languages - VI

Summary

The article continues the publication of possible new cognates identified among the Kartvelian languages, and Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparison, as well as additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries.

ლ ე ზ გ ი უ რ - ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე მ ს ი კ ო ნ ი ს შ ე ღ ზ ე ნ ი ს პ რ ი ნ ც ი ა პ ო ბ ი

მთის იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერულ კვლევას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. შექმნილია მრავალი გამოკვლევა, რომელიც ეძღვნება ამ ენათა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული შესწავლის პრობლემებს.

თუ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის კვლევა-ძიებაში მიღწეული წარმატებები თვალსაჩინოა, ამას ვერ ვიტყვით ლექსიკოგრაფიის შესახებ, განსაკუთრებული ჩამორჩენა კი თარგმნითი ლექსიკონების შედგენის საქმეში გვაქვს. რამდენიმეს, თითოზე ჩამოსათვლელს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ამგვარი ლექსიკონები უკანასკნელ ხანებამდე არ მოგვეპოვებოდა.

2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტურ კვლევათა კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II“², რომელიც ითვალისწინებს ოთხი ლექსიკონის შედგენას, იგულისხმება ყაბარდოულ-ქართული, ბაცბურ-ქართული, დიდოურ-ქართული და ლეზგიურ-ქართული ლექსიკონები. ამ პროექტის ფარგლებში

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-3659 „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II“).

² ეს პროექტი აგრძელებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტს „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები“, რომლის ფარგლებში არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა ექვსი ლექსიკონი: აფხაზურ-ქართული, ჩერქეზულ-ქართული, ინგუშურ-ქართული, ხუნძურ-ქართული, ბეჩიტურ-ქართული და უდიურ-ქართული (იხ. http://ice.ge/of/?page_id=275). საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროექტი ფონდის მიერ 2017 წელს დასრულებულ **საუკეთესო პროექტთა** შორის დასახელდა (იხ. <http://rustaveli.org.ge/en/Success-Stories/page/1979>).

გვევალება ლეზბიურ-ქართული ლექსიკონის შედგენა, რაც აქამდე გაკეთებული არ ყოფილა

ლეზბიურ-ქართულ ლექსიკონში ძირითადად შევა წინამორბედ მკვლევართა თარგმნითი და სხვა ლექსიკონებიდან ამოკრებილი ლექსიკური მასალა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იქნება ერთადერთი არსებული ლეზბიურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც დაახლოებით 28 ათასს სიტყვა-სტატიას მოიცავს. ამ ლექსიკონის შედგენა 1956 წელს დაიწყო მ. გაჯიევმა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1958 წ.) დაასრულა ბ. თალიბოვმა (თალიბოვი, გაჯიევი 1966). აგრეთვე, იქნება გათვალისწინებული რუსულ-ლეზბიური ლექსიკონების მონაცემები, რომელთაგან აღსანიშნავი ორია, ესენია: 1950 წელს მაჰაჩყალაში გამოქვეყნებული რუსულ-ლეზბიური ლექსიკონი (დაახლოებით 35 ათასს სიტყვას მოიცავს), რომლის შემდგენელი იყო მ. გაჯიევი (გაჯიევი 1950), ხოლო მეორე – ბ. თალიბოვის მიერ გამოცემული ლექსიკონი, რომელიც დაახლ. 12 ათასი სიტყვა-სტატიას მოიცავს (თალიბოვი 1966). საყურადღებოა, აგრეთვე, რუსულ-ლეზბიური სასკოლო ლექსიკონები და სასაუბროები (გაჯიევი 1940; გაჯიევი 1956; ჰაიდაროვი 1959; გიულმაჰომედოვი ა. 1987; გიულმაჰომედოვი ა. 1991; გიულმაჰომედოვი ა., რამალდანოვი 1998; ბარანიკოვა, გიულმაჰომედოვი ა., რამალდანოვი 2003; გიულმაჰომედოვი ა., გიულმაჰომედოვი გ. 2008).

თარგმნითი ლექსიკონების გარდა, შეძლებისდაგვარად მოვიხმობთ სხვა ლექსიკონების მასალას; ასეთებად წარმოგვიდგენია: 1940 წელს გამოქვეყნებული ტერმინოლოგიური ლექსიკონი და რუსულ-ლეზბიური ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ალიკბეროვი 1940; რამალდანოვი 1982), 2003-2005 წლებში ორ ტომად გამოქვეყნებული ლეზბიური ენის განმარტებითი ლექსიკონი (გიულმაჰომედოვი ა. 2003; გიულმაჰომედოვი ა. 2004; გიულმაჰომედოვი ა. 2005), ორთოგრაფიული ლექსიკონები (ჰაიდაროვი 1964; ჰაიდაროვი 1979; ჰაიდაროვი 2001), სინონიმების (გიულმაჰომედოვი ა. 1982; გიულმაჰომედოვი ა., გიულმაჰომედოვი გ. 2007), ანტონიმების (გაჯიმურადოვი 1994), ომონიმების (ჰაიდაროვი, მირზოევი 1981), ფრაზეოლოგიური (გიულმაჰომედოვი ა. 1971; გიულმაჰომედოვი ა. 1995), ორიენტალიზმების (სელიმოვი 2001), არაბული და სპარსული ნასესხო-

ბების (ზაბიტოვი, ევენდიევი 2001), საკუთარი სახელებისა (აბდულ-მუთალიბოვი 2004) და სხვა ლექსიკონები (გიულმაჰომედოვი ა. 1998; გიულმაჰომედოვი ა. 2009). ლეზგიურ-ქართული ლექსიკონის შედგენის პრინციპები ასე გვესახება:

ლეზგიურისათვის გამოვიყენებთ მოქმედ ანბანს, რომელიც სლავურ გრაფიკას (კირილიცას) ეფუძნება.

А а	Б б	В в	Г г	Гь гь	Гьгь	Д д	Е е	Ё ё	Ж ж	З з	И и
ა	ბ	ვ	გ	ღ	ჰ	დ	ე/ეე	ოო	ჟ	ზ	ი
Й й	К к	Къ къ	Кь кь	Кl kl	Л л	М м	Н н	О о	П п	Пи пи	Р р
ი	ქ/ქქ	კ	ყ	კლ	ლ	მ	ნ	ო	ფ/ფფ	პ	რ
С с	Т т	Тl tl	У у	Уь уь	Ф ф	Х х	Хь хь	Хьхь	Ц ц	Цl цl	Ч ч
ს	თ/თთ	ტ	უ	უუ	ფ	ხ	ჯ	ხ	ც	წ	ჩ
Чl чl	Ш ш	Щ щ	Ъ ъ	Ы ы	Ь ь	Э э	Ю ю	Я я			
ჭ	შ	[შ]	ღ	[ღ]	[ღ]	ე/ეე	ოუ	ია			

ყველა მეთაური სიტყვა ლექსიკონში განლაგებული იქნება ლეზგიურ ანბანთრიგზე.

დიალექტური ლექსიკა, გარდა გიუნეური დიალექტისა, რომელსაც ლეზგიური სალიტერატურო ენა ეფუძნება, იქნება წარმოდგენილი თუ: 1) დიალექტიზმს არა აქვს შესატყვისი ლიტერატურულ ენაში, მაგ., **фаф (-а, -а, -ар)** არს. დიალ. „ბიცოლა“ (მამის მხრიდან); 2) დიალექტიზმი ფართოდაა გავრცელებული (ასეთ შემთხვევაში მიეთითება მისი შესატყვისი ლიტერატურულ ენაში), მაგ., **кьал II** დიალ. იხ. **чухьвер**. არ იქნება აღნიშნული სიტყვის დიალექტური კუთვნილება, თუ სიტყვა ორ ან მეტ დიალექტშია წარმოდგენილი.

ლეზგიურ სიტყვას უნდა მიეწეროს, თუ რა მეტყველების ნაწილთან გვაქვს საქმე, მაგ., **яд (ци, це, ятар)** არს. „წყალი“, **яру ზედს**. „წითელი“, **ругуд რიცხვ**. „ექვსი“, **вуж (ни, не, იმვ. вужар) ნაცვ. კითხვ**. „ვინ?“, **тlуьн (нез, тlуьна, неъ)** ზმნა „ჭამა“...

სალექსიკონო ერთეულები წარმოდგენილი იქნება უკონტექსტოდ, თუ ნაწილაკები და მისთ. სპეციალურ განმარტებას არ მოითხოვს. თუ სასათაურო სიტყვა მხოლოდ განსაზღვრულ შესიტყვე-

ბაში გამოიყენება, მაშინ მის შემდეგ იქნება დასმული ორწერტილი და მოყვანილი ეს შესიტყვება, მაგ., **перт** არს.: **перт авун** „გაბრაზება“ (ცინმესი, რამესი), „წყობილებიდან გამოყვანა“...

ცალკე სალექსიკონო ერთეულებად იქნება შეტანილი ომონიმები, რომლებიც მარჯვნივ სათანადო რომაული ციფრით იქნება აღნიშნული, მაგ.: **багъ I (-ди, -да, -лар)** არს. „ბაღი“, **багъ II (-уни, -уна, -ар)** არს. „ლენტი“... ომოფორმები არ აღინიშნება რიცხვებით, თუმცა კვადრატულ ფრჩხილებში იქნება მოყვანილი მათი ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია, მაგ., **кал ზედს.** „მკვახე“, „მწვანე“, **кал** [ккал] I არს. „ძროხა“, **кал** [ккал] II არს. „გამოსაზამთრებელი ადგილი“...

მახვილი იქნება აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც იგი სიტვის მნიშვნელობას ცვლის, მაგ., **ábур ნაცვ.** პირის „ისინი“, **абур** არს. „ღირსება“...

ფორმოზრივად (resp. ფონეტიკურად) მინიმალურად განსხვავებული სიტყვები და, აგრეთვე, ლექსიკური და ორთოგრაფიული ვარიანტები იქნება მოცემული ანბანთრიგის მიხედვით. ამასთან, გაკეთდება მითითება ნორმატიულ ფორმაზე, მაგ., **кѡагыр** იხ. **кѡагыр**, **кIентI** იხ. **кIентI**, **туъфенг** იხ. **тфенг**.

სახელებთან და ზმნებთან საჭიროებისამებრ იქნება ნაჩვენები გრამატიკული მაწარმოებლები. თუ სიტყვას მოეპოვება ბრუნვისა ან დროის პარალელური ნიშნები, ისინი იქნება გაყოფილი დახრილი ხაზით, მაგ., **тар** [тар] (**-ци/-а, -це/а, -ар**) არს. I) ხე... სიყვისა ან მორფემის ფაკულტატური ნაწილი იქნება მოთავსებული მრგვალ ფრჩხილებში, მაგ., **жикIи** არს. „ასკილი“; **жикIид(ин) кул** „ასკილის ბუჩქი“.

საილუსტრაციო მასალა მოყვანილი იქნება მაშინ, როცა იგი დამატებით ხსნის და აზუსტებს სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობას. არაიშვიათად ამგვარი მაგალითები განსხვავებულ მნიშვნელობათა ნათელსაყოფადაც იქნება მოხმობილი.

იმ სალექსიკონო ერთეულების თარგმანი, რომელთაც მოსდევს იხ. (იხილეთ), წარმოდგენილია მითითებულ სიტყვასთან.

არსებითი სახელი ლექსიკონში შეტანილი იქნება მხოლოდ სიტყვის სახელობითი (resp. აბსოლუტივი) ბრუნვის ფორმით. იმ სა-

ხელებს, რომლებიც ბრუნებისას საერთო წესიდან გადახრას გვიჩვენებენ, მოკლედ მიეთითება ერგატივისა, ლოკატივისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლები, მაგ., **циф (-еди, -еда, -ер)** არს. „ღრუბელი“, **киці (-и, -е, -ер)** არს. „ძალი“... ერგატივის, ლოკატივისა და მრავლობითი რიცხვის ფორმები სრულად იქნება მოცემული, თუ სიტყვის ირიბ ბრუნვათა ფორმები სუპლექტურად იწარმოება ან ფუძეში აღინიშნება ზგერათა მონაცვლეობა, მაგ., **яд (ци, це, ятар)** არს. „წყალი“, **риб (рипини, рипина, рипер)** არს. „მახათი“...

როგორც წესი, არსებითი სახელი იქნება წარმოდგენილი მხოლოლობითი რიცხვის ფორმით. თუ სახელს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს ან იგი უფრო ხშირად ამ ფორმით გვხვდება, ის ლექსიკონში შევა მრავლობითი რიცხვის ფორმით მხოლოლობითის მითითებით (თუ მხოლოლობითი მოეპოვება), მაგ., **кветхверар** არს. მრ. (**кветхвер** მხ.) „ტყუპები“, **мицлер** არს. *მხოლოდ მრ.* „პერიოდი, როდესაც მთვარე იკლებს“, „უმთვარო დამეები“...

ზედსართავი სახელი ლექსიკონში შევა ატრიბუტული ფორმით. გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელი არ იქნება წარმოდგენილი.

რიცხვითი სახელიდან ლექსიკონში იქნება შეტანილი ლექსემები პირველიდან ოცის ჩათვლით, 40, 60, 80, 100, 1000. 30, 50, 70 და 90 იქნება მოცემული იმ რიცხვით სახელთა სიტყვა-სტატიებში, რომელთაგან ისინი იწარმოებიან (20, 40, 60, 80). რიგობითი რიცხვითი სახელიც რაოდენობით რიცხვით სახელთან ერთად იქნება წარმოდგენილი, მაგ., **ругуд** რიცხვ. „ექვსი“, **ругуд лагъайди** „მეექვსე“...

ჯერობის და ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები ცალკე სიტყვა-სტატიების სახით შევა ლექსიკონში, მაგ., **садра** რიცხვ. „ერთხელ“, **вад-вад** რიცხვ. „ხუთ-ხუთი“, **къад-къад** რიცხვ. „ოც-ოცი“...

ნაცვალსახელი ლექსიკონში შევა ატრიბუტული სახით და იქნება მითითებული, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება იგი. არსებითი სახელის მსგავსად და იმავე წესით იქნება ნაჩვენები თავისებურად ნაწარმოები ნაცვალსახელთა ბრუნვისა და რიცხვის ფორმები ან მათი მაწარმოებლები, მაგ., **вич (-и, -е, чеб)** ნაცვ. უკუკვ. „თვითონ“, **зун (за)** ნაცვ. პირის „მე“, **чун (чна, ча)** ნაცვ. პირის „ჩვენ“; **вуж (ни, не, იშვ. вужар)** ნაცვ. კითხვ. „ვინ?“...

ზმნა წარმოდგენილი იქნება მასდარის ფორმით. თუ ზმნას აქვს მასდარის მეორე ფორმაც, რომელიც ფუძისეული თანხმობის რედუპლიკაციით იწარმოება, იგი იქნება წარმოდგენილი ცალკე სიტყვა-სტატიის სახით მასდარის პირველ ფორმაზე მითითებით, მაგ., **кын (рекыз, кьена, йикь) ზმნ.** „მოკვდომა“, „მოკვლა“, **кыникь (-ц, -а, -ар) ზმნ.** „მოკვდომა“, „მოკვლა“...

მეთაურ სიტყვასთან მოცემული იქნება აგრეთვე **ზ**-ფორმანტიანი აბსოლუტივის, I ნამყოსა და ბრძანებითი კილოს მაწარმოებლები. თავისებურად ნაწარმოები ზმნების შემთხვევაში, ჩამოთვლილი ფორმები იქნება წარმოდგენილი სრულად, მაგ., **катун (-из, -на, -а) ზმნ.** „სირბილი“, **тлұн (нез, тлұна, неъ) ზმნ.** „ჭამა“...

რთული ზმნები, რომლებიც შედგება სახელური კომპონენტისა და **авун** ან **хьун** მეშველი ზმნებისაგან, ლექსიკონში შევა სათანადო სახელთა სიტყვა-სტატიებში, მაგ., **яру ზედს.** „წითელი“...; **яру авун** ა) „წითლად შეღებვა“, ბ) გადატ. „გაწითლება“ (ვინმესი), „შერცხვენა“, **яру хьун** „წითლად გახდომა“, „გაწითლება“ (საკუთარი თავის), **хабар არს.** „ამბავი“...; **хабар авун** „ამბის შეტყობინება“, **хабар хьун** „ამბის შეტყობა“... როდესაც **авун** მეშველი ზმნა წინა სახელურ კომპონენტთან შერწყმულია, ის ლექსიკონში იქნება მოცემული მეთაური სიტყვის სახით ამოსავალი ფორმის მითითებით, მაგ., **хабарун (-из, -на, -а) იხ. хабар (хабар авун).**

ცალკე სიტყვა-სტატიების სახით შევა ლექსიკონში აგრეთვე რთული ზმნები, რომლებსაც **миш** ზმნური ფუძე აწარმოებთ **ун** (< **авун**) და **хьун** მეშველ ზმნებთან ერთად, მაგ., **кьабарламишун (-из, -на, -а) ზმნ.** 1) „დამდულვრა“, „დაწვა“; 2) გადატ. „წვალება“ (ვინმესი, რამესი), „სულიერი ტკივილის მიყენება“, **кьабарламиш хьун (-из, -на, -а) ზმნ.** 1) „დამდულვრა“ (საკუთარი თავის), „დამწვრობა“, „დაფუფქვა“; 2) „წვალება“, „სულიერი სიმშვიდის დაკარგვა“...

ლეზგიური ზმნა არ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. ლექსიკონში შესული დრო-კილოიანი ფორმები ქართულად იქნება თარგმნილი III პირის ფორმით მხოლოობითში, მაგ., **азар акатна** „ავად გახდა“, „დაავადდა“...

ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე **ზმნისართთაგან** უპირატესობა მიენიჭება -**даказ** მაწარმოებლიან ფორმებს. რაც შეეხება -**з**,

-**დი** მაწარმოებლიან ფორმებს, ისინი ლექსიკონში შევა თარგმანის გარეშე, -**დაკა** მაწარმოებლიან ზმნისართებზე მითითებით, მაგ.:

гьяркьуьдаказ *ზმნს.* 1) ფართოდ; 2) უფრო ფართოდ
гьяркьуз იხ. **гьяркьуьдаказ...**

სხვა ფორმაუცვლელი სიტყვები (**თანდებული**, **კავშირი**, **ნაწილაკი**, **შორისდებული**) წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიის სახით (სასათაურო სიტყვა სათანადო თარგმანითურთ). თუ ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი გამოყენებულია უდეტრადაც, მაშინ ეს მნიშვნელობა სიტყვა-სტატიაში გამოყოფილი იქნება სათანადო ციფრით.

ლექსიკონს წინ დაერთვის:

1. წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ იქნება გადმოცემული ლეზგიური ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია და ამ დარგის თანამედროვე მდგომარეობა;

2. ლექსიკონში გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება.

ლეზგიურ-ქართული ლექსიკონის ბოლოს გვექნება ანბან-თრიგზე დალაგებული ლეზგიურ ანტროპონიმთა მოკლე ლექსიკონი.

აქვე იქნება წარმოდგენილი ლეზგიური ენის მოკლე გრამატიკა, რომელშიც დახასიათებული იქნება ამ ენის ფონეტიკური სისტემა, სახელისა და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა, ძირითადი სინტაქსური მოვლენები და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდულმუთალიბოვი 2004 – Абдулмутаалибов Н. Ш. Словарь лезгинских личных имен. Махачкала: Дагучпедгиз, 2004. — 199 с.

ალიკბეროვი 1940 – Терминологический словарь лезгинского языка. Махачкала, 1940/ Ред. Г. А. Аликберов. – 112 с.

ბარანიკოვა, გიულმაჰომედოვი ა., რამალდანოვი 2003 – Баранникова Т. Б., Гюльмагомедов А. Г., Рамалданов А. Р. Русско-лезгинско-английский разговорник. Махачкала, 2003. – 112 с.

გაჯიევი 1940 – Русско-лезгинский словарь для начальной школы. Сост. М. М. Гаджиев. Махачкала, 1940. – 208 с. (+ Правила правописания лезг. яз.).

გაჯიევი 1950 – Русско-лезгинский словарь. Сост. М. М. Гаджиев. Махачкала, 1950. – 967 с. (35000 слов).

გაჯიევი 1956 – Русско-лезгинский школьный словарь. Сост. М. М. Гаджиев. Махачкала, 1956. – 470 с. (13354 слова).

გაჯიმურადოვი 1994 – Гаджимурадов А. Г. Словарь антонимов лезгинского языка. Махачкала: Дагучпедгиз, 1994. — 143 с. (лезг.).

გიულმაჰომედოვი ა. 1971 – Русско-лезгинский школьный фразеологический словарь. Сост. А. Г. Гюльмагомедов. Махачкала, 1971. – 136 с.

გიულმაჰომედოვი ა. 1982 – Гюльмагомедов А. Г. Краткий словарь синонимов лезгинского языка. Махачкала, 1982. — 148 с.

გიულმაჰომედოვი ა. 1987 – Школьный русско-лезгинский словарь. Сост. А. Г. Гюльмагомедов. Махачкала, 1987. – 210 с. (5085 слов).

გიულმაჰომედოვი ა. 1991 – Школьный русско-лезгинский словарь. Сост. А. Г. Гюльмагомедов. Махачкала, 1991. – 265 с.

გიულმაჰომედოვი ა. 1995 – Гюльмагомедов А. Г. Краткий русско-лезгинский фразеологический словарь. Махачкала, 1995. – 101 с.

გიულმაჰომედოვი ა. 1998 – Гюльмагомедов А. Г. Действительность Эмина. I. Словарь языка. Махачкала: ДГУ, 1998. — 264 с. (лезг.).

გიულმაჰომედოვი ა., რამალდანოვი 1998 – Гюльмагомедов А. Г., Рамалданов А. Р. Русско-лезгинский разговорник. Махачкала, 1998. – 85 с.

გიულმაჰომედოვი ა. 2003 – Гюльмагомедов А. Г. Лезги ქალან словарь. I ктаბ. А-КІ. Махачкала, 2003. — 418 с. (ок. 12700 ед.).

გიულმაჰომედოვი ა. 2004 – Гюльмагомедов А. Г. Лезги ქალან словарь. I ктаბ. А-КІ. 2-е испр. и доп. изд. Махачкала, 2004. — 470 с. (ок. 12700 ед.).

გიულმაჰომედოვი ა. 2005 – Гюльмагомедов А. Г. Лезги ქალან словарь. II китаბ. Л-Я. Махачкала, 2005. — 489 с.

გიულმაჰომედოვი ა., გიულმაჰომედოვი გ. 2007 – Гюльмагомедов А. Г., Гюльмагомедов Г. А. Толковый словарь синонимов в лезгинском языке. М.: Academia, 2007. – 330 с.

გიულმაჰომედოვი ა., გიულმაჰომედოვი გ. 2008 – Гюльмагомедов А. Г., Гюльмагомедов Г. А. Школьный русско-лезгинский словарь. Махачкала: Лотос, 2008. – 406 с. (5451 слово).

გიულმაჰომედოვი ა. 2009 – Гюльмагомедов А. Г. Словарь рифм и языковые особенности поэзии Сулеймана Стальского. Махачкала, 2009.

ზაბიტოვი, ეფენდიევი 2001 – Словарь арабских и персидских лексических заимствований в лезгинском языке. Сост. С. М. Забитов, И. И. Эфендиев. Махачкала, 2001. – 173 с.

თალიბოვი, გაჯიევი 1966 – Талибов Б. Б., Гаджиев М. М. Лезгинско-русский словарь. М., 1966. – 604 с.

თალიბოვი 1966 – Талибов Б. Б. Русско-лезгинский словарь. Махачкала: Дагучпедгиз, 1966. – 442 с. (ок. 12 тыс. слов).

რამалданოვი 1982 – Рамалданов А. Р. Русско-лезгинский терминологический словарь. Махачкала, 1982. – 40 с. (лезг.).

სელიმოვი 2001 – Селимов А. А. Словарь ориентализмов лезгинского языка. Махачкала, 2001. – 545 с.

ჰაიდაროვი 1959 – Гайдаров Р. И. Русско-лезгинский словарь к учебнику 6 класса средней школы. Махачкала: Дагучпедгиз, 1959. – 24 с.

ჰაიდაროვი 1964 – Орфографический словарь лезгинского языка. Под ред. Р. И. Гайдарова. Махачкала: Дагучпедгиз, 1964. – 126 с. (лезг.). 2-е изд., доп. и испр., 1970. – 112 с.

ჰაიდაროვი 1979 – Орфографический словарь лезгинского языка. Под ред. Р. И. Гайдарова. Махачкала: Дагучпедгиз, 1979. – 126 с. (лезг.).

ჰაიდაროვი, მირზოევი 1981 – Гайдаров Р. И., Мирзоев Ш. А. Словарь омонимов лезгинского языка. Махачкала, 1981. – 101 с. (лезг.).

ჰაიდაროვი 2001 – Гайдаров Р. И. Орфографический словарь лезгинского языка. Махачкала: НИИ педагогики, 2001. – 244 с.

The Principles of Compiling the Lezgian-Georgian Dictionary

Summary

Studying the mountain Ibero-Caucasian languages has a long history in Georgia. A number of scientific works have been devoted to the problems of studying these languages diachronically and synchronically.

Though the success in studying the phonetic system and grammatical order of the mountain Ibero-Caucasian languages is evident, the same cannot be said about lexicography, especially about compiling bilingual dictionaries. If we do not take few ones into consideration, such dictionaries were not available until recently.

In 2018, the project „Caucasian-Georgian Dictionaries. II“ was among the winners of the Fundamental Research Competition of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Within the framework of the project we are compiling the Lezgian-Georgian dictionary that has never been compiled before.

The dictionary will mainly include the lexical material collected from the preceding bilingual and other types of dictionaries.

The paper deals with the principles of compiling the dictionary.

ლექსება „ვასაკას“ წარმომავლობისათვის

„ვასაკა“ ხის პატარა მწვანე ბაყაყია.

სულხან-საბასთან განმარტებულია (ოთხფ.) მწვანე მცირე მყვარი. (საბა 1991).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსემა „ვასაკა“ არის იგივე „ვასილისკო“, რომელიც გვხვდება ფსალმუნში და ქართულში შემოსულია (ბერძნულიდან – Basiliskos) თარგმანის გზით.

რადგან, არ მოეპოვება ზგერათმესატყვისი ლექსემები მეგრულსა და სვანურში, არც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ვასილისკო (მძრომ.) (90, 13 ფსალმ.) ბასილისკო. ესე არს თვალით მაკვდინებელი მკეცი გესლიანი. – განმარტავს საბა(საბა 1991).

ვასილისკო (ვასილისკო) იხ. ბასილისკო. „ლომ-ვეფხნი, ფოცხვერნი, აფთარნი და ვასილისკო – დაემეგობრნენ ერთმანეთს ყველა“ (დ. გურამიშვილი) (ქეგლ.)

„ვასილისკოსა სარკითა იქმონენ მოკუდინებასა“ (ქილილა და დამანა, თბილისი, 1975, 232, 10) საბა 1991 ქეგლ Персидско-русский словарь, т. II, 1959, 700) М. Фасмер, ЭСРЯ – т. I, 1964, 277) (ალ. ლლონტი, ქვ. თსკ, 1984), (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974)

ბასილისკო (ბასილიკოსი) იხ. ქეგლ.

სპარსულში ვაზად (Персидско-русский словарь, т. II, 1959, 700)

Василиск 1. „сказочный зверь“, 2. „ящерица“ „Basiliscus americanus“, из греч. „Basiliscos“, „дракон“, лат. Basiliscus (М. Фасмер, ЭСРЯ – т. I, 1964, 277)

ზემო იმერულში ეს სიტყვა ზგერათა მეტათეზისით – „ვაკასა“ გვხვდება. რას უნდა გამოეწვია ამ სიტყვაში ზგერათა(მარცვალთა) მეტათეზისი? ასეთი რამ ხშირად ხდება დიალექტებში.

ვაკასა (იმერ.). 1. ბალახია, 2. ერთნაირი მწვანე ბაყაყი, ხეზე ცხოვრობს. როდესაც ის ყიყინს დაიწყებს, წვიმა მოვავ, – ამბობენ (ი. ჭყონ.) (ალ. ლლონტი, ქვ. თსკ, 1984).

ვაკასა – ხის პატარა მწვანე ბაყაყი, – ვასაკა (ქ. ძოწენიძე, ზემოიერული ლექსიკონი, 1974)

ზემო იმერეთში პირიქითაც ამბობენ, რომ ამ ბაყაყის ყიყინი ძლიერ გვალვას მოასწავებს. ამ მნიშვნელობით შესაძლოა ცხოველის სახელწოდება მართლაც უკავშირდებოდეს ჯოჯოხეთს, საშინელ, ცეცხლისმფრქვეველ ცხოველს, დრაკონს... მნიშვნელობის გადაწვევითა და დავიწროებით.

გამოყენებული ლიტერატურა

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

ქეღ 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი IV, თბილისი.

ქილილა და დამანა 1975 – ქილილა და დამანა, თბილისი.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბილისი.

ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძეზემოიერული ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

Персидско-русс кий словарь 1959 – Персидско-русский словарь, т. I, Москва.

Фасмер 1964 – М. Фасмер, Этимологический Словарь Русского Языка, I, Москва.

NANA MACHAVARIANI

On the Etymology of the Lexeme *vasak'a*

Summary

Sulkhan-Saba gives the definition of the word "hyla" (Saba 1991).

The paper deals with the etymology of the lexeme **vasak'a**. We believe that it is the same as **vasalisko** that is found in the Psalm and has entered the Georgian language through translation of the Greek word "basiliskos".

სვლა, სიარული, დენა ...

(სამანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)

მოდრაობის აღმნიშვნელ ზმნათა სახელები ქართულში **სვლა, სიარული, დენა ...** მრავალმხრივ საინტერესოა. ეს სიტყვები უძველესი ლექსიკური ფონდის საკუთრებაა და ამიტომაც რიგი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზემოხსენებული სახელები ასეა განმარტებული:

სვლა (სვლისა) სახელი ვალს ზმნის მოქმედებისა: 1. იგივეა, რაც სიარული (მნიშვ. 1) მგზავრებს ბეჭებში მოძალეული ქარი სცემდა და სვლას უადვილებდა (**რ. გვეტ.**). [მხედრები] როცა ვიწროებს შეუდგენენ, ძლიერ გაჭირდა სწრაფად სვლა (**ვ. გამს.**). ჯორი... ისე მარდად მიაბიჯებდა, რომ მათი აჩქარებული სვლა ერთი წუთითაც არ შენელებულა (**ა. ბელ.**). 2. ტრანსპორტის ან სხვა საგნების მოძრაობა, გადაადგილება გარკვეული მიმართულებით. მატარებელი ნელა უმატებდა სვლას (**ა.ბელ.**). მანქანა სვლას ამალებს (**ვ. ჭიჭ.**). [ტალღა] მოდის ჯერ ნელა, მაგრამ თანდათან უმატებს სვლას (**ჭ. ლომთ.**). გავაყოლე თვალი ღრუბელთ სვლას (**ი. ეკალ.**). 3. მიმდინარეობა, მსვლელობა (დროისა). დრო-კი თავისას არ მოშლის სვლასა და მდინარეხასა (**ზაჩ.**). რაც-კი არსებობს... ნორჩი, ხნიერი – შენებრ ოდესმე ჟამთა სვლაში აღიგვებიან (**ს. შანშ.**). 4. მოთამაშის მიერ ფიგურის, კოჭის, ბანქოს და მისთ. მორიგი გადაადგილება რაიმე თამაშის დროს. შუა თამაშში გიორგაძემ ძლიერი შეტევა განავითარა თეთრების მეფეზე და 43-ე სვლაზე მოიგო პარტია (**«ახ. კომ.»**).

სიარული-ი (სიარულისა) 1. ნაბიჯების გადადგმით მოძრაობა, ადგილის გადანაცვლება (ადამიანისა, ცხოველისა), – სვლა. გზა სიარულმა დალია, სიბი ქვა – წყალთა დენამა (**ხალხ.**). სოფელს თავი დავანებე, ტყე-ტყე ვიწყე სიარული (**აკაკი**). ბარათაშვილს აქ უყვარ-

და ოზლად სიარული (**გ. ტაბ.**). 2. იგივეა, რაც სვლა (მნიშვ. 2). ექვსი დღის სიარული მოგინდება რკინის-გზით, რომ ევროპის დასავლეთ საზღვრამდის მიხვიდე (**ი. გოგებ.**).

დენა (დენისა) 1. სახელი დის ზმნის მოქმედებისა, – განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობა, მდინარება, დინება (სითხისა). გზა სიარულმა დაღია, სიპი ქვა – წყლისა დენამა (**ხალხ.**). მომსურდა ია მისი ხეობის, ქართა ქროლვა და ნისლების დენა (ანა). რას არგებდათ ეს ტირილი, ეს უსარგებლო ცრემლთა დენა? (**ზ. კიკნ. თ. ჩხენკ.**). შეუწყვეტელი მოძრაობა, სვლა (რომელიმე მიმართულებით). ნავახშმევს ხალხმა ნელა დაიწყო დენა დანიშნული ადგილისაკენ (**ლ. ქი-აჩ.**). || საიდან არ დაიწყო დენა დახერხილი მასალის შესასყიდად დაძრულმა და ხე-ტყეს დახარბებულმა გლეხკაცობამ (**გ. ციც.**). მეორე დღეს გალა-გალა იწყეს დენა ბავშვებმა (**დ. ფიროსმ.**). || მსვლელობა, მიმდინარეობა, დინება (დროისა და სხვ.). || [ელისბარმა] იგრძნო მოთხოვნილება იმ ქალის პოვნისა, რომელსაც უნდა შეუღლებოდა, რომ მათი ერთობა განგრძობილიყო მათს მოდგმაში და შექმნილიყო სამუდამო შემდეგ ჟამთა დენაში (**ვ. ბარნ.**). დღენი მოჰქროდნენ, შემთბარ ჰაერში ზამთარი უკვე არეს ტოვებდა, მაგრამ მას დღეთა დენა არ შეშლის, არც მოკლავს და არც აქცევს პოეტად (**ო. ჭელ.**). ფიგურ. სიჭაბუკისა ყვაველი დამიჭკნო ჟამთა დენამა (**საბა**). გზა-კვალი [ნ. ბარათაშვილის] პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია (**ილია**). 2. სახელი ადენს, სდის ზმნათა მოქმედებისა. ოფლის დენა. _ მელა დიდხანს ილოკავდა იარასა, ისვამდა ზედ ბალახსა და მიწას, რომ სისხლის დენა შეეწყვიტა (**ი. გოგებ.**).

რონინი **რონინი**-ი (**რონინისა**) 1. ძვ. სიარული, სვლა. რა უწყალოა რონინი ხანის! (**გ. ტაბ.**). 2. ახ. ლამაზად, ნარნარად სიარული. ყველა გაცეზებულია... [ქალის] გარეგნობით, ყველას ყურადღებას იქცევს მისი რონინი (**რ. გვეტ.**).

დიალ. ზემოიმ. **გამარონია**

დი-ს (მხოლოდ ნაკვეთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. 1. ნაკადად მიდის (მოდის), მიმდინარეობს (ითქმის უპირატესად სითხეზე). დიოდა მტკვარი ხმატკვილად (**გ. ლეონ.**). მუნ ახლოს წყარო დიოდა (**დ. გურამ.**). მდინარენი კი... დიან, დიან, დიან და დიან

(**მ. მაჭავ.**). || ამოდის, სცემს. რამდენსამე ადგილას დიოდა ღვინის შადრევანი (**ვ. ბარნ.**). || გადატ. გაბმით მიდის, განუწყვეტლივ მიდი-
 მოდის, – მიედინება, დადის, მოძრაობს. დილით სალამომდე ჯარები
 დიოდნენ ჩვენს მხარეში და ბოლო აღარ უჩანდათ (**ი. მაჭავ.**
 თარგმ.). დიოდა ხალხი ახალ ხიდზე (**ვ. ბარნ.**). ხუმრობა-ხუმრობი-
 თა და ჟრამულით დიოდა ხალხი (**ლ. გოთ.**). ამოდენა ჭიხვინი და
 თქარათქურია, რემა რემაზე დის (**მ. ელიოზ.**). ფიგურ. ხომ დიან
 წლები, ხომ გრძელდება განრისხებული ქროლა და სრბოლა (**მ. ლე-**
ბან.). ცხადად თუ სიზმრად მუდამ ისე დიან დღეები (**გ. შაჰნ.**).
 2. ს-დი-ს დის მის რამეზე ან მისგან, – ჩამოსდის, ჩამოსწვეთს. [და-
 რეჯანს] ცრემლი... დაპალუპით სდიოდა (**ი. გოგებ.**). იბრძოდი მე-
 დგრად, მხნე მკერდიდან გდიოდა სისხლი (**ხ. ვარდ.**). სტიროდა,
 ცრემლი სდიოდა, ღაწვებზე ჩამოსდიოდა (**ვ. მაყ.**). ოფლი წურწუ-
 რით გვდიოდა (**თ. ონ.**). ◊ **სუნი სდის** სუნი ასდის (იხ. ასდის, მნიშვ.
 1). აქ ყველაფერს ახლად მორწყული მიწის სუნი სდიოდა (**მის.**
მრევლ.). ახლად გამართულ ოდას სდიოდა ფიჭვის საამო სუნი
 (**თ. ბექ.**). ◊ **თავსა სდის** უხვად აქვს, საჭიროზე მეტი აქვს, თავს გადა-
 სდის. ერთი თავი შექარი სულ თავსა სდის (**რ. ერისთ.**).

მოვედი / მოველი

გარება **გარება** (გარებისა) კუთხ. გავლა. ქუჩაში მოზღვავებულია
 ხალხი, გარება არ შეიძლება (**დ. კლდ.**). იქ მწადს, სადაც
 ქარაფები გამოთოფეს ქარებმა, მომენატრა წრიაპებით სა-
 ჯიხვეში გარება (**გ. ჯაბუშ.**). ისევ მწყურია მინდვრად გა-
 რება და მენატრება წვიმა სოფელის (**ტ. გრან.**).

ტაატ-ი (**ტაატისა**) ახლად ფეხადგმული ბავშვის სიარუ-
 ლი. ბალღი რომ ცოტა წამოჩიტდება, ტაატს (ფეხის ად-
 გმას) უნდა შევაჩვიოთ (**დ. მაჩხ.**). **ტაატით** ზმნს.
 გადატ. ნელ-ნელა, მძიმედ (ჩვეულებრივ, ითქმის სია-
 რულზე). ეტლი... ხან ნიავსავით მიქროდა, ხან ნელ-ნელა,
 ტაატით მიდიოდა (**ნ. ლომ**). შორენასა და არსაკიძესაც
 ტაატით მიჰყავდათ დაღმართში ცხენები (**ვ. გამს.**). შე-
 უდგა მუცელა ტაატით წერას (**ვაჟა**).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული:

სიარულიცა მრავალ-სახე(ლ) არიან, რამეთუ სლვანი სხვა-დასხვაობით განიყოფებიან: ნებიერად კაცთ(ა) სლვასა უკმობენ ვ ი-დ ო დ ა ს ა და ს ლ ვ ა ს ა, ეგრეთვე ნავთასა; ხოლო ჭმუნვათა გან-მაქარვებელად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოვლასა – მ ო თ ხ ვ ა-ს ა და ი მ ო თ ხ ვ ი დ ა ს ა, რომელსა მსოფლიონი ს ე ე რ ო ბ ა-ს(ა) უკმობენ; ჩქარა სლვასა – გ ვ ა ლ ე; ზოგად მრავალთაგან სლვა-სა – ტ რ ვ ა და ტ ა რ ე ბ ა; მალიადობასა – ს რ ბ ა; შეშინებულის(ა) მიერ სრბასა – ლ ტ ო ლ ვ ა; მაღლად კისკასად რეცა შეფრენასა – ხ ლ დ ო მ ა; უსაქმოდ ცუდად სიარულსა – ტ ა ნ ტ ა ლ ი; სნებოან-თა მიერ უსუსურსა სიარულსა – ლ ო ნ დ ო ლ ი; ფერგ-გადგმით სლვასა – ბ ა ჯ ბ ა ჯ ი; ჩჩვილთაგან ოთხზე სიარულს(ა) – ჩ ო ჩ ვ ა და ბ ო რ დ დ ვ ა; მუცლითა და თემოთ სლვასა – ც ო ც ვ ა; ჩჩვილთ ჳელ-მოკიდებით ტარებასა – ტ ა ა ტ ი; მონადირეთაგან ნადირთ მი-საპარა(ვა)დ მუცლით ცოცვასა – ც ო რ ვ ა; მოგზაურთაგან სიარულ-სა – ი ა რ ე და ჟ ა რ ე; პირუტყვთ(ა) სლვასა – ს ი ა რ უ ლ ი; მათსა მალიად სიარულსა – რ ბ ე ნ ა და ჭ ე ნ ე ბ ა; პირუტყვთა ხლდომასა – ხ ლ ტ ო მ ა; მათსავე ჰაერში გრძლად გახლტომასა – ლ ი ვ ლ ი-ვ ი; მათს თამაშობით რბენასა – კ უ ნ ტ რ უ შ ი და ი ბ ე კ ნ(ი); (+ მათსავე Z) ავად სიარულსა – ჩ ა ქ ჩ ა ქ ი; ცხენთა გოგმანით სია-რულსა – თ ო ხ ა რ ი კ ო ბ ა; სხვარიგს კეთილსა სიარულსა – მ ე რ ნ ო ბ ა; ავს სიარულს(ა) – ჯ ა გ ჯ ა გ ი; ფერტი რომ ვერ ანდოს, კრთო-მით სიარულს(ა) – ბ ო ბ ვ ა; უბადო ცხენის ავს სიარულს(ა) ჩ ა ნ ჩ ა-ლ ი; ფრინვლის კეთილად სიარულს – გ ო გ ვ ა; (+ მისავე Z) ავად სიარულს – ლ ა ხ ლ ა ხ ი; გველთათა (გველთასა Ab)- გ ლ ი ნ ვ ა; მძრომთასა – მ რ ო მ ა; ჭიაჭუათასა – ლ ო დ ვ ა; მელთასა – ც ა ნ ც ა-ლ ი; სლვისა და სირბილის საშუალსა – მ უ ნ ძ უ ლ ი; თევზთა და ზღვიერთასა – ც უ რ ვ ა B. *განუმარტავია Cb.*

ახალ ქართულში სვლა ზმნა შემდეგნაირად იუღლებს:

I სერია
(აწმყოს წრე)
აწმყო

დავდივარ	დავდივართ
დადიხარ	დადიხართ
დადის	დადიან

უწყვეტელი

დავდიოდი	დავდიოდით
დადიოდი	დადიოდით
დადიოდა	დადიოდნენ

აწმყოს კავშირებითი (ხოლმეობითი)

დავდიოდე	დავდიოდეთ
დადიოდე	დადიოდეთ
დადიოდეს	დადიოდნენ

(მყოფადის წრე)

მყოფადი

ვივლი	ვივლით
ივლი	ივლით
ივლის	ივლიან

ხოლმეობითი

ვივლიდი	ვივლიდით
ივლიდი	ივლიდით
ივლიდა	ივლიდნენ

მყოფადის კავშირებითი

ვივლიდე	ვივლიდეთ
ივლიდე	ივლიდეთ
ივლიდეს	ივლიდნენ

II სერია

წყვეტილი

ვიარე	ვიარეთ
იარე	იარეთ
იარა	იარეს

უწყვეტელი

ვივლიდე	ვივლიდეთ
ივლიდე	ივლიდეთ
ივლიდეს	ივლიდნენ

III სერია

I თურმეობითი

მივლია	გვივლია
გივლია	გივლიათ
უვლია	უვლიათ

II თურმეობითი

მევლო	გვევლო
გევლო	გევლოთ
ევლო	ევლოთ

III კავშირებითი

მევლოს	გვევლოს
გევლოს	გევლოთ
ევლოს	ევლოთ

ძველ ქართულში სვლა ზმნა შემდეგნაირად იუღლებს:

I სერია

(აწმყოს წრე)

აწმყო

წარვალ	წარვალთ
წარხუალ	წარხუალთ
წარვალს	წარვლენ // წარვლენან

აწმყოს ხოლმეობითი

წარვალ	წარვალთ
წარხუალ	წარხუალთ
წარვალნ	წარვლედ // წარვლენან

უწყვეტელი

წარვიდოდე	წარვიდოდეთ
წარხვიდოდე	წარხვიდოდეთ
წარვიდოდა	წარვიდოდეს

I ბრძანებითი

წარვიდოდე	წარვიდოდეთ
წარვიდოდენ	წარვიდოდედ

უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი

წარვიდოდი	წარვიდოდით
წარხვიდოდი	წარხვიდოდით
წარვიდოდის	წარვიდოდინან

II სერია

წყვეტილი

წარვედ	წარვედით
წარხუედ	წარხუედით
წარვიდა	წარვიდეს

II ბრძანებითი

წარვედ	წარვედით
წარვედინ	წარვიდა

II ხოლმეობითი

წარვიდი	წარვედით
წარხვდი	წარხვდით
წარვიდის	წარვიდიან

II კავშირებითი

წარვიდე	წარვიდეთ
წარხვდე	წარხვდეთ
წარვიდეს	წარვიდენ

III სერია

I თურმეობითი

წარსრულ ვარ	წარსრულ ვართ
წარსრულ ხარ	წარსრულ ხართ
წარსრულ არს	წარსრულ არიან

II თურმეობითი

წარსრულ ვიყავ

მეგრულში სვლა ზმნა შემდეგნაირ საუღლებელ ფორმებს გვიჩვენებს:

მეგრ. ულა „სვლა ზმნის უღლების პარადიგმა“ (ლიტერატურა: გურამ კარტოზია, რუსუდან გერსამია, მათა ლომია, თათა ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010 წ., გვ. 642-648)

I სერია

აწმყოს ჯგუფი

აწმყო

მხოლოდითი რიცხვი

მე(ვ)ული/უ || მე(ვ)ურქ „მივდივარ“

მეული/უ || მეურქ „მიდიხარ“

მეურს „მიდის“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურთ „მივდივართ“

მეურთ „მიდიხართ“

მეულა(ნ) „მიდიან“

უწყვეტელი

მხოლოდითი რიცხვი

მე(ვ)ურდი || მი(ი)ვ/ფში „მივდიოდი“

მეურდი || მი(ი)ში „მიდიოდი“

მეურდუ || მი(ი)შუ „მიდიოდა“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით || მი(ი)ვფშით „მივდიოდით“

მეურდით || მი(ი)შით „მიდიოდით“

მეურდეს || მიიშეს „მიდიოდნენ“

აწმყოს კავშირებითი

მხოლოდითი რიცხვი

მე(ვ)ურდა/ე || მი(ი)ვ/ფშა/ე „მივდიოდე“

მეურდა/ე || მი(ი)შა/ე „მიდიოდე“

მეურდას(ი) || მი(ი)შას(ი) „მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდათ || მი(ი)ვ/ფშათ „მივდიოდეთ“

მეურდათ || მი(ი)შათ „მიდიოდეთ“

მეურდან(ი) || მი(ი)შან(ი) „მიდიოდნენ“

აწმყოს პირობითი

მხოლოდითი რიცხვი

მე(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშ(ი)კო(ნ) „რომ მივდიოდე“

მეურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)შ(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდე“

მეურდ(უ)კო(ნ) || მი(ი)შ(უ)კო(ნი) „რომ მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშით(ი)კო(ნ) „რომ მივდიოდეთ“

მეურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)შით(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდეთ“

მეურდეს(ი)კო(ნ) || მი(ი)შეს(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდნენ“

მყოფადუსრული

მხოლოდითი რიცხვი

მე(ვ)ურდა/ე || მი(ი)ვ/ფშა/ე იყ უაფუ(ნ) || იყ ი(ი)ნ „მივდიოდე იქნება“

მეურდა/ე || მი(ი)შა/ე იყ უაფუ (ნ) || იყ ი(ი)ნ „მიდიოდე იქნება“

მეურდას || მი(ი)შას იყ უაფუ (ნ) || იყ ი(ი)ნ „მიდიოდეს იქნება“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდათ || მი(ი)ვ/ფშათ იყ უაფუ(ნ) || იყ ი(ი)ნ „მივდიოდეთ იქნება“
მეურდათ || მი(ი)შათ იყ უაფუ (ნ) || იყ ი(ი)ნ „მიდიოდეთ იქნება“
მეურდან || მი(ი)შან იყ უაფუ (ნ) || იყ ი(ი)ნ „მიდიოდნენ იქნება“

პირობითუსრული

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშ(ი)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ
„მივდიოდი იქნებოდა“

მეურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)შ(ი)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ „მიდიოდი
იქნებოდა“

მეურდ(უ)კო(ნ) || მი(ი)შ(უ)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ „მიდიოდა
იქნებოდა“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშით(ი)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ
„მივდიოდით იქნებოდა“

მეურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)შით(ი)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ
„მიდიოდით იქნებოდა“

მეურდეს(ი)კო(ნ) || მი(ი)შეს(ი)კო(ნ) იყ უაფუდუ || იყ ი(ი)დუ
„მიდიოდნენ იქნებოდა“

მყოფადის ჯგუფი

მყოფადი

მხოლოდობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ული/უ || (მიდ)(ვ)ურქ „წავალ“

(მიდ)ული/უ || (მიდ)ურქ „წახვალ“

(მიდ)ურს „წავა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურთ „წავალთ“

(მიდ)ურთ „წახვალთ“

(მიდ)ულან „წავლენ“

ხოლმეობითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდი || ვიში || ივ/ფში „წავიდოდი“

(მიდ)ურდი || იში „წახვიდოდი“

(მიდ)ურდუ || იშუ „წავიდოდა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდით || ვიშით || ივ/ფშით „წავიდოდი“
(მიდ)ურდით || იშით „წახვიდოდი“
(მიდ)ურდეს || იშეს „წავიდოდნენ“

მყოფადის კავშირებითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდა/ე || ვიშა/ე || ივ/ფშა/ე „წავიდოდე“
(მიდ)ურდა/ე || იშა/ე „წახვიდოდე“
(მიდ)ურდას(ი) || იშას(ი) „წავიდოდეს“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდათ || ვიშათ || იფშათ „წავიდოდეთ“
(მიდ)ურდათ || იშათ „წახვიდოდეთ“
(მიდ)ურდან(ი) || იშან(ი) „წავიდოდნენ“

მყოფადის პირობითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || ვიშით(ი)კონ || ივ/ფშით(ი)კო(ნ) „რომ
წავიდოდით“
(მიდ)ურდ(ი)კო(ნ) || იშ(ი)კო(ნ) „რომ წახვიდოდით“
(მიდ)ურდ(უ)კო(ნ) || იშ(უ)კონ „რომ წავიდოდა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || ვიშ(ი)კონ ივ/ფშ(ი)კო(ნ) „რომ წავიდოდით“
(მიდ)ურდით(ი)კო(ნ) || იშით(ი)კო(ნ) „რომ წახვიდოდით“
(მიდ)ურდეს(ი)კო(ნ) || იშეს(ი)კონ „რომ წავიდოდნენ“

II სერია

წყვეტილი

მხოლოდობითი რიცხვი

ვიდი || იბდი „ვიარე“ || მიდავ/ბრთი „წავედი“
იდი „იარე“ || მიდართი „წახვედი“
ილუ „იარა“ || მიდართუ „წავიდა“

მრავლობითი რიცხვი

ვიდით || იბდით „ვიარეთ“ || მიდავ/ბრთით „წავედით“
იდით „იარეთ“ || მიდართით „წახვედით“
იდეს „იარეს“ || მიდართეს „წავიდნენ“

II კავშირებითი

მხოლოდითი რიცხვი

ვიდა/ე || იბდა „ვიარო“ || მიდავ/ბრთა/ე „წავიდე“

იდა/ე „იარო“ || მიდართა/ე „წახვიდე“

იდას(ი) „იაროს“ || მიდართას „წავიდეს“

მრავლობითი რიცხვი

ვიდათ || იბდათ „ვიართ“ || მიდავ/ბრთათ „წავიდეთ“

იდათ „იართ“ || მიდართათ „წახვიდეთ“

იდან(ი) „იარონ“ || მიდართან(ნ) „წავიდნენ“

II პირობითი

მხოლოდითი რიცხვი

ვიდ(ი)კო(ნ) || იბდ(ი)კონ „რომ მევლო“ || მიდავ/ბრთ(ი)კონ „რომ

წავსულიყავი“

იდ(ი)კო(ნ) „რომ გევლო“ || მიდართ(ი)კონ „რომ წასულიყავი“

იდ(უ)კო(ნ) „რომ ევლო“ || მიდართ(უ)კონ „რომ წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

ვიდით(ი)კო(ნ) „რომ გევლო“ || მიდავ/ბრთით(ი)კონ „რომ

წავსულიყავით“

იდით(ი)კო(ნ) „რომ გევლოთ“ || მიდართით(ი)კონ „რომ

წასულიყავით“

იდეს(ი)კო(ნ) „რომ ევლოთ“ || მიდართეს(ი)კონ „რომ წასულიყვნენ“

III სერია

I თურმეობითი

მხოლოდითი რიცხვი

მილუ(ნ) „მივლია“ || მიდამ(ი)რთუმუ(ნ) „წავსულვარ“

გილუ(ნ) „გივლია“ || მიდა(გ)ირთუმუ(ნ) „წასულხარ“

ულუ(ნ) „უვლია“ || მიდურთუმუ(ნ) „წასულა“

მრავლობითი რიცხვი

მილუნა(ნ) „გვივლია“ || მიდამ(ი)რთუმუნა(ნ) „წავსულვართ“

გილუნა(ნ) „გივლიათ“ || მიდა(გ)ირთუმუნა(ნ) „წასულხართ“

ულუნა(ნ) „უვლიათ“ || მიდურთუმუნა(ნ) „წასულან“

II თურმეობითი

მხოლოებითი რიცხვი

მილუდუ „მევლო“ || მიდამ(ი)რთუმუდუ „წავსულიყავი“
გილუდუ „გევლო“ || მიდა(გ)ირთუმუდუ „წასულიყავი“
ულუდუ „ევლო“ || მიდურთუმუდუ „წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

მილუდეს „გვევლო“ || მიდამ(ი)რთუმუდეს „წავსულიყავით“
გილუდეს „გევლოთ“ || მიდა(გ)ირთუმუდეს „წასულიყავით“
ულუდეს „ევლოთ“ || მიდურთუმუდეს „წასულიყვნენ“

III კავშირებითი

მხოლოებითი რიცხვი

მილუდას(ი) „მევლოს“ || მიდამ(ი)რთუმუდას „წავსულიყავი“
გილუდას(ი) „გევლოს“ || მიდა(გ)ირთუმუდას „წასულიყავი“
ულუდას(ი) „ევლოს“ || მიდურთუმუდას „წასულიყოს“

მრავლობითი რიცხვი

მილუდან(ი) „გვევლოს“ || მიდამ(ი)რთუმუდან(ი) „წავსულიყოთ“
გილუდან(ი) „გევლოთ“ || მიდა(გ)ირთუმუდან(ი) „წასულიყოთ“
ულუდან(ი) „ევლოს“ || მიდურთუმუდან(ი) „წასულიყონ“

III პირობითი

მხოლოებითი რიცხვი

მილუდ(უ)კო(ნ) || მიდამ(ი)რთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წავსულიყავი“
გილუდ(უ)კო(ნ) || მიდა(გ)ირთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წასულიყავი“
ულუდ(უ)კო(ნ) || მიდურთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

მილუდეს(ი)კო(ნ) || მიდამ(ი)რთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ
წავსულიყავით“
გილუდეს(ი)კო(ნ) || მიდა(გ)ირთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ
წასულიყავით“
ულუდეს(ი)კო(ნ) || მიდურთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ წასულიყვნენ“

IV სერია

III თურმეობითი

მხოლოებითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვექ || (მი)ნოპექ „მივდიოდი თურმე“

(მი)ნო(ვექ) „მიდიოდი თურმე“

(მი)ნოვე(ნ) || (მი)ნოვე „მიდიოდა თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვეთ || (მი)ნოპეთ „მივდიოდით თურმე“

(მი)ნო(ვექ) „მიდიოდით თურმე“

(მი)ნოვენა(ნ) || (მი)ნოვენა „მიდიოდნენ თურმე“

IV თურმეობითი

მხოლოებითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედი || (მი)ნოპედი „მივდიოდი თურმე“

(მი)ნოვედი „მიდიოდი თურმე“

(მი)ნოვედუ „მიდიოდა თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით || (მი)ნოპედით „მივდიოდით თურმე“

(მი)ნოვედით „მიდიოდით თურმე“

(მი)ნოვედეს „მიდიოდნენ თურმე“

IV კავშირებითი

მხოლოებითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედა/ე || (მი)ნოპედა „რომ მივდიოდე“

(მი)ნოვედა/ე || (მი)ნოვედა/ე „რომ მიდიოდე“

(მი)ნოვედას/ი || (მი)ნოვედას/ი „რომ მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით || (მი)ნოპედით „რომ მივდიოდეთ“

(მი)ნოვედათ || (მი)ნოვედათ „რომ მიდიოდეთ“

(მი)ნოვედან || (მი)ნოვედან „რომ მიდიოდნენ“

IV პირობითი

მხოლოებითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედ(ი)კო(ნ) || (მი)ნოპედ(ი)კო „რომ მივდიოდე თურმე“

(მი)ნოვედ(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედ(ი)კო „რომ მიდიოდე თურმე“

(მი)ნო(ბ)ვედ(უ)კო(ნ) || (მი)ნოპედ(უ)კო „რომ მიდიოდეს თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით(ი)კო(ნ) || (მი)ნოპედით(ი)კო „რომ მივდიოდით თურმე“

(მი)ნოვედით(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედით(ი)კო „რომ მიდიოდით თურმე“
(მი)ნო(ბ)ვედეს(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედეს(ი)კო „რომ მიდიოდნენ თურმე“

სვანურში **სგლა** ზმნა შემდეგნაირ საუღლებელ ფორმებს გვიჩვენებს:

ლი-ზელ-წლ „სიარული“; **ლი**-საწყისის მაწარმოებელი, **ზელ**-ძირი, ფუძე, **-წლ**- ზმნათა გარკვეულ ჯგუფში აწარმოებს ან ობიექტის სიმრავლეს (**დააცხო**ს სემანტიკა), ან მოქმედების მრავალგზისობას (ვ. თოფურისა განმარტებით: „ბევრი ან ბევრჯერ“).

აწმყო

მი ხტ-ი-ზელ-წლ	წმ ხტ-ი-ზელ-წლ-დ (Sex)
სი ხ-ი-ზელ-წლ	წმ ლ-ი-ზელ-წლ-დ (Sin)
ეჯა ი-ზელ-წლ	სგამ ხ-ი-ზელ-წლ-დ
	ეჯამ ი-ზელ-წლ-ხ

ინფერენციული აწმყო (resp. მყოფადუსრული)

მი ხტ-ი-ზელ-წლ-ნი „მე ვიარებოდე იქნება“	წმ ხტ-ი-ზელ-წლ-ნი-დ (Sex)
სი ხ-ი-ზელ-წლ-ნი	წმ ლ-ი-ზელ-წლ-ნი-დ (Sin)
ეჯა ი-ზელ-წლ-ნი	სგამ ხ-ი-ზელ-წლ-ნი-დ
	ეჯამ ი-ზელ-წლ-ნი-ხ

უწყვატელი

მი ხტ-ი-ზელ-წლ-დას	წმ ხტ-ი-ზელ-წლ-და-დ (Sex)
	წმ ლ-ი-ზელ-წლ-და-დ (Sin)
სი ხ-ი-ზელ-წლ-დას	სგამ ხ-ი-ზელ-წლ-და-დ
ეჯა ი-ზელ-წლ-და	ეჯამ ი-ზელ-წლ-და-ხ

აწმყოს კავშირებითი

მი ხტ-ი-ზელ-წლ-დედ	წმ ხტ-ი-ზელ-წლ-დედ-დ (Sex)
	წმ ლ-ი-ზელ-წლ-დედ-დ (Sin)
სი ხ-ი-ზელ-წლ-დედ	სგამ ხ-ი-ზელ-წლ-დედ-დ
ეჯა ი-ზელ-წლ-დედ-ს	ეჯამ ი-ზელ-წლ-დედ-ხ

მყოფადი

მი ოთ-ზელ-წლ-ნე
სი ათ-ზელ-წლ-ნე
ეჯა ად-ზელ-წლ-ნე

ნადა ოთ-ზელ-წლ-ნე-დ (Sex)
ნადა ალ-ზელ-წლ-ნე-დ (Sin)
სგამ ათ-ზელ-წლ-ნე-დ
ეჯადარ ად-ზელ-წლ-ნე-ხ

პირობითი

მი ოთ-ზელ-წლ-ნა-ს
სი ათ-ზელ-წლ-ნა-ს
ეჯა ად-ზელ-წლ-ნა

ნადა ოთ-ზელ-წლ-ნა-დ (Sex)
ნადა ალ-ზელ-წლ-ნა-დ (Sin)
სგამ ათ-ზელ-წლ-ნა-დ
ეჯადარ ად-ზელ-წლ-ნა-ხ

მყოფადის კავშირებითი

- (არა აქვს)

პირველი თურმეობითი

მი ხუ-ა-ზელ-წლ-ა „მე დავუდიოდი თურმე“
და ა. შ.

მეორე თურმეობითი

მი ლემ-ზელ-წლ-ხუ-ი „მე დავდიოდი თურმე“ ნადა ლემ-ზელ-წლ-
ხუ-ი-შიდ (Sex)

ნადა ლემ-ზელ-წლ-ლი-ი-შიდ (Sin)

სი ლემ-ზელ-წლ-ხ-ი
ეჯა მი ლემ-ზელ-წლ-ლი-ი

სგამ ლემ-ზელ-წლ-ხ-ი-შიდ
ეჯადარ ლემ-ზელ-წლ-ლი-ი-ხ

მეორე სერია

წყვეტილი

მი ოთ-ზელ-წლ
სი ათ-ზელ-წლ
ეჯანემდ ად-ზელ-წლ-ე

ნადა ოთ-ზელ-წლ-ე-დ (Sex)
ნადა ალ-ზელ-წლ-ე-დ (Sin)
სგამ ათ-ზელ-წლ-ე-დ
ეჯადარ ად-ზელ-წლ-ე-ხ

მეორე კავშირებითი

მი ოთ-ზელ-წლ-ა
სი ათ-ზელ-წლ-ა
ეჯანემდ ად-ზელ-წლ-ა-ს

ნადა ოთ-ზელ-წლ-ა (Sex)
ნადა ალ-ზელ-წლ-ა-დ (Sin)
სგამ ათ-ზელ-წლ-ა-დ
ეჯადარდ ად-ზელ-წლ-ა-ხ

მესამე სერია

პირველი შედეგობითი

მი ამ-ზელ-წლ-ა

ნადა ა-მ-ზელ-წლ-ა (Sex)

სი აჯ-ზელ-ნლ-ა
ეჯას ოთ-ზელ-ნლ-ა

ნაა ა-გტ-ზელ-ნლ-ა (S_{in})
სგაა ა-ჯ-ზელ-ნლ-ა-ბ
ეჯაა ოთ-ზელ-ნლ-ა-ბ

მეორე შედეგობითი

მი ამ-ზელ-ნლ-ან
სი აჯ-ზელ-ნლ-ან
ეჯას ოთ-ზელ-ნლ-ან

ნაა ა-ნ-ზელ-ნლ-ან (S_{ex})
ნაა ა-გტ-ზელ-ნლ-ან (S_{in})
სგაა ა-ჯ-ზელ-ნლ-ან-ბ
ეჯაა ოთ-ზელ-ნლ-ან-ბ

მესამე კავშირებითი

მი ამ-ზელ-ნლ-ენ-ს
სი აჯ-ზელ-ნლ-ენ-ს
ეჯას ოთ-ზელ-ნლ-ენ-ს

ნაა ა-ნ-ზელ-ნლ-ენ-ს (S_{ex})
ნაა ა-გტ-ზელ-ნლ-ენ-ს (S_{in})
სგაა ა-ჯ-ზელ-ნლ-ენ-ბ
ეჯაა ოთ-ზელ-ნლ-ენ-ბ

როგორც ვხედავთ, სვანურში ყველა სერიასა და მწკრივში ერთი ძირის ზმნაა გამოყენებული. სხვაობას ქართულსა და მეგრულში ვხვდებით: აქ ერთმანეთს ენაცვლება **ლ-რ-/დ- ...**

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქულია ვარაუდი, რომ **სვლა / სიარული** ერთი ძირის ზმნათა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებია, ხოლო **დ-ენა** ზმნა ნასესხებად არის მიჩნეული.

გ-ალ-

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ.VII, თბილისი, 2013, გვ. 122.: „**გ-ალ-** არის კი ასეთი დეტერმინანტი სახელის ფუძის დეტერმინანტი? და თუ სახელის ფუძის დეტერმინანტია, როგორღა შეიძლება ის ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს? შეიძლება იმიტომ, რომ ზმნა სახელურ-იო ფუძიდან მოდის, სახელურ ფუძეს ემყარება.“

არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ.III, თბილისი, 2008, გვ. 178.: „აწმყოში გამოყენებული ფუძე **-ულ** (**ავულ**) იგივეა, რაც ქართული **ვალ-**...“

ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, შრომები 2, თბილისი, 2002, გვ. 395: ერთმანეთანაა დაკავშირებული: ქართული **ვალ-** (მივალ), **ვედ-** (მივედი), **ველ-** (მიველ)

ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, გვ. 57-62 : ერთმანეთთანაა დაკავშირებული: ქართული ვალ- (მივალ, მიხვალ), სვანური გვალ//გვალ „წადი, გასწი“ < ქართული გვალე „იარე, წარვედ“...

გ. როგავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. I, გვ. 38: ქართული გვალე (აღ-გვალ), ქართული ვალ- (მივალ) (იმოწმებს ა. შანიძეს).

კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა, თბილისი, 1992, გვ.: 220, 222, 228: ქართული აღმოსავალი „მოდგმა, ნაშიერი“, ქართული გამოსავალი „ქუჩა, გზა“ ...ქართული ვალ-...

ნ. მარი, რჩეული ნაწერები 5, გვ. 519: ზანური (მეგრ.) ბორკი, ქართული ვალ / ფერხი...

რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, 1980, გვ. 17, 18: ეტრუსკული avil „წელიწადი“, ქართული ვალ-//ვალ- *ვალ, მეგრ.-ჭან. ულ-, მეგრ.-ჭან. ურ-...

სვლ-

ნ. მარი, О яф. Происх. баск ИИАН 1920 გვ. 138: ბასკური: ibilli //ebili *e-bil- li-he-bil-ri ქართული ბილიკ-ი *ქართული სვლ- (სვლა)...

ნ. მარი, 1913 - Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Евангелия, С.- ПВ. ქართული: ვიდ- (ვიდოდე), ვლენ-(ვლენაი) < *ვვლენა, ვლინ- (მოვივლინე), მოვლენა, სვლ- (სლვაი), სლვ- (სლვა)...

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, 1983, გვ. 256. ქართული: სვლა, მეგრული ულა

დენ-

ნ. მარი, 1913 - Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Евангелия, С.- ПВ. ქართული: დენ- (დენაი), მდინარე-ი

თ. გამყრელიძე, **ვ. ივანოვი**, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, ტ. II, 1984, გვ. 878: ინდ.ევრ. *d(n)en „გაქცევა, რბენა, დინება“, ქართული: დენ-//დინ-//დნ- „დინება დენა, დნობა, ლხობა“, ჭანური დინ-//(ნ)დუნ „დაიკარგა“, მეგრული დინ- „გაქრობა გაუჩინარება“, სვანური ნ- „დნობა, ლხობა“ < ინდ.ევრ.

მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი, 1966, გვ. 59, 61, 72, 85: ძვ. ირანული *dan-, ძვ.ოსური dan-, ავესტური danu-,ოსური don „წყალი“, ქართული დენ-//დინ- (დენა, დინება) <ოსურიდან. დნ- (დნობა) , მდინარე...

ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1997, გვ.54: ძვ. ირანული dan-, სპარსული don „წყალი“ < ძვ. ირანული, ქართული დენ-//დნ- (დენა, დნობა) <სპარსული...

დინ-

ივ. ჯავახიშვილი, ქარველი ერის ისტორია II, თბილისი, 1983, გვ.13: ქართული: **ნადინობა** (ტერმინი) „მდინარის კალაპოტი“, **გარდამოსადინელი** (ტერმინი) „სათავე“, **დინება** (ტერმინი) „მდინარის მიმართულება“, **დინ-**

ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 2, თბილისი, 1966, გვ. 225: ქართული **დი- // დინ-, მდინარე...**

ქართველურ ენათა ჩვენების საფუძველზე, (ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებითაც) მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა ფუძემონაცვლე არ უნდა იყოს და **ლ-/ რ-/ დ-** ბგერათმონაცვლეობა ქართულში უნდა ახასიათებს სიარულის / მოძრაობის გამომხატველ ერთსა და იმავე ძირს.

ძველი ქართულის სლვა / ლ- ძირს ჩვენ ვუკავშირებთ აფხაზურ ალაღარა „(შიგ) გარევა, შესვლაში“ დადასტურებულ ლა- ლო- კალურ პრევერბს, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა (შიგ) რაიმეში შესვლა, შერევა“, იხ. ჩვენი „აფხაზური „ალაღარა“ და ქართული „ლაღავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“ , არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998.

აფხაზური **არრა** „წყალში გავლა“.

აფხაზურში **რ-** ასევე კაუზატივის კატეგორიის პრეფიქსია ზმნაში, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ტრანსფორმირდება **დ-**დ. კერძოდ: როდესაც ერთმანეთს ხვდება მესამე პირის მრავლობითობის ნიშანი, ასევე მესამე პირის ირიბი ობიექტის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა და კაუზატივის **-რ** ნიშანი. **ქ. ლომთათიძე** თვლის, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**რ>დ**) მოეპოვება თავისი მო-

რფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი რ-ს თავმოყრას კარგად იგუებს: არგრჰარა „შეშინება“, ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

ლ-/რ-/დ- ძირთა ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს ზოგადად მოძრაობის, აქტიურობის აღნიშვნა; შესაძლოა ამიტომაც ეს ძირი: **დ-** ასოცირებულია წყალთან, როგორც მოძრავ ობიექტთან, რადგან იგი მუდმივად მოძრაობაშია, მდინარეა, მიედინება... ხომ არ არის ასევე ყოფნა/არსებობის გამომხატველი **რ-** ძირიც მოძრაობის სემანტიკის მქონე? ...რადგანაც რაც ცოცხალია, მოძრავია / აქტიურია...

მაგალითები **რ-/ დ-** მონაცვლეობისათვის: ქართ.: მალაღური > ლაზ.: მალაღუდე, მაგალითები **დ- / რ-** მონაცვლეობისათვის: მეჯუდა, მეჯვრის ხევი. მაგალითების მოწოდებისათვის მადლობა ეკუთვნის მერაბ ჩუხუას.

ძველი ქართული მასალის მოწოდებისათვის მადლობა თამარ ვაშაკიძეს, მეგრული და ლაზური მასალის მოწოდებისათვის მადლობა ეკუთვნით ეთერ შენგელიასა და ქეთევან მარგიანს.

გამოყენებული ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი.

გამყრელიძე, ივანოვი 1984 - თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, ტ. II.

გორდეზიანი 1980 – რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური.

დანელია 1992 – ვ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა, თბილისი.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, შრომები 2, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III

კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010 – გურამ კარტოზია, რუსუდან გერსამია, მია ლომია, თაია ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, გვ. 642-648

მარი 1936 – ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. II, ლენინგრადი

მარი 1913 – ნ. მარი, Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Эвангелия, С.- ПВ. ქართული: დენ- (დენაი), მდინარე-ი

მაჭავარიანი 1998 – ნ. მაჭავარიანი „აფხაზური „ალალარა“ და ქართული „ლალავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“, არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ჩიქობავა 2013 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. VII, თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1983 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი. გვ. 13.

ჯავახიშვილი 1966 – ივ. ჯავახიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 2, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

The Georgian Words *svla*, *sjaruli*, *dena*
(Issues of Structure and Semantics)

Summary

The verbs of movement **svla**, **sjaruli**, **dena** are interesting in many ways. These words belong to the oldest lexical fund and therefore they have a number of morphological-semantic features.

The paper discusses the data of Kartvelian and other Ibero-Caucasian languages on the basis of which it is considered that the alternation of **l/r/d/** is permissible in the words with the semantics of movement and it is a common Ibero-Caucasian phenomenon.

**ყაზარდოულ-ქართული ლექსიკონის
აგმუზღმზის შმსასამ***

კავკასიურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში ყველაზე ძველი აფხა-ზურ-ქართული ლექსიკოგრაფიაა, რომელსაც თითქმის 80 წლის ისტორია აქვს. სხვა კავკასიურ-ქართული ლექსიკონების შედგენას კი სისტემატური ხასიათი XXI საუკუნიდან ეძლევა.

პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო რ. ფარულიძის „ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც 2003 წელს გამოიცა. ლექსიკონი მოიცავს ჩეჩნური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის 7 000-ზე მეტ სიტყვას.

2015-2017 წლებში არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში შეიქმნა ექვსი კავკასიურ-ქართული ლექსიკონი: „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (ნ. მაჭავარიანი), „ჩერქეზული (ადიღეურ)-ქართული ლექსიკონი“ (ვ. შენგელია), „ხუნძურ-ქართული ლექსიკონი“ (ლ. აზმაიფარაშვილი), „ბეჭიტურ-ქართული ლექსიკონი“ (ნ. არდოტელი), „უდიურ-ქართული ლექსიკონი“ (რ. ლოლუა). ეს იყო გრძელვადიანი გეგმის პირველი ეტაპი.

2019 წლიდან დაიწყო აღნიშნული გეგმის მეორე ეტაპის განხორციელება (ასევე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით), კერძოდ, ივარაუდება ოთხი ლექსიკონის შედგენა. ესენია: „ყაზარდოულ-ქართული ლექსიკონი“ (ვ. შენგელია), „ზაცბურ (წოვათუშურ)-ქართული ლექსიკონი“ (დ. კაკაშვილი), „დიდოურ-ქართული ლექსიკონი“ (ნ. არდოტელი) და

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II – №FR-18-3659).

„ლეზგიურ-ქართული ლექსიკონი“ (რ. ლოლუა).

ყაზარდოული (სხვა ტერმინებით – ყაზარდოულ-ჩერქეზული, აღმოსავლურჩერქეზული) ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ადიღური (ჩერქეზული) ქვეჯგუფის შემადგენლობაში შედის. მისი ლექსიკა ყაზარდოულ-ქართულ ორენოვან ლექსიკონში პირველად იქნება წარმოდგენილი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, სანამ ლექსიკონის სტრუქტურაზე ვიმსჯელებთ, მოკლედ განვიხილოთ ყაზარდოული ლექსიკის შესწავლის ისტორია.

ადიღური (ჩერქეზული) ქვეჯგუფის ენათა (ადიღურისა და ყაზარდოულის) ლექსიკა (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ეთნონიმები...) პირველად ფიქსირდება ევროპელ მოგზაურთა XIII-XVIII საუკუნეთა დღიურებში (იხ. ადიღები 1974).

ყაზარდოული ენის ლექსიკის პირველი სისტემური ხასიათის ჩანაწერები ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრს ი. გიულდენშტედტს, რომელსაც 1771 წლის ზაფხულში უმოგზაურია ყაზარდოში და 300-მდე ყაზარდოული სიტყვა ჩაუწერია, კერძოდ, წინასწარ შედგენილი გერმანული სიტყვანი თარჯიმნის დახმარებით უთარგმნია ყაზარდოულად. ყაზარდოული სიტყვები გერმანული და რუსული შესატყვისებით წარმოდგენილია ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის წიგნში (გიულდენშტედტი 1964: 349-356). სიტყვები ჩაწერილია ლათინური ანბანით (დამატებითი ნიშნების გარეშე), რაც, ბუნებრივია, არ იძლეოდა საშუალებას, ყაზარდოული სიტყვები ზუსტად ყოფილიყო გადმოცემული. საკმაოდ ხშირია შეცდომები თარგმანშიც. ი. გიულდენშტედტის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებზე (მათ შორის – ყაზარდოულ ენაზე) გაბმული ტექსტების პირველი ჩანაწერები და მართებული თვალსაზრისი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ (ჩიქობავა 1965: 101-115).

ჩერქეზ განმანათლებელს შორა ნოღმას ეკუთვნის ყაზარდოული ენის პირველი გრამატიკა, რომელიც მისი გარდაცვალებიდან ასზე მეტი წლის შემდეგ (1959 წელს) დაიბეჭდა. სამი წლით ადრე (1956 წელს) გამოიცა შ. ნოღმას „ყაზარდოულ-რუსული ლექსიკონი“, რომელიც რამდენიმე ათას სიტყვას შეიცავს. ავტორს ლექსიკონი თემატური პრინციპით ჰქონია დალაგებული, მაგრამ გრამატიკისა და ლექსიკონის გამომცემელს გ. ტურჩანინოვს სიტყვები ანბანთრიგზე

დაულაგებია; მისივე მომზადებულია აღნიშნულ სიტყვათა თანამედროვე ფორმების ლექსიკონი; ამასთან ერთად, ლექსიკონს ერთვის შ. ნოღმას მიერ შედგენილი ყაბარდოულ საკუთარ სახელთა ლექსიკონი (ნოღმა 1956: 129-306).

ლ. ლოპატინსკი ავტორია ფასეული გამოკვლევებისა ადიღეურისა და ყაბარდოულის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“, რომელშიც 7 000-ზე მეტი ყაბარდოული ლექსიკური ერთეულია შესული (ლოპატინსკი 1891).

ჩერქეზულ ენათა ლექსიკის სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს გ. როგავამ, მ. კუმახოვმა, ა. შაგიროვმა (როგავა 1956, კუმახოვი 1964, შაგიროვი 1977).

XX საუკუნეში არაერთი ორენოვანი (ყაბარდოულ-რუსული და რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი) შეიქმნა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სამი: ბ. ქარდანოვისა და ა. ბიჩოვეის „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“ (1955, 30 000-მდე სიტყვა), ავტორთა კოლექტივის „ყაბარდოულ-რუსული ლექსიკონი“ (1957, 20 000 სიტყვა), ბ. ქარდანოვის „ყაბარდოულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1968, 5 600-მდე ერთეული). ყაბარდოულ ლექსიკოგრაფიაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ავტორთა კოლექტივის მიერ პ. ბაღოვის ხელმძღვანელობით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ გამოკვლევათა ინსტიტუტში შედგენილი „ყაბარდოულ-ჩერქეზული ენის ლექსიკონი“ (1999, დაახლ. 31 000 სიტყვა), ყაბარდოული ენის პირველი დოკუმენტირებული განმარტებითი ლექსიკონი.

ყაბარდოულ-ქართული ლექსიკონის ძირითადი ნაწილის სიტყვანის შედგენისას და ქართულად თარგმანისას ჩვენ ვემყარებით ძირითადად ამ ოთხ ლექსიკონს, ხოლო ლექსიკონის ბოლოს ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მცირე ლექსიკონის წარმოდგენისას – ჯ. კოკოვის ლექსიკონებს (კოკოვი 1966, კოკოვი 1973).

ორენოვანი ლექსიკონი უნდა ითვალისწინებდეს ორივე ენის სტრუქტურულ თავისებურებებს (ყაბარდოულსა და ქართულს ერთმანეთთან აკავშირებს მრავალი სტრუქტურული თავისებურება, მაგრამ

განსხვავებაც საგრძნობია) და ლექსიკოგრაფიული მუშაობის გამოცდილებას, რაც სათანადო ენაზე მომუშავე ლექსიკოლოგებს გააჩნია.

ყაბარდოული სიტყვები ყაბარდოულ-ქართულ ლექსიკონში წარმოდგენილი იქნება ამჟამად მოქმედი ყაბარდოული ანბანით, რომელიც რუსულ გრაფიკას ემყარება. ყაბარდოული ენის ბგერით სისტემაში გასარკვევად და ყაბარდოული სიტყვების სწორად წარმოთქმისათვის ხელის შეწყობის მიზნით ლექსიკონს წინ დაერთვის ტაბულა, რომელშიც ყაბარდოულში გამოყენებულ გრაფიკულ ნიშნებს სათანადო ქართული შესატყვისები მიეწერება, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სატრანსკრიფციო ნიშნები. ცალკე სვეტში გვექნება შესაბამისი ლათინური ტრანსკრიფცია.

ამა თუ იმ სახის (ერთენოვანი თუ ორენოვანი) ლექსიკონის შედგენისას მთავარი საკითხია იმ ფორმათა შერჩევა, რომლებითაც ლექსიკონში სახელი და ზმნა იქნება წარმოდგენილი.

ყაბარდოულში ისევე, როგორც ადიღეურში, სახელს მოეპოვება განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმები. დამკვიდრებული წესის შესაბამისად, მეთაურ სიტყვად გამოყენებული იქნება სახელის განუსაზღვრელი ფორმა, რომელსაც ფრჩხილებში მიეწერება განსაზღვრული ფორმა -**რ** ფორმანტით, მაგ., **მზზ (მზზერ)** „ტყე“.

ყაბარდოულში პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები თავისებურ ბრუნებას გვიჩვენებენ, კერძოდ: პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები სახელობითსა და ერგატივს არ განარჩევენ (მაგ., სახ.-ერგ. **სპ,მე**, **ხ'თ** „ვინ“); ჩვენებით ნაცვალსახელებში კი (არსებით სახელებში ერგატივის ნიშნად გამოყენებული -**მ** სუფიქსის ნაცვლად) გამოვლინდება ერგატივის ფორმანტი -**ხგ** (მაგ., სახ. **მგ-რ** „ეს“, ერგ. **მგ-ხგ** „ამან“). თავისებურია ჩვენებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ერგატივიც (შდრ. სახ. **ა-ხ'ზ-რ** „ისინი“, ერგ. **ა-ხგ-ხ'ზ-მ** „იმათ“). ეს თავისებურებები აისახება ყაბარდოული ენის გრამატიკულ მიმოხილვაში.

ყაბარდოული ზმნის წარმომადგენლად (ქართულისა და ადიღეურისაგან განსხვავებით) ყველა არსებულ ლექსიკონში მიჩნეულია მასდარი, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს აწმყოს მესამე პირის ფორმა (მაგ., **კა-ნ** „სვლა“ – ფრჩხილებში **მაკაპ** „მიდის“). ჩვენც, ბუნებრივია, ყაბარდოულ სიტყვანში ამ წესს დავიცავთ.

ლექსიკონში სათანადოდ იქნება წარმოდგენილი ე. წ. დამხმარე მეტყველების ნაწილები (ზმნისართები, თანდებულები, ნაწილაკები, შორისდებულები).

ლექსიკონში შევა დაახლოებით 5 000 ყაზარდოული სიტყვა და მათი ქართული შესატყვისები.

ყაზარდოულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვათა თარგმანის შემდეგ გარკვეული რაოდენობით გვექნება წარმოდგენილი იდიომატური გამოთქმები.

ლექსიკონის ბოლოს გვექნება ყაზარდოული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების ჩამონათვალი ყაზარდოული ანბანით და ქართული ტრანსლიტერაციით (აქვე შეიძლება დავურთოთ ტრანსლიტერაციის წესები).

ქართულ-ყაზარდოული ინდექსი დაეხმარება სპეციალისტებს თუ დაინტერესებულ პირებს მოიძიონ ამა თუ იმ ქართული სიტყვის ყაზარდოული შესატყვისი.

ყაზარდოული ენის გრამატიკული ნარკვევი, რომელიც ლექსიკონის ბოლოს იქნება წარმოდგენილი, მკითხველს მიაწვდის მოკლე ცნობებს ყაზარდოული ენის ფონოლოგიური სისტემის, სახელისა და ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების, ატრიბუტულ და პრედიკატულ სინტაგმათა საკვანძო საკითხების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

ადიღები 1974 – Адыги, балкарцыи карачаевцы визвестиях европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик.

ბაღოვი 1999 – Словарь кабардино-черкесского языка (главный редактор П. М. Багов), Москва.

გიულდენშტედტი 1964 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანი-თურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), თბილისი.

კოკოვი 1966 – Дж. Н. Коков, Кабардинские географические названия, Нальчик.

კოკოვი 1974 – Дж. Н. Коков, Адыгская (черкесская) топонимия, Нальчик.

კუმახოვი 1964 – М. А. Кумахов, Морфология адыгских языков. I, Нальчик.

ნოდია 1956 – Ш. Б. Ногма, Филологические труды, т. I, Нальчик.

როგავა 1956 – Г. В. Рогава, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тбилиси.

ქარდანოვი 1957 – Б. М. Карданов, Кабардинско-русский фразеологический словарь, Нальчик.

ქარდანოვი 1968 – Б. М. Карданов, Кабардинско-русский словарь (под общей редакцией Б. М. Карданова), Москва.

ქარდანოვი, ბიჩოვეი 1955 – Б. М. Карданов, А. Т. Бичоев, Русско-кабардинско-русский словарь, Москва.

შაგიროვი 1977 – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I и II, Москва.

V A Z H A S H E N G E L I A

On Compiling of the Kabardian-Georgian Dictionary

S u m m a r y

The Kabardian-Georgian dictionary is in the process of compilation for the first time within the framework of the grant project financed by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

In the Dictionary the headword of a dictionary entry is an indefinite form of a Kabardian noun in the nominative case while a verb is presented as an infinitive than is accompanied by the third person form in the present tense in brackets.

The dictionary includes a short list of the Kabardian toponyms and anthroponyms, a Georgian-Kabardian glossarial index and a brief grammatical overview of the Kabardian language.

The dictionary contains about 5000 words.

**ღამატებითი მასალები ქართულ-სინდური
ფიზიოლოგიური ლექსიკონისათვის**

ს.-ქართვ. *აღალ- „არეული“

ქართ. აღლ-ი, მთ. აღლ-ი-ბულლ-ი „არეულ-დარეული“

სიტყვა მხოლოდ ქართულს შემორჩა, მაგრამ ამავდროულად მეტად საყურადღებო პარალელები აღმოაჩნდა მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში; ამიტომაც აღლ- ძირი საერთოქართველური წარმომავლობისა გვგონია.

ს.-სინდ. *აღჷა „მრუდე“

უბიხ. აღ-ა „მრუდე“

ინლაუტური ღ-ს პალატალიზაცია უბიხურში იმის პირდაპირი ნიშანია, რომ ეს თანხმოვანი ლაბიალიზებული იყო ფუძე-ენაში. აღდგენილი ჷ-ს შესატყვისი ჩანს ქართულში ღ, ანუ სვანურისებურ ირლ→ჷპროცესი საერთოსინდურ ფუძე-ენაშიც მოქმედებდა.

ს.-ქართვ. *აღალ- „არეული“ ~ ს.-სინდ. *აღჷა „მრუდე“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს ნახურ ენებშიც, შდრ. ჩეჩნ. ზღჷორ, ინგუშ. ოაღორჷ „მრუდე, ირიბი“.

ს.-ქართვ. *ბალ- „თმა; ბეწვი“

ქართ. ბალ-ან-ი „ბეწვი, თმა“

ზან. {ბულ-}

სვან. ბალ-ე „ბეწვი“

კოლხურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა. აქვე ვსვამთ საკითხს ქართ. ბულ-ულ-ი სიტყვის ზანური წარმომავლობის თაობაზე, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ა : ზან. უ (ზაგის-მირთან) [ჩუხუა 2000-2003 : 57-58].

ს.-სინდ. *ბჷრ-ა „ფაფარი; ბანჯგვლი“

ყაბ. ბგრა-ც, ადილ. ფგრა-ც „ხშირბეწვიანი; ბანჯგვლიანი“

აბაზ. ჳა-ბრა „თმები“, აფხაზ. ბრა „ფაფარი“

მხოლოდ უბიხური შესატყვისი გვაკვლია სინდური ენებიდან. ვფიქრობთ, -ც ადიღურშისადერივაციო აფიქსია, ხოლო აბაზური **ჭა-** [ჭა-ბრა] დამოუკიდებელი სიტყვა ჩანს.

ს.-ქართ. ***ზალ-** „თმა; ბეწვი ~ ს.-სინდ. ***ზრ-ა**, „ფაფარი; ბან-ჯგვლი“ არქეტიპებს საკმაოდ მრავალფეროვანი შესატყვისები უდას-ტურდება მონათესავე ნახურ-დაღესტნურ ენებში, შდრ.: ჩეჩნ. **ზ-ალ-ა** „თმიანი“; ლაკ. **ფალ**, დარგ. **ზალ-ა** „მატყლი“... ხუნძურ-ანდიური ენებიდან საყურადღებო ჩანს ბავგ. **ფოლონ** „ბეწვი“, რომელიც შესაძ-ლოა, საკუთრივ ანდიურ **ზოლ-ონ**-ს ინახავდეს, ვინაიდან აქ ს.-ანდ. ა ხშირად იძლევა ზანურივით ლაბიალიზებულ **ლო** შესატყვისს.

ს.-ქართ. ***დედ-** „დედანი ორიგინალი“

ძვ. ქართ. **დედ-ა**, ახ. ქართ. **დედ-ან-ი**

შესაძლოა, დაისვას საკითხი **დედ-ა** (შდრ. მამა) სიტყვასთან გენეტიკური კავშირის შესახებაც. ამგვარ აზრს აძლიერებს პირდაპირი ფორმალური თანხვედრა ძველქართულში: „რომელ დ ე დ ა ს ა ეწერა, მე იგი დამიწერია“ [აბულაძე 1973 : 138].

ს.-სინდ. ***დად-** „ნამდვილი, ორიგინალი“

ადიღ. **დგდ**, ყაბ. **დგდ-გ**, „ნამდვილი, ორიგინალი“

უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში შესატყვისები ვერ მოვიძი-ეთ. ადიღურშიძირად გამოყოფილ **დგდ-** ფორმას შეიძლება, ქართ. **დედ-** შევუდაროთ. და თუ **დედა** (მშობელი) სიტყვასთან ეტიმოლო-გიური კავშირი დამტკიცდება, ცხადია, დაღესტნური იზოგლოსე-ბიც (დედის აღმნიშვნელი) აქვე შემოვა, შდრ: ლეზგ. **დიდე/დადა**, ხინალ. **დადა**...

საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ს.-ქართ. ***დინ-ა** „დედა, მშობელი; მათი შთამომავლობა“

ქართ. (იმერხ.) **დინე** „დედა“

ზან. (მეგრ.) **დინო** „ერთი დიდი პაპის შთამომავლობა“; „დიდი ოჯახი“

სვან. **დინა/დინა, დენა** (ლნტ.) „ქალიშვილი, გოგო“

ფინალური ე გახმოვანება იმერხეულში არქაული **ა-მ**თანმიმ-დეგრობისგან უნდა მომდინარეობდეს. ამგვარ ანალიზს მხარს

უჭერს როგორც სვანური ა დაბოლოება, ისე მისი ზანური შესატყვისი, შდრ. ა : ო.

ს.-სინდ. *დგნ- „დედა“

უბიხ. დგნ-, სიტყვაში დგნ-ქა „მშობლები, ოჯახი“

რთული შედგენილობის სიტყვაში დგნ- დედის აღმნიშვნელი ჩანს: დგნ-ქა = დედ-მამა.

ამ ეტაპზე სხვა სინდური პარალელების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით -ქა ფორმის წარმომავლობაზე მსჯელობა. იქნებ, დასვას საკითხი უბიხ. -ქა და რუთულ. გაა „ბებია“ სახელთა გენეტიკური ურთიერთმიმართების თაობაზე. წოვათუშური ზგ „ბებია“, ალბათ, სხვა ძირია.

ს.-ქართვ. *დუმ-ა „უკუდო ქათამი“

ქართ. (ინგილ.) დუმბა-მ „ქათამი, რომელსაც ბოლო არა აქვს“

სიტყვა განმარტობით დგას ინგილოურში, მაგრამ ამავდროულად ინახავს ფუძეენური წარმომავლობის სახელს. მ-ს მომდევნო პოზიციაში პოვნიერი მხოლოდ ფონეტიკური დანართი ჩანს.

ს.-სინდ. *დუმ-ა „ქათამი“

უბიხ. დგმა/დმა „ქათამი“

თავკიდურად უკომპლექსის დელაბიალიზაცია ვივარაუდეთ უბიხურში, ვინაიდან ნებისმიერი ცუ აქ შეიძლება გამარტივდეს; თუმცა პირიქით შემთხვევებიც არაერთი ვიცით.

ასეა თუ ისე, ქართულ-უბიხური იზოგლოსების პალეოკავკასიური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა აჩენდეს.

ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ენებში შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *დონდუ „ჭინკა“

ზან. (ლაზ.) დუნდუ „ჭინკა“, შდრ. მეგრ. დუნდუ-ა, გურ. დონდუ-ა (ანთროპ.).

სიტყვა მხოლოდ ლაზურს შემორჩა, არადა, ასახავს ფუძეენური წარმომავლობის ლექსიკას, რომელსაც საყურადღებო პარალელები აღმოაჩნდა მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

წ.-სინდ. *დუნდუ- „მოჯადოება“

ხათ. **tuntu** „მოჯადოება“

აფხაზურ-ადიღურმა ენა-კილოებმა შესაბამისი ფუძეები და-
კარგეს. თვით ხათურშიც მხოლოდ ბოლო პერიოდის კვლევებმა და-
ამოწმეს **tuntu** ზმნის რეალურობა [კასიანი 2009 : 391]. მეტად სა-
რწმუნო შესატყვისი გამოვლინდა დაღესტნურშიც, შდრ. ხინალ.
დარდ „ემმაკი“.

ს.-ქართვ. ***ზტაჲ** „ზვავი“

ქართ. **ზტავ-ი/ზვაგ-ი**

სვან. **ჟაჰ/ჟაფ/ჟაფ** „ზვავი“

მეგრულ-ლაზური შესატყვისები დაკარგული ჩანს. სპეცია-
ლურ ლიტერატურაში მიუთითებენ: „არაა ნათელი **ჰ**-ს წარმომავ-
ლობა“ სვანურში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 234]. ზოგადად სვა-
ნურში **ფ/ჰ** საერთო წყაროდ **ჲ**-ს გულისხმობს (შდრ. ს.-ქართვ.
***ბლჲ** „ბუ“ → სვან. **ლჲჰ** „ბუ“), ამათგან **ფ** უწინარესია, ანუ **ჲ** → **ფ** → **ჰ**.
ეს უკანასკნელი აშკარად გამოჩნდება ნასესხებ ლექსიკაში, შდრ.
რუს. **яшик** → სვან. **ფაჲიკ** → //ჰაჲიკ „id“.

სვანურ-ქართულ იზოგლოსებზე ვ. აბაევმა მიუთითა [აბაევი
1949 : 294].

ს.-სინდ. ***ზეტაჲ** „ბუქი“

ადიღ. **ჟეტაფ**, ყაბ. **ტაფ** ← ***ზტაფ** „ბუქი“

უბიხური შესატყვისი ვერ ვიპოვეთ; სათანადო მასალა არც
აფხაზურ-აბაზურ ენებშია პოვნიერი.

ქართველურ-ადიღურ იზოგლოსებს ახასიათებთ ერთგვარო-
ვანი სტრუქტურა; რაც შეეხება სემანტიკურ კორელაციას **ზვავი**~**ბუ-
ქი**, ორივესთვის გამაერთიანებელი ჩანს *თოვლის* ნიუანსი. და ეს
კარგად იგრძნობა დიდი ლექსიკოგრაფის, სულხან-საბას განმარტე-
ბაში: „ქარიანსა თ ო ვ ლ ს ა ეწოდების ბ უ ქ ი“, ხოლო „თუცა გაზა-
ფხულ თოვლი შეყნიული ჩამოიზვლა, მას უწოდენ **ზ ვ ა ვ ს ა**“.

თ ო ვ ლ ი შემთხვევით არ გვიხსენებია, დაღესტნურ შესა-
ტყვისებში სწორედ იგია ამოსავალი, შდრ. ლეზგ. **ჟიჲ** „თოვლი“...

ს.-ქართვ. ***ზილ** „ჯდომა“

ქართ. **ზი**-, **ზი**-ს, ვ-**ზი**, დიალ. **ზილ**-არიენ „სხედან“

ძირად **ზილ**-ის გამოყოფა პირობითია. სანამ არ გამოჩნდება ზანურ-სვანური გენეტიკურად საერთო ფორმები, ძნელია ძირის რეკონსტრუქციის საბოლოო ვარიანტზე შეთანხმება.

წ.-სინდ. ***ზი**- „წოლა; დება“

ხათ. **zi**- „წოლა; დება“

აფხაზურ-ადიღურ ენებში მსგავსი აგებულება-შედგენილობის ძირებს ვერ მივაკვლიეთ. ხათური **zi**-ალომორფიც მხოლოდ ბოლო პერიოდის კვლევებმა წარმოაჩინეს დამოუკიდებელ ძირად [კასიანი 2009 : 363].

ქართულ-ხათურიზოგლოსთაპალეოკავკასიურ წარმომავლობას მხარს უჭერს დაღესტნური ინფორმაციაც, შდრ. დიდ. **ზოჷ**-ერა „დაჯდომა“.

ნახური ჯგუფის ენებში საერთო ძირები არ იძებნება.

ს.-ქართვ. ***ზომ**- „მომცრო; ზომიერი“

ძვ. ქართ. **ზომ**-ი „ზომა“, **ზომ**-ით-ი „ზომიერი“, შდრ. **ზომ**-იერ-ი

ზან. **ზუმ**-/**ზემ**-/**ზიმ**- „გაზომვა“, ჩქიმ-**ზუმ**-ა „ჩემოდენა“

სვან. **ზემ**-, **ზემ**-არ/**ზემ**-არ „მომცრო, ზომიერი“, **ზემ**-შჷ „ოდნავ, ცოტათი“

როგორც ვხედავთ, **ზომ**- ძირს *სიმცირის* ნიუანსი ჯერ კიდევ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უდასტურდებოდა, რასაც ემატება სვანურის მნიშვნელობები [ძირის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 216-217].

ს.-სინდ. ***ზემ**- „არაფერი“

ადიღ. **ზემ**-ი „არაფერი“

ძირად **ზემ**- გამოიყოფა, რომელიც მხოლოდ ადიღურში შემოგვრჩა.

ს.-ქართვ. ***ზომ**- „მომცრო; ზომიერი“ ~ს.-სინდ. ***ზემ**- „არაფერი“ არქეტიპების კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევა ს.-ნახ. ***ჟომ**-ენ „პატარა; მომცრო“ ადიექტივი, შდრ.: წ.-თუმ. **ჟომ**-ენ „პატარა, მცირე, უსაკო“, **ჟომ**-ენ-კაკ „მომცრო“.

დაღესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ზომ**- „დაშლა, რღვევა“
სვან. **ჟომ**-/**ჟუმ**-, ი-**ჟუმ**-ი/ი-**ჟომ**-ი(ლნტ.) „იშლება; ირღვევა“, ა-**ჟუმ**-ე/ა-**ჟომ**-ე (ლნტ.) „არღვევს; შლის“

საერთოქართველური არქეტიპი რეკონსტრუირდება მხოლოდ სვანური მონაცემების ნიადაგზე, რომელსაც ადრე სხვა შესატყვი-სებს ვუძებნიდით [ჩუხუა 2002-2003 : 185].

ს.-სინდ. ***მეჟ**- „დაშლა“
აბაზ. **მეჟ**-რა, აფხაზ. სი-**მეჟ**-რა „დაშლა“, ეი-**მრჟ**-უეიტ „შლის“
ძირად **მეჟ**- გამოიყოფა, რომლის ჩერქეზულ შესატყვისებსაც ვერ მივაკვლიეთ.

აფხაზურ-აბაზური **მეჟ**- შებრუნებული წყობისა უნდა იყოს, რასაც, თითქოს, ხუნძური შესატყვისი ამოწმებს, შდრ. ხუნძ. **ჟუნ**-იზე „რყევა; ჩამოცურება“. მ → ნ საკუთრივ ხუნძური ინოვაცია ჩანს, შდრ. ემენ-//ემემ- „მამა“, წან//წამ „მარილი“...

ნახური ენებისთვის ამგვარი ზმნა უცხოა.

ს.-ქართვ. ***თჷ**- „დალევინება“
სვან. **თჷ**-, ა-**თჷ**-ნ-ე „ასმევს, არწყულებს“ ოთ-**თჷ**-ინ „დაალე-ვინა“

ძირად **თჷ**- გამოვყავით, ვინაიდან -ნკაუზატივის -**უნ** სვანუ-რი სუფიქსის ნაშთი ჩანს, ძირეული **ჷ**-ს მომდევნო პოზიციაში გა-მარტივებული.

წ.-სინდ. ***თჷ**- „ჭამა“
ხათ. **tu**- „ჭამა“
აფხაზურ-ადიღურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ. თავის მხრივ, ხათურ-სვანური იზოგლოსები შეიძლება, გენეტიკურად დაუკავ-შირდეს ს.-ქართვ. ***თჷერ**- „სმა, თრობა“ ~ს.-სინდ. ***თჷა**- „გავსება“ არქეტიპებს.

ნახურ-დაღესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***თუს**- „კომლი“
ქართ. **თუს**-ი „კომლი; კვამლი“
სიტყვა დამოუკიდებლად მხოლოდ ქართულში იხმარება. **თუს**- ძირის გენეტიკური კავშირის ძიებას ნა-**თეს**-ავ-თან არ უნდა ჰქონდეს პერსპექტივა, ვინაიდან **თეს**-/**თეს**-ლ- საერთო ძირად არის

მიწნეული [თეს-/თეს-ლ-სათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 235].

ს.-სინდ. *თჷგს- „მშობლები, ოჯახი“

უბიხ. თჷგს „მშობლები, ოჯახი“

ისევე, როგორც ქართველურში, უბიხური თჷგს ფორმაც განმარტოებით დგას სინდურ ენობრივ სინამდვილეში.

უბიხურ-ქართული იზოგლოსთა შესატყვისებს ნახურ-დადეს-ტნურ ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *კაჷ- „დაკავება, დაჭერა“

ქართ. კავ-, და-კავ-ებ-ა, ი-კავ-ებ-ს, შე-ა-კავ-ა

სვან. კაჷ-/კჷჷ-, ლგ-კჷჷჷ, „დაკავებული“, ჩოთ-კჷჷჷ „დავაკავე“, ლი-კჷჷჷ-ენ-ი „დაჭერა, დაკავება“

შიდილება გვეფიქრა მეგრ. კენ-/კინ- „დაკავება“ ფორმაზეც, ჶ-ნ ბგერათფარდობა დაბრკოლება ვერ იქნება, შდრ. ქართ. ვაკე : მეგრ. ნაკა (← *ნოკა) „ვაკე“.

უთითებენ კავ- ძირის სხვა მნიშვნელობაზეც [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 260].

ს.-სინდ. *კ- „დაკავება“

აბაზ. კ-რა, აფხაზ. ა-კ-რა „დაკავება“, შდრ. რ-კ-რა / ა-რ-კ-რა „დახურვა“

სიტყვა მხოლოდ აფხაზურ-აბაზურში შემოგვრჩა, მაგრამ მისი გარეენობრივიშესატყვისები კ- ზმნის საერთოსინდურ წარმომავლობაზე მიუთითებენ.

აქვე მოსახმობიალევგ. კეჷჷ-, კეჷჷ-ირ-უნ / კეჷჷ-უნ „დახურვა“ ზმნაც. კავკასიურ ენათა სემანტიკური კორელაცია დაკავება-დახურვა ბუნებრივი ჩანს, მით უფრო, მაშინ, როცა ქართველურში დაკავ-ებ-ა ფორმა რადაცის დაფარვის მნიშვნელობითაც ბუნებრივია. რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზურ-აბაზურ მონაცემებზე, სადაც კ- „დაკავება“ ზმნის კაუზატიურ ფორმებს რ-კ-რა / ა-რ-კ-რა „დახურვის“ გაგება ახასიათებს.

ს.-ქართვ. *კარკ-ატ- „მაგარი, უტეხი“

ქართ. კერკეტ-ი „მაგარი; უტეხი“

დიალექტური **კირკიტ**-ი / **კირკიტ**-ა „მაგარი, უტეხი“ შეიძლება ინახავდეს ზანურ შესატყვისს. ჩვენეული რეკონსტრუქციაც ამგვარ ვარაუდს ეფუძნება.

ს.-სინდ. ***კაკა** „მყარი; მაგარი“

აფხაზ. **ა-კაკა** „მყარი; მაგარი“

ბოლოკიდური **-ტ** შეიძლება, სუფიქსური იყოს ქართველურში, რაზეც აფხაზ. **ა-კაკა** „მყარი; მაგარი“ სახელი ცალსახად მეტყველებს; თუმცა, არ გამოვრიცხავთ ფუძის ცვეთას აფხაზურში, ვინაიდან ჩერქეზთა არქაულ სახელში – **კერკეტი**-ი სწორედ კანონზომიერი (არქაული) სახეობაა შენახული. ასევე ანგარიშგასაწევი ჩანს ის ფაქტიც, რომ ტინდ. **კაკატ**-უ-ბ „მყარი; მაგარი“ ალომორფშიც **-ტ** სუფიქსად მეორდება.

ნახურ ენებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***კიკინ**- „რკინა“

ზან. (ლაზ.) **კიკინ**-ა „რკინა“

შეიძლებოდა გვეფიქრა იმის შესახებაც, რომ ლაზურში ფუძე-გაორკეცებული ალომორფი გვაქვსო, მაგრამ უბიხურში პარალელის არსებობა ამას გამორიცხავს.

ასე რომ, ლაზური **კიკინ**-ა „რკინა“ ფუძეენური წარმომავლობის სიტყვადმიიჩნევა.

ს.-სინდ. ***კენკ-გ** „გრდემლი“

უბიხ. **კენკ** „გრდემლი“

აღბათ ძირეულ თანხმოვანთა პალატალიზაცია მიმდევნო **გ** (←**ი**) ხმოვნის ასიმილაციური ზეგავლენის შედეგია. სემანტიკურად **რკინა** ~ **გრდემლი** კანონზომიერებას ექვემდებარება, ვინაიდან **გრდემლი** თვითონაც რკინაა მხოლოდ.

ნახურ-დაღესტნურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***კნ-ინ**- „მცირე, ცოტა; დამცირება“

ძვ. ქართ. **კნ-ინ**-ი „მცირე“, და-ი-**კნ-ინ**-ა/და-ი-**კნ-ინ**-ის „დაიმცირა (თავი)“, **კნ-ინ**-აკ-ი „უმცირესი“, **კნ-ინ-კნ-ინ**-ი „ცოტა-ცოტა“

სიტყვა გავრცელებულია როგორც ძვ. ქართულში, ისე თანამედროვე მეტყველებაში. თუმცა ძვ. ქართულში **კნ-ინ**- ფუძეს გა-

ვრცელების მეტი არეალი აქვს: „მარადის გულმწყრალ არნ საქმესა ზედა კნინსაცა და დიდსაცა“ [აბულაძე 1973 : 200]; „არა თუ უკნინესსა ძალისა ჩუენისასა“ [აბულაძე 1973 : 422].

ს.-სინდ. *კან- „ნატეხი; ნამცეცი“

ყაბ. კან-გ/ჰან-გ „ნატეხი; ნამცეცი“

აბაზური კან-ა „id“ ყაბარდოულიდან არის შეთვისებული, ვინაიდან აფხაზურში იგი არ ფიქსირდება. საინტერესო ჩანს ხინალულური კან „ნატეხი, ნამცეცი“, რომელიც ქართულ-ყაბარდოულს ეხმიანება მნიშვნელობით და ამავდროულად წახ. კენ-ინ „პატარა“ ზედსართავის შესატყვისიცაა. წახურ-ქართული იზოგლოსების ურთიერთშედარებით კი ირკვევა, რომ -ინ ზედსართავი სუფიქსია ქართველურში (შდრ. სვან ნეც-ინ „წვრილი“), ხოლო დაღესტნურში იგი დაღესაძ მოქმედია აფიქსია, შდრ. წახ. ბატრა-ინ „ლამაზი“...

ს.-ქართვ. *კურკა „კურკა“

ქართ. კურკა

ზან. (ლაზ.) კურკა „კურკა“

სვანურსა და მეგრულში შესატყვისები დაკარგული ჩანს [კლიმოვი 1964 : 117].

წ.-სინდ. *კუკა „მარცვალი“

ხათ. kuka „მარცვალი, თესლი“

აფხაზურ-ადიღურ ენებში შესაბამისი ფორმები არ იძებნება; ხათური kuka კი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *კურკა არქეტოპს.

დაღესტნური ძირებიდან საინტერესო ჩანს დიდოურ ენათა ჩვენება, შდრ. ბეჟიტ. კკკ, ჰუნზიბ. კკკი „კურკა“

ნახურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. *ლაგ- „დადება, დადგმა“

ქართ. ლაგ-, ა-ლაგ-ებ-ს, და-ა-ლაგ-ა

ზან. (მეგრ.) ლოგ-ინ-, ლოგ-ინ-ან-ს „ადებს ფასს“, შდრ. ლოგ-ინ-ი „ლოგინი“

სვან. ლგ-ონ-/ლაგ-ჰენ-, ა-ლგ-ონ-ი/ა-ლაგ-ჰენ-ი (ლნტ.) „ფასს ადებს“

ძირად **ლაგ-/ლოგ-** გამოყოფა **-ინ/-ონ** სუფიქსებია ზანურ-სვანურში.

ს.-სინდ. ***გალ-** „დადგომა, დადგმა“

აბაზ. **გელ-**ა-რა. აფხაზ. ა-**გელ-**ა-რა „დადგომა, დადგმა“

ჩერქეზულ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ. შედარებითი ანალიზით კი ირკვევა, რომ განსხვავებული წყობის ძირებთან გვაქვს შეხება, მაგრამ თუ დადესტნურ მასალას მოვიხმობთ, ფონემური თანმიმდევრულობისაშკარა მეორეულობა ქართველურში გამოიკვეთება, შდრ.: ბეჟიტ. **გოლ-**ალ, ჰინუხ. **გორ-**ა, ჰუნზიბ. **გელ-**ა/**გილ-**ა „დადება“...

გარე შესატყვისებს შეიძლება ინახავდეს ნაზმნარი სახელები ნახურში: ჩეჩნ. **მანგ-**ა, ინგუშ. **მანგ-**იმ „საწოლი“, შდრ. სვან. **ლერგიმ** „სკამლოგინი“ [ჩუხუა 2008 : 388].

ს.-ქართვ. ***მაგ-** „მაგარი; დამაგრება“

ქართ. **მაგ-**, **მაგ-**არ-ი, ა-**მაგ-**რ-ებ-ს, და-**მაგ-**ინ-ებ-ა „დარგვა, გადაწინდვა“

ზან. (მეგრ.) **ნოგ-** (← ***მოგ**), **ნოგ-**რ-ო / **ნორგ-**ო „ნერი“

სვან. **ლაჯ-/ლჯ-** (← ***ლაგ-**), ა-**ლჯ-**ი „რგავს“, ო-**ლაჯ** „დარგო“

მოქმედი სვანური პროცესი **მ**→**ლ** იძლევა **ლაჯ-/ლჯ-** ალომორფთა აქ შემოტანის შესაძლებლობას [ჩუხუა 2000-2003 : 138-139].

ს.-სინდ. ***მანგ-** „მაგარი; დამაგრება“

ადილ. **მეჯგ-**ერ „უნდილი, მაგარი, უმწიფარი“

ცხადია ინლაუტურიჯ ადილეურში **ჯ**→**ჯა**ფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესის შედეგია. **გ** მჟღერი გუტურალის პირველადობას ქართველური მასალაც უჭერს მხარს. აქ სვანურ-ადილეური ალომორფები განვითარების საერთო ტენდენციას ამჟღავნებენ.

საინტერესოდ გვეჩვენება ნახურ **მაგ-** ძირთან გენეტიკური მიმართების პრობლემაც, შდრ.: ჩეჩნ. **მაგ-**არ, ინგუშ. **მაგ-**არ „შეძლება; სიმაგრე; მდგრადობა“ [ჩუხუა 2008 : 401].

ს.-ქართვ. ***მან-ე** „პალო, სარი“

ძვ. ქართ. **მან-**ა,ქსნ. **მან-ე** „ჯოხი, რომელზეც ლასტსა და გოდორს წნავენ“

საბასთან **მანა** „თითისტარი“ DE მნიშვნელობითაც არის ნახმა-რი, რაც ასევე გასათვალისწინებელი ჩანს.

თავად **მანა** „პალო, სარი“ ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან: „დაასვენეს ოთხნი მანანი ქუეყანასა“ [აბულაძე 1973 : 215].

ს.-სინდ. ***მან**- „penis“

ადიდ. **მენ**, ყაბ. **მან-გ** „penis“

ადილურ ენათა სემანტიკა მოულოდნელი არ ჩანს, ვინაიდან სემანტიკური კორელაცია „პალო, სარი“ ~ „penis“ ერთი სიტყვის ფარგლებშიცაა შესაძლებელი, შდრ. ქართ. **მორ**-ი „მორი; მამაკაცის ასო სარცხინელი“ (საბა).

ალბათ, ს.-ქართვ. ***მან-ე** „პალო, სარი“ ~ს.-სინდ. ***მან**- „penis“ არქეტიპების შესატყვისი იკითხება და დესტურ ენებშიც, შდრ. ს.-დად. ***მან-ე** „ნისკარტი“, ხვარშ. **მენე** „ნისკარტი“. ამ უკანასკნელში ძირეული ა- ხმოვნის ფარინგალიზაცია გვიანდელი, საკუთრივ ხვარშიული ინოვაცია უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***მერყ**- „შემოჭრა“

სვან. **მერყ**-ინ-, ლი-**მერყ**-ინ-ე „შემოჭრა“, „შემოჭრა / შემოსა-ზღვრა სახნისად ვარგისი ნაკვეთისა“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ლინგვისტური მასალა არ ფიქსირდება; სამაგიეროდ საკმაოდ დამაჯერებელია პარალელები და დესტურული და სინდური ენებიდან.

ს.-სინდ. ***ბყ**- „ჭრა“

აბაზ. **ფყ**-რა, აფხაზ. ა-**ფყა**-რა „ჭრა“

როგორც აფხაზურ-აბაზური და სვანური გახმოვანება აჩვენებს, ამოსავალია ს.-ქართვ. **ე** : ს.-სინდ. **ჰ** ბგერათშესატყვისობა; ამიტომაც და დესტურ შესატყვისი იქნებ, **ე**→**უ** წინამავალ **ბ**-სთან ასიმილაციით იყოს მიღებული, შდრ. ჭამალ. **ბუყ**-, **ბუყ**-ლა „მოჭრა“. პრობლემას დამატებითი მასალების მოძიება გადაწყვეტს საბოლოოდ.

ს.-ქართვ. ***მყარ**- „ტალახი“

ქართ. (თუშ.) **პყარ**-ი „ჭაობიანი ადგილი“

ვფიქრობთ, სალიტერატურო **მყარ**-თან თუშურ **ჰყარ**-ს არაფერი აქვს საერთო. ომონიმური**მყარ**- *ტალახის* აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ანუ **მყარ**-ი → **ჰყარ**-ი თუშურში განხორციელდა.

ს.-სინდ. ***მგყა**- „სიმყრალე“

ადიდ. **მგყა**- „სიმყრალე“

ძირად **მგყა**- გამოიყოფა, -**ფარყოფითი** თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი ჩანს [კვახაძე 2014 : 307]. ადიღურშივე განხორციელდა სპირანტიზაციის **ყ**→ **ფ** ფონეტიკური პროცესი.

ს.-ქართვ. ***მყარ**- „ტალახი“ ~ ს.-სინდ. ***მგყა**- „სიმყრალე“ არქეტიპთა შესატყვისებს ნახურ-დაღესტნურ ენებში ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ორ**- „ვარცლი; ხონჩა“

ქართ. **ორ**-,**ორ**-ე „სამაღლე ჭურჭელი“ (საბა), გურ. „დიდი ვარცლი“

ზან. (მეგრ.) **ორ**-ომ-ი/**ორ**-ომ-ე „ხონჩივით ჭურჭელია“

სვანური შესატყვისები ამ ჯერზე ვერ გამოვლინდა. ბოლოკიდური ეკონტამინაციური ჩანს მეგრულში, **ო**-ე ცირკუმფიქსული წარმოების ანალოგია.

ს.-სინდ. ***ჟარ**- „ლანგარი“

უბიხ. **ჟარ**-ალ „ლანგარი“

ძირად **ჟარ**- გამოიყოფა, -**ალ** საკუთრივ უბიხური სუფიქსი ჩანს, ისეთივე, როგორც ქართველურში გამოიყო: -**ე** / -**ომ**. თუმცა, ცხადია, -**ალ**/-**ე**/-**ომ** ფონეტიკურად ერთმანეთამდე არ დაიყვანება.

თავკიდურაბგერათფარდობა ს.-ქართვ. **ო** : ს.-სინდ. **ჟა** იმაზე მიუთითებს, რომ **ო**→ **ჟა** პროცესი ჯერ კიდევ ფუძესინდურში განხორციელდა.

ნახურ-დაღესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***რჟ**- „მზრუნველობა; შემწეობა“

ქართ. -**რვ**-, უ-**რვ**-ა, მე-უ-**რვ**-ე

სამიბებელი ძირ-ფუძე ძველ ქართულში მეტი დისტრიბუციით გამოირჩევა: უ-**რვ**-ა, უ-**რვ**-ეულ-ი, უ-**რვ**-ეულ-ებ-ა [აბულაძე 1973 : 429-430], ოღონდ, ომონიმური უ-**რვ**- „წუხილი, შფოთვა“ სხვა ძირი

ჩანს; თუმცა თავკიდური უ- ორივეგან სადერივაციო აფიქსია და ძირის ნაწილად არ უნდა მოვიაზროთ, შდრ. უ-ბნ-, უ-წყ-, უ-ფ-ებ-ა, უ-ფლ-ებ-ა...

ს.-სინდ. *ტ- „ქმნა, კეთება“

აბაზ. ტ-რა „ქმნა, კეთება“

სიტყვა დამოუკიდებლად ფუნქციონირებს მხოლოდ აბაზურში. საკითხი ისმის იმავე ფუნქციის რ- პრეფიქსის გამოყოფის შესახებ ქართველურში, შდრ. რექტ-/თქტ...

აქვე გაგვახსენდება ბეიტი. რ-ოტ-, რ-ოტ-ალ „შრომა, მუშაობა“ ზმნა. ბეიტიურ-ქართულში რ-ს აფიქსურობას ხაზს უსვამს აბაზურიმონაცემი, სადაც ტ-რა „ქმნა, კეთება“ ზმნა ოდენ ტ-თია წარმოდგენილი.

ს.-ქართვ. *რკინ-ა „რკინა“

ზან. (მეგრ.) რკინა/კინა „რკინა“, კინა-ხონა „სახნისი“, ლაზ. კინა „id“, კინა-ხონა „სახნისი“

სვან. კირ-აჟ „რკინის ნაჭერი“

ლაზურ შესატყვისს ადრე მხოლოდ ერკინა-ჩხა/იკინა-ჩხა „სამშაბათი“ კომპოზიტის ნაწილად ხედავდნენ, რასაც ეჭვითაც შეხედეს [კლიმოვი 1964 : 156-157]. სამიეზო ფორმა ლაზურთან ერთად სვანურშიც აღმოჩნდა, ოღონდ დამახასიათებელი ნ→რ დენაზალიზაციის ფონეტიკური პროცესის გათვალისწინებით.

წ.-სინდ. *კინ-ა-ჟარ „სპილენძი“

ხათ. kinawar „სპილენძი“ [კასიანი 2009 : 371]

ამგვარი მეტალის სახელი აფხაზურ-ადიღურ ენებში არ იძებნება. თვით ხათურშიც კინ-ა მხოლოდ კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად მოიპოვება. დარჩენილი war იგივე სეგმენტი ჩანს, რაც რკინის აღმნიშვნელი ურა სიტყვა ხინალულდურიზოგლოსში.

სტრუქტურულ-სემანტიკურად ს.-ქართვ. *რკინ-ა არქეტის ასევე კანონზომიერად შეეფარდება ლეზგ. რაყ, თაბას. რუყუ, ალულ. რუყ „რკინა“ ალომორფები.

ს.-ქართვ. *სომ- „საკამრე ქვა“

ქართ. სომ-ი „საკამრე ქვა მოხრილი“ (საბა)

სიტყვას იცნობს საბას ლექსიკონი და მისი განმარტება მეორდება დ. ჩუბინაშვილთანაც [ჩუბინაშვილი 1984 : 1190].

სვანურ **შტრღლ-/შტილ-** „ქვის სროლა“ ზმნასთან გენეტიკური კავშირი სომისა შეიძლება, საეჭვო იყოს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 315].

ს.-სინდ. ***ს(ჟ)ამ-** „გროვა (ქვების); ბორცვი“

ადიდ. **სამ**, ყაბ. **სამ-ჰ** „გროვა, ხროვა, ბორცვი“

ინიციალური თანხმოვნის ლაბიალიზაციის მოშლა საკუთრივ ადიღური მოვლენა უნდა იყოს, ვინაიდან დადესტნური მასალაც, ქართველურთან ერთად, **ო-** გახმოვანებას უჭერს მხარს, შდრ. არჩიბ. **მოსოლ** (← ***სომოლ**) „საფლავის ქვა“. ალბათ, დიდლოურიშემ „ქვების გროვა“ სიტყვაც ისტორიული **შრმ** ალომორფიდან განვითარდა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 832-833].

ნახურმა სამყარომ ამგვარი სიტყვა არ იცის.

ს.-ქართვ. ***ტაბ-** „ძირი, საძირკველი“

ქართ. (აჭარ.) **ტაბ-**, **ტაბ-ან-ი** „ბინის საძირკველი“

ზან. (მეგრ.) **ტუბ-**, **ტუბ-ერ-ი** „ძირი, ბოლქვი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. როგორ ირკვევა, **-ან/-ერ** განსხვავებული წარმომავლობის სადერივაციო აფიქსებია ქართულ-ზანურში. მეგრულში **ტუბ-** ძირი, **ა→ო→ჟ**ზანური გადაწევის ცნობილი წესის თანახმად, კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ტაბ-** ფორმას.

წ.-სინდ. ***ტუფ-** „ძირი“

ხათ. **tup** „ძირი“

აფხაზურ-ადიღურ ენებში შესაბამის ალომორფებს ვერ ვხედავთ. ხათური შესატყვისიც მხოლოდ ბოლო პერიოდში ხდება ცნობილი [კასიანი 2009 : 330].

საინტერესოდ გვეჩვენება ხუნძური **ლჷიბ-ილ** „ძირი“ და მასთან მონათესავე სიტყვებთან გენეტიკური მიმართების პრობლემა. უდიურში დამოწმებულითუმ „ძირი, ფესვი“, ალბათ, სხვაგვარი ეტიმოლოგიისსიტყვაა.

ნახურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. *ფერ- „ფერო; ფერი; ალი“
ქართ. ფერ-, ფერ-ი, ფერ-ო „თეთრსა და შავს საშუალო“ (საბა),
ფერ-უა „ჭიაფერა“
ზან. (ლაზ.) ფარ-, ფარ-ელ-ი „ალი“, მეგრ. ფარ-ონ-ი „მწვანე სა-
ფარი“; „ტევრი“

სვამ. ფარ-უ „ნაცრისფერი“
უმლაუტიანიზ სვანურში მ. ქალდანის ცნობილ წესს ექვემდებ-
არება [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 463].

წ.-სინდ. *ფარ- „ნათელი, ბრწყინვალე“
ხათ. paru „ნათელი, ბრწყინვალე“
აფხაზურ-ადიღურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ, ამიტომაც
მხოლოდ ხათურის ჩვენების მიხედვით მოხდა წინარესინდური არ-
ქტივის რეკონსტრუქცია. ფორმალურად (და სემანტიკურადაც) ხა-
თურ-ქართველური იზოგლოსები მარჯვედ უდგებიან ერთმანეთს.
იქნებ, აქვე შემოვიდეს ნახური მასალაც, შდრ. წ.-თუმ. აფერ
„მწვანე“.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ფულ- „ქერცლი“
ზან. (ლაზ.) ფულ-ე/ფულ-ი, მეგრ. ფულ-ი „ქერცლი“
სვანურ-ქართულ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ. ზანური მო-
ნაცემები მიჰყვება პალეოკავკასიურ იზოგლოსებს; რეკონსტრუქცი-
აც ამის გათვალისწინებით ხდება.

ს.-სინდ. *ფურ- „ბუსუსი; ფაფარი“
ადიღ. ფეჟ-უაც, ყაბ. ბჟბ-უაცა, „ბუსუსებიანი“
აბაზ. ფრგ-ჩუ, აფხაზ. ა-ფგრ-ცუგქუა / ა-ფრგ-ქუგცუ, ბზიფ.
ა-ფრგ-ხუჩუ „ფაფარი“

ყველა სინდურ ენაში სიტყვა რთული შედგენილობისაა, თუმ-
ცა ძირეული ნაწილი მეორდება. ფონემური შესატყვისობა რ : ჭ
აფხაზურ-აბაზური რ-ს სასარგებლოდ მეტყველებს; ამიტომაც სავა-
რაუდოა რ - > ჭ საერთოჩერქეზულში.

საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება ნახურ-სინდური პარა-
ლელები: ჩეჩნ. ფელ-აგ/ფელ-ანგ, ქისტ. ფულ, ინგუმ. ფილ-ანქ
„ფრთა“...

ს.-ქართვ. *ქებ- „მდიდარი“
ქართ. (ფშ.) ქებ-, ქებ-ა „მდიდარი, შემძლებული“, ქებ-ი-შვ-
ილ-ი (ანთროპ.)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ ასახავს საერთოქართველური ეტიმოლოგიის ფუძეს.

ს.-სინდ. *ქახ- „ბედნიერი, მხიარული“
აბაზ. ქახ- „მხიარული, ბედნიერი“

აქაც ქართველურით იზოლირებული ფორმა გვხვდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართულ-აბაზური იზოგლოსები ამავდროულად პალეოკავკასიური ეტიმოლოგიის ძირებს ასახავენ. ქ→ქ პალატარიზაციის პროცესი მომდევნო ჯ ხმოვნის ზეგავლენით განხორციელდა აბაზურ ენაში.

ნახურ-დაღესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ქ- „ქონა“
ქართ. ქ-, ა-ქვ-ს, ჰ-ქონ-დ-ა, ქონ-ებ-ა, ე-ქნ-ებ-ა, ი-ქნ-ებ-ა
ზანურში ა-ფ-უ-ნ „ეკუთვნის, ერგება“ ზმნის ქართულ ქვ-
(→ფ-) ძირთან ნებისმიერი სახის კავშირი არ ჩანს დამაჯერებელი [ლომთათიძე 1984].

წ.-სინდ. *ქ- „დაუფლება“
ხათ. ku „დაუფლება“

აფხაზურ-აბაზურ და სხვა სინდურ ენებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ. ხათურშიდამოუკიდებელ ძირად გამოყოფილი ku [კასიანი 2009 : 333] კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ქ- ზმნას.

ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ვერ გამოვლინდა

ს.-ქართვ. *ლდ- „სამართალი; დასჯა“
ქართ. ლდ-ინ-ი „განსჯა, რჯული, სარწმუნოება“
ზან. (მეგრ.) ლდ-ან-ა (←ლდ-ან-ა) „განსჯა, ძრახვა“, გო-მ-ი-
დღან-უ-ნ „დამძრახავს“

სვან. ლედ „სამართალი“, უ-ღაღ-უ „უსამართლო, უკანონო“
ისტორიულად-ენ/-ინ სუფიქსები სვანურსაც უნდა ჰქონოდა.

ს.-სინდ. *ყ- „ჯარიმა“
ყაბ. ყ- „ჯარიმა“

სიტყვა განმარტოებით დგას ყაზარდოულში, მაგრამ, გარე ენობრივი პარალელებიდან გამომდინარე, შეიძლება, ასახავდეს საერთოსინდური არქექტივის კანონზომიერ რეფლექსს.

ინიციალური თანხმობის ლაბიალიზაცია, რომელიც ქართველურმა დაკარგა, აახლოვებს ყაზარდოულ ლექსემას ნახურ შესატყვისებთან, შდრ. ჩეჩნ. **ლუდა** (მრ. რ. **ლუდან**-ამ), ინგ. **ლოდ** „ჯარიმა“.

დადესტნურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვე. ***შიბ**- „პირი“

ქართ. (თუშ.) **შიბ**-ი „პირი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, გამომდინარე გარე ენობრივი პარალელებიდან, შეიძლება, ასახავდეს საერთო-ქართველურლექსიკურ ფონდს.

ს.-სინდ. ***სუტგ** „კარი“

აბაზ. **შუტგ**, აფხაზ. ა-**შუტგ** „კარი“

ბოლოკიდური გხმოვანი აბაზურში დაკარგული ჩანს; არადა სწორედ ის ასახავს ძირეულ ხმოვანს, რომელიც ქართული ი-ს კანონზომიერი შესატყვისია.

დადესტნური შესატყვისები ქართულთან ავლენენ მეტ სიახლოვეს სემანტიკური თვალსაზრისითაც, შდრ.: ადულ. **სიბ/სიუტ**, არჩიზ. **სოზ**, ლეზგ. **სიუტ** „პირი“...

ნახური შესატყვისები არ ჩანს.

ს.-ქართვე. ***ციქ**- „შიმშილი“

ქან. (ლაზ.) **ციქ**-, **ციქ**-ობ-ა „შიმშილი“

სიტყვა დამოწმებულია მხოლოდ ლაზურში, მაგრამ ამავდროულად საკმაოდ სოლიდური შესატყვისები ჩანს მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***ჩგაგა**- „შიმშილი“

აბაზ. **ჩგა**-რა, აფხაზ. ა-**ჩგა**-რა „შიმშილი“

ანლაუტური სიბილანტის პალატალიზაცია დაკარგული გ ხმოვნის კვალი ჩანს აფხაზურ-აბაზურში. დადესტნურიდან მხოლოდ ახვაზ. მა-**ქტაჩ**-ე „შიმშილი“ ფორმას ჩვენთვის მისაღები, და-

ნარჩენი **გაშ-/ქაშ-** „შიმშილი“ სხვაგვარი ეტიმოლოგიის ფორმებია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 431].

შუმერული **šágar** „შიმშილი“ მეტ სიახლოვეს აფხაზურ-აბაზურთან ავლენს.

ს.-ქართვ. ***ძღუნ-** „ძღვენი; საჩუქარი“

ძვ. ქართ. **ძღუნ-**ი „საჩუქარი; შესაწირავი“, ახ. ქართ. **ძღვენ-**ი, ძვ. ქართ **ძღუნ-/ძღუნ-**, მო-**ძღუნ-**ებ-ა „ჩუქება; შეწირვა“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ ამავდროულად ახასიათებს საერთოქართველური წარმომავლობა, გამომდინარე სანდო იზ-კავკ. შესატყვისებიდან.

ს.-სინდ. ***ზაღ** „შესაწირავი, საჩუქარი (ცხვარი)“

ყაზ. **ჟაღ** „საჩუქარი ცხვარი, რომელიც ან იკვლება სტუმრის სახელზე, ან საჩუქარია მისი“

სხვა სინდურქვესისტემებში შესაბამის ალომორფებს ვერ ვხედავთ. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ანგარიშგასაწევი აზრი ნახური შესატყვისების შესახებ, შდრ. ჩეჩნ. **ძაღა/ზაღა**, ინგუშ. **ზაღ** „საჩუქარი“ [ვაგაპოვი 2011 : 296].

დადესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***წურ-** „სხივი“

ქართ. **წურ-**ი „სხივი“

სალიტერატურო ქართულში **წვერ-** სახელს, როგორც დამოუკიდებელ სიტყვას, ახასიათებს ს ხ ი ვ ი ს მნიშვნელობა (წ. ნათამე); თუმცა სხვა ქართველურიდიომებში მსგავსი სურათი არ იხატება.

ს.-დად. ***წუნ-** „ვარსკვლავი“

აბაზ. ააა-**წუნა**, აფხაზ. ააა-**ჭუნა** „ვარსკვლავი“

ცხადია, სხვა სინდურ ენებში სათანადო მასალა დაიკარგა. აქვემოხმობილი აბაზ. ააა-**წუნა**, აფხაზ. ააა-**ჭუნა** „ვარსკვლავი“ ალომორფებში ინიციალური ააა- გავრცელებული პრეფიქსია, რომლის შესატყვისები არც გენეტიკურად საერთო დადესტნურ მასალაში ჩანს, შდრ.: ხუნძ. **წუნა** „ვარსკვლავი“, ანდ. **წა**, ახვახ. **წუნარ-**ი, ბაგვ. **წუნარა-**ა, ბოთლ. **წაა**, კარატ. **წუნაა**, ტინდ. **ცარუ** „ვარსკვლავი“, ბეჟიტ. **ცა**, დიდ. **ცა**, ინხ. **ცა**, ხვარშ. **ცა**, ჰინუხ. **ცუნა**, ჰუნუხ. **ცა** „ვარ-

სკვლავი“, ზოგჯერ აქვე შემოაქვთ დარგ. **ზურ-ი/ზურ-ე** „id“ალო-მორფებიც, რაც უმართებულოა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1099], ვინაიდან სრული ფორმაა **ზუბარ-ი** დარგულში და იგი განსხვავებულ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***ჯირ-** „მოპარვა“

ზან. (ლაზ.) **ხირ-**, ო-**ხირ-უ** „მოპავა“, მ-**ხირ-აჯ-ე** / მა-მ-**ხირ-ე** „მპარავი, ქურდი“, მეგრ. **ხირ-უ-ა** „მოპარვა“, მა-**ხირ-ჯ-ი** / მა-**ხირ-ალ-ი** „მპარავი, ქურდი“

სვანურ-ქართულში ასეთი ზმნები (არც სახელი) არ ჩანს. იქნებ, ამიტომაც დაისვა საკითხი ზან. **ხირ-** ძირის ბერძნულიდან შესხების თაობაზე (გ. როგავა).

ს.-სინდ. ***ჯერ-** „დამალვა“

უბიხ. **ჯარ-და-** „დამალვა, დაფარვა“

სხვა ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირებს ვერ ვხედავთ, მაგრამ აქვე მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება იმავე შინაარსის ზმნის პოვნიერებახათურში, შდრ ხათ. **her** „დამალვა, დაფარვა“ [კასიანი 2009 : 333].

საერთოქართველურისთვის ***ჯირ-** აღდგა მხოლოდ უბიხური ჩვენების საფუძველზე, ვინაიდან ზანურში **ჯ** ხშირად **ხ**-შია გადასული.

ნახურ-დაღესტნურ იზოგლოსებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ჰარკუტ-** „გუმანი“

სვან. **ჰარკუტ/ ჰარკუტ** (ბქ.) „გუმანი; ეჭვი“

სიტყვა იზოლირებულად დგას სვანურში, მაგრამ ამავედროულად მეტად საყურადღებო შესატყვისები აღმოაჩნდა მონათესავე იბ.-კავკ. ენებში. ამიტომაც იგი საერთოქართველური წარმომავლობისა გვგონია.

წ.-სინდ. ***ჰუკურ-** „ხედვა“

ხათ. **hukur** „ხედვა“

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ-ადიღურ ენებში მონათესავე ძირებს ვერ მივაკვლიეთ, გვჯერა, რომ სვანურ-ხათური იზოგლოსები პალეოკავკასიური წარმომავლობის სიტყვებია; ვინაიდან ეტი-

მოლოგიურად ახლო მდგომი ალომორფები გამოვლინდა დადესტნურ ენებშიც, შდრ.: ანდ. **ჰარკუ**, ბაგვ. **ჰაკა**, კარატ. **ჰარკა** „თვალი“..., რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ხუნდ. **ბერ** „თვალი“ და მასთან დაკავშირებულ (ხინალ. **ფილ**, უდ. **ფულ** „id“) ფორმებთან [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 250].

სემანტიკური კორელაცია *თვალი ~ ხედვა ~ გუმანბუნებრივად გვესახება*.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაევი 1949 – Абаев В. И., Осетинский язык и фольклор. I.; М.-Л. Изд-во АН СССР

აბულაძე 1973 – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება“ (კ.კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ.), თბ.

ვაგაპოვი 2011 – Вагапов А. Д., Этимологический словарь чеченского языка, Тбилиси

კასიანი 2009 – Kasjan A., Hatticas a Cino-Caucasian languages. – UF 41. kevelaer-Neukirchen-Vluyნ

კვახაძე 2014 – კვახაძე ა., ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბ.

კლიმოვი 1964 – Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М.

ლომთათიძე 1984 – ლომთათიძე ქ., კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში (ენათმეცნიერების ინსტიტუტი), „მეცნიერება“, თბ.

სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 – Starostin S. A., Nikolaev S. I., A NorthCaucasianEtymologicalDictionary, Moscow

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბ.

ჩუბინაშვილი 1984 – ჩუბინაშვილი დავით, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ (აკაკი შანიძის რედაქციითა და გამოკვლევით), თბ.

ჩუხუა 2000-2003 – ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ.

ჩუხუა 2008 – ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ.

M E R A B C H U K H U A

**Additional Material for the Georgian-Sindhi
Etymological Dictionary**

Summary

The paper presents additional material for the monograph „Georgian-Circassian-Abkhaz Etymological Researches“ published in 2017. The number of new parallel lexical units exceeds several decades that can be divided into different semantic groups.

The Georgian, Colchic (Megrelian), Svan, Abkhaz, Abaz, Ubykh, Adyghe, Kabardian relevant basic material (isoglosses), or the basic lexical fund of the language based on which it is possible to prove the genetic relation of languages by using the appropriate method is presented in the paper. We also give parallels from Daghestanian, Nakh, Basque and other Ibero-Caucasian languages, and sometimes from the languages of the civilization of the ancient world (Khat, Hurit-Urartu).

**უფუარი პურის სახელგაბი ქართული საფურლო
ენისა და ღიალქტაბის მისეღვიტი**

პურის ცომს ზელენ საფუარით ანდა უსაფუვროდ.

ახალი ცომის გასაფუებლად იყენებდნენ ძველ, დამჟავებულ პურის ცომს. საფუარის მნიშვნელობით ძველ ქართულში დასტურდება ცომი, მფოვე, ფუარი, თბე.

თბე ეწოდების ცომსა, გინა საფუარსა, გინა სამკვეთოსა, გინა ფქვილსა – საბა.

ცომი <<მფოვე>>, <<ფუარი>>, <<თბე>>, საფუარი: „მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუენის“ (გალატ. 5,9). „არა შჰამოთ მას შინა ცომი“ G – არა შჰამო მას შინა მფოვჭ (ფუარი pb)“ (M, II შჯ. 16,3). „ეკრძალენით... ცომისაგან ჰეროდიანელთადას“ DE, – „ეკრძალენით... თბისა მისგან ჰეროდიანთადას“ (C მრ. 8, 15) – ი. აბულ.

ცომი მოზელილი ფქვილი პურის გამოსაცხოზად: ზოგჯერმე ხაში ან პურის ცომი – დ. ჩუბ.

ქეგლის მიხედვით – ცომი საფუარის მნიშვნელობით მხოლოდ შესიტყვებაში გვხვდება: ცომი ◊ პურის ცომი კუთხ. (ქართლ.) საფუარი, ხაში – ქეგლ. თბე კი ძველის კლასიფიკაციითა წარმოდგენილი: თბე ძვ. პურის-ცომი, ხაში.

შესაბამისად ძველ ქართულში გაუფუარ პურს „უცომო“, „უფუველი“, „კმეადი“ ეწოდებოდა. უცომო ძვ. უსაფუვრო (საბა).

„შვდ დღე შჰამოთ მას შინა უცომოა პური ჭირვეულობისად“ G, – „შვდ დღე უფუველი პური შჰამო ჭირსა მას შინა“ (M, II შჯ. 16,3) – ი. აბულ.

უფუველი «უცომო»: „შჰამდეს იფქლისაგან ქუეყანისა მისგან უფუველსა“ pb – „და ჭამეს იფქლისაგან ქუეყანისა უცომო (G, ისუ ნ. 5,11).

შდრ. ახ. ქართული: უფუარი მიმღ. უარყ. იგივეა რაც გაუფუველი. ხშიადს უფუარი ცომისას აცხოზენ. – არ დავაცადე, ავჩქარდი,

ოხერი უფუარია, – არაყს მიზეზი არა აქვ, რაც გითხრა, უტყუარია (ვაჟა).

სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოაღნიშნული სიტყვების შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები:

I. ცომ-ის შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავს: ეს სახელი ნ. მარს ხოფურში აქვს დადასტურებული; ტექსტები მას არქაბულშიაც გვიჩვენებენ. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს სახელი ქართულიდან ნასესხები არაა. მეორე მხრივ, მეგრულში ამ სიტყვის უქონლობა ჭანურში მისი ნასესხობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ასეთ პირობებში შედარებითი ძიების თვალსაზრისით ამ სიტყვის აქ შემოტანა მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს (ჩიქობავა, 1938,175).

II. 1. გაფუცება სიტყვის შესახებ არნ. ჩიქობავა უთითებს: ჭან. ფუნ; მეგრ.ფუნ; ქართ. ფუც- დუღება, დუღილი. ქართულში შესაბამისი ძირია ფუც-, გა-ფუც-ებ-ა, გა-ფუც-და... ცომი გაფუცდა (მაგრამ : მაჭარი ადუღდა)... გაფუცებაც იგივე დუღილია: არსებითად ამ ორ პროცესს შორის სხვაობა არც არის... ამგვარად „ფუცება“-მ ჭანურსა და მეგრულში უფრო ფართო მნიშვნელობა მოიპოვა: ზოგადად დუღილის აღმნიშვნელი გახდა.

საინტერესოა, რომ ცომის აფუცებისათვის ეს ძირი (ფუნ-) არ იხმარება. მეგრულად იტყვიან: გედირთუ ქობალქ – „ადგა ცომი“ („პური“) (ჩიქობავა, 1938, 330).

2. ამავე სიტყვისათვის საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის აღადგენენ *ფუ-ინ, *ფუ- ძირებს (კლიმოვი,1964 ; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

3. მ. ჩუხუა ს.-ქართველურისათვის აღადგენს „დუღილი“ *ფუტ- ძირს და შენიშნავს, ვერ ვეთანხმებით წარმოდგენილ რეკონსტრუქციებს ფუ-ან ფუ-ინ სახით; ვინაიდან ცხადზე ცხადია, რომ ქართულ-სვანურში ზმნური ფუძე სრულად (ვ'ს დაცვით) არის შემონახული, ხოლო მეგრულ-ლაზურში ვ- მხოლოდ ნ-სთან მეზობლობის გამო იკარგება რეგულარულად. მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ სიტყვასთან სემანტიკურ და ფონეტიკურ დონეზე მყარდება შესატყვისობა ს.-სინდ. და დაღესტნურ ენებთან (ჩუხუა, 2017, 385).

III. თბე- სიტყვისათვის მ. სუხიშვილის მასალაზე დაყრდნობით აღდგენილია საერთო ქართველური *თებ- ძირი (სუხიშვილი 1987, 76-80; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

ძველსავე ქართულში უსაფუვროდ გამომცხვარი პურის მნიშვნელობით დასტურდება ჯმეადი:

ჯმეადი>ხმიადი: ხმ-ელ-ისაგან > ხმიადი გვაქვს (ჯმელის ანუ ხმელის ერთი მნიშვნელობაა: მტკნარი, უმარილო; ხმიადი – უფუვრად გამომცხვარი პური) (შანიძე, 1980, 145). ჰრომნი *ჯმეადითა* და ურწყომთა წირვენ (გიორგი მთაწმ.179,3) – ზ. სარჯ.

საშუალ და ახალ ქართულსა და მის დიალექტებში კი ამ მნიშვნელობით **ჯმიადი// ხმიადი** დასტურდება.

საშუალ ქართული: **ჯმიადი** იგივე ბალარჯია. „ჭამე ჯმიადი პური“ (ფანასკ. 229,23).

ახალი ქართული: **ხმიადი** 1. უსაფუვროდ გამომცხვარი პური. მეკვლე ტახტზე დავსვი, წინ სუფრა დავუდგი, თაფლ-ერბოიანი ჯამი, მასთან ერთად *ხმიადი* და დამბალი ხაჭო (ვაჟა). || უსაფუვრო ცომი. სახინკლე ცომი *ხმიადია* («შინამრეწვ.»). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქადა-ხმიადი. თაფლხმიადი.

დიალექტები: **ჯმიადი** ხმიადი (საფუარის გარეშე გამოცხობილი პური, კუტი პური). ფუაჩას გააკეთებდენ, **ჯმიადსა** (იმ.); **ჯმიადიც** მიჭამია სოფელში (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ჯმიადრ დიდი მრგვალი პურია, ზოგი ოთხი კილო გამოვა. (თუშ. მასალ. III, II,84).

იხ. აგრეთვე: ჯმიადი (მასალ. III, II: თუშ. 84; ქიზ. 11; ხევს. 109).

ხმიადობა გაულუარი პურის-ხმიადის ცხობის წესი აღდგომის წინა კვირაში (იციოდნენ ძველად). ხმიადობა იყო ხომე დიდმარხვი მიწურულში წითელ პარასკევითვინა, გალუებულ პურს არ გამააცხობდენ, ცოდვა არიო (არად.); ხმიადობა არი წითელ პარასკევს, მიცვალებულის სახელზე გაულუარი პურის, ხმიადის ჭამა (ძეგ., აგრეთვე: დ. თონ. ქართლ. ლექსიკ.).

უსაფუვრო ცომს აკეთებენ „სიმარჯვის“ გულისათვის. უსაფუვრო პურს წყლიან პურს უწოდებენ ანდა *ხმიადს*. *ხმიადს* ხმარობენ ხინკლისა და ხაბიზგინებისათვის (ხევი, მასალ. III, II,114).

ხმიადის ცომი უმარილო და ძალიან მაგარი იზილება, პატარა-პატარასა გუნდებს ამოიღებენ, ჭიქის ძირით დააჭრელებენ და თონეში გამოაცხობენ. *ხმიადის* გამოცხობა იციან *ხმიადობას* // *ხმიანდობას* (საღრ., გოლთ., ფარცხ.), რომელიც აღდგომის წინ, დიდმარ-

ხვის წითელ პარასკევს მოდის და მიცვალებულის მოსაგონარ („სულის მოსახსენებელ“) დღედ ითვლება. ამ დღეს ცხელ-ცხელ *ხმიადს* თაფლს ან შაქარწყალს გადაუსვამენ და მეზობლებს დაურიგებენ. ვინც შეჭამს, იტყვის: „მიაგებოს, შეიწყალოს იმის სულიო“ (ალგ. სალ. 143) .

ხმიადი ცხვება კიდევ უხაშოთ (შ. კახ., მასალ. III, II, 28).

ხმიადს აცხობენ მწყემსები. მოჰხელავენ უხაშოდ, ხელსაფქვავის ქვასავით დიდსა და სქელს (მასალ. III, II: გ. კახ. 42 ; შ. კახ. 28, 41; ხ. 114; მთ.-გუდ. 117; ქართ. მტკვრ. ჩრდ. 123; ზ. ქართლ. 129) და სხვ.

ხმიადი გვხვდება **ხმიანდის** სახითაც: ხმიანდს (უსაფუვრო პურს) მხოლოდ წყლით ან ვეძით ზელენ (მთ. კაიშ.).

ძველ ქართულში „უსაფუვრო პურის“ სახეობებია აგრეთვე:

1. **ყურბეული** არს ყვერბთა შინა გამომცხვარი უცომო C. შაფართხელი D. – საბა

ყურბეული // ყურბეული პურისკვერი. „შესუარე სამი საწყაული სამინდომ და ქმენ ყურბეული“ (O, დაბ. 18,6); „ყურბეული ქრთილისად ჭამე შენ იგი“ (O, ეზეკ.4, 12); „მიართუმიდეს ყოველნი... სარა - ყურბეულსა (ოქრ.-გურიტ. 230, 30) – ი. აბულ.

ყურბეული (<ყურბეულ) პურეულის კვერი. „შეიცხვეს ცმელი – იგი.... ყურბეულად უცომოდ“ (გამ. 12, 339) – კ. დან.

ქეგლი – **ყვერბეული** ძვ. ეთნ. საახალწლოდ გამომცხვარი დიდი პური, შუაში ჯვრიანი.

ძვ. და ახ.ქართულში ყვერბეულ-ს აცხობდნენ ყურბში: თორნენი და **ყურბნი** დაირღუედ (O, ლევიტ.11, 35) – ი. აბულ.

ყვერბი 1. ცეცხლის სანთები ადგილი, – კერა, საცეცხლური. შემდეგ *ყვერბში* (საცეცხლურში) ცეცხლს შეუკეთებენ («შინამრეწვ.») – ქეგლი.

ყვერბი დასტურდება ლეჩხუმურშიც: ღვეზილის ცომს... ნემოს ფოთლებ დაახურებდენ და ჩასვამდენ *ყვერბში*, იქ ვაცხობდით (ლექს. მასალ. III, II , 194).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურბი საერთო-ქართველურ ფუძედ არის მიჩნეული, ხოლო ყურბეული მისგან მომდინარედ იგულისხმება. ქართ. ყურბი; ყურბეული // ყურბეული „ნაცარში

გამომცხვარი კვერი“. მეგრ. ყებურ-// კებურ-//ცებური // კებური // ცებური „კერა, ადგილი კერასთან“. ქართ. ყუერბ- (<*ყუერბ-) ფორმის შესატყვისად მეგრულში წამოდგენილია ყებურ-//კებურ-//ცებურ (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

ძველ ქართულში „უფუარობის, უცომოების“ აღმნიშვნელი ქართველური წარმომავლობის სიტყვების გარდა ხშირად დასტურდება ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია ებრაულ დღესასწაულ ბალარჯობასთან ან ზატიკთან. იგივე უცომოებასთან.

ბალარჯობა იგივეა, რაც უცომოება ან ზატიკი; ებრაელთა დღესასწაული, რომელიც ადრე იმართებოდა გაზაფხულზე (ნისანისთვის 15-21-ში) მოსავლიანობის და ყოველწლიური განახლების პატივსაცემად, ღვთისადმი უფუვარი პურის შეწირვით, შემდგომ ეს დღესასწაული დაუკავშირდა ეგვიპტელთა უღლისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად დაწესებულ პასექს, როგორც მოგონება იმ დროზე, როცა ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები სიჩქარის გამო იძულებული იყვნენ საგზლად უფუვარი პური წაეღოთ (დანელია, ტ. I, ნაწ. I, 1987).

ბალარჯობა «უცომოება» «კალარჯობა», ებრაელთა დღესასწაული, როცა ისინი სჯულისამებრ ბალარჯს ჭამენ. „პირველსა მას ბალარჯობას“ C, – „პირველსა მას დღესა უცომოებისასა“ (DE, მთ. 26, 17). „განმზადეს ზატიკი იგი ბალარჯობისად (უცომოებისად O)“ (I ეზრა 1, 10).

კალარჯობა «ბალარჯობა»: „ყვეს.. დღესასწაული იგი კალარჯობისა იშვდ დღე“ O, – „ყვეს... დღესასწაული იგი ბალარჯობათად შვდდღე I“ (ეზრა 1,9).

ქეგლის მიხედვით – **ხალარჯობა** ეთნ. რელიგ. მიცვალებულის მოსახსენებელი დღე – სულიწმიდის მოფენის წინა შაბათი (თუშეთში, ფშავში...) ან მომდევნო ორშაბათი (ზემო იმერეთში). ხალარჯობაც ახლოვდებოდა და, მაშასადამე, წირვის გადახდის დრო მალე დადგებოდა (ვაჟა).

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით აცხობდნენ უსაფუვრო პურს, ბალარჯს: ბალარჯი უფუვარი პური, ხმიადი (IV მგ.28, 9) – ი. აბულ.

გვხვდება საშუალო ქართულშიც: **ზლარჯი** ხმიადი (სომხურისაგან ბალაჟ). **ზლარჯობა** უცომობის კვრა (ნ. ჩუბ.).

აიღე ქერქი ბროწეულისა და ოსპი... ურიე თანა ცოტა *ბალ(ა)რჯის* ფქვილი და ვარდის ზეთი (ფანასკ. 349, 39).

ზალარჯი ძველის კლასიფიკაციითა და მნიშვნელობის გადაწვევით მოხმობილია ქეგლშიც. **ზალარჯი** ძვ. «ცომის საფუარი» (საბა). || ცუდად გამომცხვარი პური (ქერისა). ყურშას ვინ ჰკადრა ქერის *ბალარჯი*?! (ხალხ.). სიცოცხლე გამწარდა და დატკბა... ბალარჯი პური და ცივი მჭადი (ა. გალდ.).

ი. აბულადის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით ბიბლიურ ძეგლებში გვხვდება აგრეთვე ებრაულ-ბერძნული წარმომავლობის ერზოიანი ხმიადების შემდეგი სახელები: 1. **მსუნევანი**//**მსუნოანი**; 2. **ფორღელი**; 3. **ხავონანი**//**ხაონი** (ებრ. ბერძნ.); 4. **ლეღანგო** //**ლეღენგო** (λαγανος, ῥ). ეს სიტყვები ერთსა და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციებში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება. აქვე უნდა მივუთითოთ რომ ეს სიტყვები სულხან-საბასაც აქვს მითითებული თავის ლექსიკონში.

მსუნევანი ესე არს თხელი პურები, ერზოთ(ი) მომწვარი, გემიერი, ჳმიადი ერზოიანი, ფორღელი (იერემ. 44,19)– საბა.

მსუნევანი, **მსუნოანი** „ხავონანი“, ხმიადი, ნაზუქი. „უქმნენ მსუნევანი ძალთა ცისათა O, – ქმნად ხავონანი ძალთაცისათა“ (ქხ., იერემ. 7, 18).

„თვნიერად ქმართა ჩუენთა უქმენით მას მსუნოანი და უგებდით მათ საგებელსა“ – „ნუ ქმართა ჩუენთა უქმენით მას მსუნოანი“ (O, იერემ. 44, 19).

ხავონანი (7,18) ნაზუქი, ხაონი (ხაონანი) ხავონი ნაზუქი – საბა.

ხავონანი (ებრ. kawwan, mr. kawwnim ბერძნ.) ეს ებრაული სიტყვა აღნიშნავდა ტკბილ ნამცხვარს, რომელზეც ღვთაების სახე იყო გამოსახული (გეზენ., 338). ქართულში ნახმარია ბიბლიის მცხეთურ (M) ხელნაწერში (გვიანდელ რედაქციაში), ადრინდელ ხელნაწერებში კი მის ფარდად ქართული მსუნევანია რეალიზებული: და ცოლნი მათნი ნაყენ ცმელსა ქმნად ხავონანი ძალთა ცისათა (იერ. 7, 18M). შდრ. უქმნენ მსუნევანი ძალთა ცისათა O, სხვა ადგილას (იერ. 44,

19). M-შიც მსუნევანია: ნუ თვნიერ ქმართა ჩუენთასა უქმენით მას მსუნევანი, და უგენით მას საგებნი (დანელია ,1998, გვ. 150).

ლელანგო (λάγαιος, ὁ,) ღვეზელი. „თითოეულსა სცა ჳუეზად ერთი პური და დრონი ჳორცი და ლელანგო ტაპაკისად“ (II მეფ. 6,19) – კ. დან. „ლელანგონი უცომონი, ცხებულნი ზეთითა“ (G, რიცხ. 6,15) – ი. აბულ.

ლელენგო უსაფუვრო ნაზუქი – საბა. ლელენგო უფოველი ნა-ზუქი, ხმიადი – ნ. ჩუბ. **ფორღელი**: ჳმიადი ერბოიანი, ფორღელი Cq. See also: ფორღელი; + იერემ. 44, 19 Cab) – საბა.

საშუალი და ახლი ქართული: **შაფართხელი** (+ დაბად. 18, 6 Cb). ნაცარში გამომცხვარი ხმიადი – საბა, ქეგლი.

დიალექტები: შაფართხელა გაულუარი ცომის თხელი პური სახელდახელოდ გამომცხვარი (ტანმ. ქართლ. ლექსიკ).

შაფართხელაყრ: უფუარი ცომისაგან კეცზე სახელდახელოდ გამომცხვარი თხელი პური. ერთ-ორ *შაფართხელაყრ* შემიცხევივ, რო ერთხენ ჳამად მემყოფინოსავ, ეთქვ (თუშ. ცოც.).

საშუალ, ახალ ქართულსა და მის დიალექტებში გარდა ებრა-ულ-ბერძნული წარმომავლობის სიტყვებისა „უსაფუვრო პურის“ მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე:

წყლიანი პური: უსაფუვრო ცომს აკეთებენ „სიმარჯვის“ გუ-ლისათვის. უსაფუვრო პურს *წყლიან პურს* უწოდებენ, ანდა ხმიადს. ხმიადს ხმარობენ ხინკლისა და ხაბიზგინებისათვის (ხევი, მასალ. III, II, 114).

საშ. ქართ. 1. **გომიჯი** // **გომიჯა** ჳრელი ხმიადი – საბა. **გომიჯი** ჳრელი ხმიადი იმერული-ნ. ჩუბ.

გომიჯა // **გომიჯი** ხმიადი: „პური... თორნისა საფუარისას – ჯობს ხმიადსა გომიჯას“ (ფანასკ. 430, 12-16).

გომიჯსა ნურცა ერბოთა, ნურცა კარაქით ანუ სჳამს, ავი და მა-წყინარია, როგორცა ფუშრუკი მძიმე არის. რაც პური ხმიადი არის და გომიჯის ტომაქზე და მძიმე არის (ქანან. 435, 27)

ქეგლი – **გომიჯი** უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნა-ღვერდალში გამომცხვარი. [ხონჩაზე] დაწყობილი ყოფილა... ერთი-ცხრა *გომიჯიან* შოთი, ექვსი ხაჳაპური (გ. წერეთ.). კალათი სავესე

იყო ხაჭაპურებით, გომიჯებით (რ. გვეტ.). [თავმჯდომარის ცოლმა] გრიგალათში *გომიჯი* მიირთვა (ბ. ჩხ.).

დიალექტ. **გომიჯი**- ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური (ლექს. დიალექტ. 675).

გომიჯი ხმიადია, ერთი საათის ზელა უნდა. *გომიჯი* რგვალი და სქელი უნდა იყოს; მოვალამაზებთ და მოვხატავთ ხელით. ჯერ დავადებთ ძროთი კეცზე, მერე გადმოვაბრუნებ და მოხატულით, მოპირკეთებულით დავადებ, ზევიდან დავაყრი ღველეს და იმაში უნდა მოშუშდეს (ზ.-იმერ. მასალ. III, II, 1986, 167). ვაცხოვთ რგვალ *გომიჯ* პურს (ქვემო რაჭა, მასალ. III, II, 182). აგრეთვე (რაჭ. მიძიგ. გვ. 214). გომიჯი ფეტვის მჭადი (ი. მეგრ.) -ალ. ღლ.

გომიჯი გვხვდება **გომინჯის** სახითაც:

გომინჯი 1. მოგრძო მრგვალი მჭადი, ჩვეულებრივ, ღადარში გამომცხვარი. *გომინჯ*ს ვეტყვით ჭადსა, უღვიარი არი ისა, გრძელ-გრძელეფ შევასხამ დუხოვკაშია, დავაგოროლავეფ (ატ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე : გომინჯი ზან. (მეგრ. ქობ.).

შდრ. სვანური **გომიჯ**, **გომეჯ**, **გომინჯ** 1. სეფისკვერი. 2. მრგვალი პური (სვან. თოფურია, ქალდანი, 2000).

გომიჯ//**გომიჯი**- სატირალზე გამომცხვარი პური, მრგვალი და სქელი (სვან. ლიპარტ.).

გომიჯ: სადაც სულ „სეფსკვერს აცხოვენ, მხოლოდ მაშინ კი ეტყვიან „გომიჯ“-ს (ქვ. სვან. მასალ. III, II, 1986, 196).

უხა, უხი (თურქ. yufka) შაფართხელი – საბა.

უხა გაულუარი ცომისგან მოზელილი, ცეცხლზე გამხმარი სიფრიფანა პური, – თახახა. უსუსურ ბავშვს რომ ბევრიც ჰქონდეს ... *უხა*, მაინც სიმშლით მოკვდება, თუ რძეში არ გაუხსნეს (ი. გოგებ.). || ძვ. და ეთნ. კუთხ. (ქართლ.) სიფრიფანა ხმელი ლავაში, გამომცხვარი დაშაქრულ რძეში ხმიადივით მოზელილი მაგარი ცომისაგან; შემოჰქონდათ ქორწილში და ურიგებდნენ სტუმრებს, რომლებიც სურვილისამებრ იხდიდნენ სასყიდელს; შეკრებილი ფული პურის-მცხოვლებს ეკუთვნოდა – ქეგლი.

უხა თხლად გაშლილი ცომის ლავაში. ისე კაი *უხები* გიმეიცხო ი ქალ, რო სუ თითებ ვატანდით ჭამის დროს (ჯავახ. ბერ.).

უხა უღვიარი (გაუფუებელი) ცომისაგან გამომცხვარი თხელი ლავაში (უმთავრესად წითელ პარასკევს მკვდრის დღესთან დაკავშირებით, აგრეთვე ერიშტის გასაკეთებლად აცხობდნენ (ჯავახ. ზედგ.). გამოუცხობ **უხას**, გაახმობ კარქა! (ჯავახ. მარტ.). **უხა** იგივეა, რაც თახახა (ქიზ. მენტ.) ძუძუთა ბავშვებისათვის აცხობენ **უხას** (ალგ. სალარ.). ხშირად ავადმყოფებისათვის **უხას** ვაცხობდით, **უხა** ძალიან თხელი ლავაშია და კარგა გამომხმარი (გ. კახ. მასალ. III, II, 43).

უხი : ვზელავთ წყლითა უმარილოდ (მარილით) წესიარ არის, როგორც ქორწილის პური, რგვალაია (ზ.- ქართ. მასალ. III, II, 127).

აუხა (yufka) თხელფენად გაყვანილი, გამლილი პურის ფქვილით გაკეთებული ცომი. ბორეგისფქვილით გაკეთებული ცომი. ბორეგის ფქვილით გააღებენ აუხას (ინ.); ბეთმეზით გაკეთებული **აუხა** შამევედე ხელზე (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ქეგლის მიხედვით გუდუნა კუთხ. (მოხევ.) ნაცარში გამომცხვარი პატარა კვერი ქერისა. [ხაზუას] გაეშალა ხონჩა, რომელზედაც ეწყო ნაცარში გამომცხვარი ხმელი ქერის პური (*გუდუნა*) (ა. ყაზბ.).

მჭადის ფქვილის ხმიანდს *გუდუნას* ეძახიან (მთ. კაიშ.).

გუდუნა ცივ წყალში მოზელილი და უხაშოდ გამომცხვარი წვრილი ქერის კვერი (მსხვილი იქნება ქარჯინაი). „ოსურია, არაა ჩვენო“ (მოხ.) [ოს. გუდუნ, გუდენ-დიდი პური) (მოხ. შან).

ფათირი [არაბ. ფათირ «უფუარი»] (ქიზ.) პატარა ლავაშივით პური უფუარი ცომისა, სახელდახელოდ გამომცხვარი საჯზე (თუჯის ფილზე). როგორც-კი ინათებდა, ბიჭები ფარებს სამოვარზე გავრეკავდით, ჩვენ კი ერთად შევგროვდებოდით, ცოტას წავიხემსებდით, ვისაც რა გაგვაჩნდა – გამხმარი *ფათირი* თუ აობებული კალტი (რ. ბეჟან.).

დიალექტ. **ფათირი** უღვიარი ცომისაგან სახელდახელოდ გამომცხვარი თხელი პური. გაათბობენ წყალსა, მოზელამენ სახელდახელოდ, გაუღვივარ ლავაშებს გამოაცხობენ ფეჩზე. ეგრე გამომცხვარ ლავაშეფს *ფათირს* ეძახიან (მარაბდა). აგრეთვე ტანძ. (ქართლ. ლექსიკ.).

მინდორში, ხმიადის გარდა, ფათირებსაც აცხოვენ. *ფათირიც* უსაფუვროა, უხაშოა. *ფათირებს* ზოგჯერ შინაც აცხოვენ, როცა პური არ უმეტ (ქიზ. მასალ. III, II, 12).

ფათირი (არაბ.) პატარა ლავაშივით პური უფუარი ცომისა, სახელდახელოდ გამომცხვარი საჯზე (ჯავახ. ბერ., ზედგ.). შდრ.ფათირ-ბიში უფუარი ცომით გამომცხვარი ბიში (ჯავახ. ზედგ.).

ფათირი (ჩიქ.) (არაბ.) ხმიადი (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტებში ამავე მნიშვნელობით გვხვდება **ფათილი, ფათილე**:

ფათილი მაჭკატი (ფშ. შან.). **ფათილები** პურის თხელი შოთები. „ცომის თხელ ფენას დააკრავენ კეცზე ან ბრტყელ ჭაჭის ქვაზე და აცხოვენ *ფათილებს*“ (სნო, მოხ. ქავთ.). **ფათილი** მაჭკატი ხევესურულია, იგივეა, რაც რუსების ბლინი (ფშ. ხორნ.).

ცხვარში მეცხვარეები **ფათილეს** აცხოვენ ხოლმე საჯზე (მთ. კაიშ.).

სათანადო დიალექტების ლექსიკონებში **ფათირი** მიჩნეულია არაბული წარმომავლობის სიტყვად.

მ. ჩუხუა კი მას საერთო-ქართველური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს: ს.- ქართვ. * **ფათ**- „გამომცხვარი კვერი“ > ქართ. **ფათილე** // **ფათირი** : ზან. ფურთინა < *ფოთინა: სვან. პიტ < *ფათ- (ჩუხუა, 2000-2003).

ბაღაჭი ძვ. „უფუარი პური“ (დ. ჩუბ.). ბაღაჭი უმარილო, პატარა კვერი – ხმიადი. უმარილოდ გამომცხვარი პური. ერზოიანი კვერი. ნაზუქი (ი. გრიშ.).

საფუვრიანი პურის გარდა უსაფუვრო ანუ უფუარი (სადრ.) პურიც იცინან, რომელსაც ხმიადს (გოლთ., სადრ.ფარცხ., შავს.) ანუ **ბაღაჭს** (თელ.) ეძახიან (ალგ. სალ. 143).

შდრ. **ფაღაჭა** (თათრ.) გამომცხვარი მცირე ზომის პური (ფაფხაჭელა ხომ არ არის?) – ი. გრიშ. **ფაღაჭი** (pağaça ღვეზელი). ფაფუკი, თეთრი, მაღალი ხარისხის პური. **ფაღაჭო**, პურები ცხვება, ჰამანი-ყიდედაჭამე (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

თახახა კუთხ. (ქიზ.) თხელი და ხმელი ლავაში. «ბავშვს ძალიან უხდება რძისა და თახახის ფუა» (ს. მენტ.) – ქეგლ.

დიალექტ. **თახახა**, (ზოგის თქმით) თახთახა, უხა, თხელი ლავაში. ცომს საგორავით ძალიან გაათხელებენ, თორნეში ჩაკრავენ, გამოცხვება და გახმება. ჩვილ ბავშვებსა და ავადმყოფებს უცხოზენ (ქიზ. მენტ.).

შდრ. თახთახა ქაღალდით თხელი და ხმელი რამე ხმას რომ გამოსცემს ხელის ცემის დროს. ქაღალდი სწორედ თახთახაა (ქიზ. მენტ.).

თანამედროვე ქართველ ებრაელებთან უფუარი პურის სახელებად გვხვდება 1. **ფესახი**: ფესახი უნდა ვჭამოთ აპრილში და მაისის თვეში შეყვება, იმ დროს უნდა ვჭამოთ ...**ფესახი** უხაა (ქართ. მტკვრ. სამხრ., მასალ. III, II, 146).

შდრ. **პასეკი** [ძვ. ებრ. პესაკ «გადასვლა»] რელიგ. 1. ძველ ებრაელთა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლისა და ეგვიპტელთა ბატონობისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად. პოლემიკა ჰქონდათ ღვთისმეტყველებს, როგორ მოეწყობათ წელთაღრიცხვა ისე, [რომ] ქრისტეანული აღდგომა ებრაელების პასეკს არ დამთხვეოდა (ვ. გამს.). ახლაც *პასეკის* სადღესასწაულოდ იერუსალიმში შეკრებილ ხალხს ეზოებში და მოედნებზე ცეცხლი დაენთო და გარს შემოსხდომოდა (ვ. ბარნ.). 2. იხ. აღდგომა (მნიშვ. 2) – ქეგლი.

პასეკა // პასკა [ძვ. ებრ. პესაკ-იდან] სააღდგომო ნამცხვარი. როდესაც გამოცხვეს, პასკები, გვერდზე დააწყვეთ და გააგორ-გამოაგორეთ, რომ არ ჩაცომდეს (ბ. ჯორჯ.).

მაცა ებრაელთა სადღესასწაულო (საპასეკო) უმარლო ხმიადი – ქეგლ.

დიალექტ. **მაცა // მასა** სააღდგომო საჭმელია პურია ებრაელების. მარილის გარევა არ შეიძლება. ზილავს კაცი, თუ ფქვილი მოვიდა მეტი, ან თუ წყალი მოვიდა მეტი... აღარ შეიძლება დამატება.. (ქართ. მტკვრ. სამხრ. მასალ. III, II 147). **მაცა** სააღდგომო საჭმელია, პურია ებრაელების (ზ. ქართ. მასალ. III, II 130).

აღდგომის პურსა (მასა) აურევდნენ სტარტში, ცივი წყლით დავზილამდით *ხმიადათ* (ქართ. მტკვრ. სამხრ. მასალ. III, II, 147).

გამოყენებული ლიტერატურა

დანელია 1998 – ვ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლო ბო ენის ისტორიიდან, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

სუხიშვილი 1987 – მ. სუხიშვილი, ორი ქართული ფუძის სვანური შესატყვისის შესახებ: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ.ჩიქობავა, ჭანურ- მეგრულ- ქართული შედარებითი ლექსიკონი თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

წყარო

ი. აბულ. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ალგ. სალ. – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.

ვ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ. 1912; თბ., 1986.

კ. დან. – ვ. დანელია, საქმე მოციქულთა, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ვ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა, და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი აურთო ვ. დანელიამ, თბ., 1997.

ი. გრიშ. – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), თბ., 1997.

ზ.-იმერ. მოწ. – ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

თუმ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

ლექს. დიალექტ. – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.

მასალ. – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისთვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, ტომი III, ნაწილი II, საჭმელ-სასმელი თბ., 1986.

მთ. კაიშ. – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.

მოხ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბ., 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

ზ. სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

სვან. თოფ., ქალდ. – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000

სვან. ლიპარტ. – ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოღურული კილო) თბ., 1994.

ფანასკ. – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), პროფ. ი. აბულაძის და კ. გრიგოლიას გამოც., მ. სააკაშვილის რედ., თბ., 1950.

ფერეიდ. ჩხუბ. – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, თბ., 2012.

ფშ.შან. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბ., 1984.

ქანან. – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასა-
ლები) . შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე,
თბ., 1981.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასა-
ლები), თბ., 2006.

მეგრ. ქობ. – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII,
არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

ქეგლ. ახ. რედ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,
ახალი რედაქცია, ტ. I-II, მთავარი რედაქტორი – ავთ. არაბული, თბ.,
2008- 2010.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ.,
1943.

ალ. ღლ. – ალ. ღლონტი, ქართულ-კილოთქმათა სიტყვისკონა,
შემდგენელი, თბ., 1984.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუ-
მი, 1993.

დ. ჩუბინ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი,
სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ.,
1984.

ნ. ჩუბინ. – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული
თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ.,
1961.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო
მასალა, თბ., 1982.

ჯავახ. ზედგ. – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ.,
2014.

